

(05)
3-80

მოსამბე

თვიური ქუჩნალი

წელიწადი მეცხრე

№ VI

თბილისი, 1902

Handwritten signature

ტფილისი

საბჭოთაო სახელმწიფო გამომცემლობა

1902

მ მ ა მ ბ ე

თ ვ ი უ რ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი მეცხრე

№ VI

თ ბ ვ ი ს ი, 1902



ტ ვ ი ლ ი ს ი

საბჭოთაო სახელმწიფო გამომცემი

1902

Дозволено цензурою, Тифлисъ, 17 Юля 1902 г.

შინაარსი

	გვ.
I—ციცინათელა.—(ეტიუდი) ***-სა.	1
II—ეზ, ვეტივე.—(ლექსი პროზად) შ. არაგვისბერკელი- სა	9
III—შიში.—(ა. ჩეხოვიდან) ა. ძათაიშვილისა	11
IV—ბორკვემადა.—დრამა 5 მოქმედებად, გიქტორ-ჭუ- გოსი, თარგმანი ვ. ყიფიანისა: (დასასრული)	27
V—ტარას ბულბა.—(მოთხრობა) ა. ვ. გოგოლისა, თარ- გმანი ან-ანასა	67
VI.—ჰამლეტ.—გერგენუსისა	1
VII—უცხოეთის მიმოსილვა.—პოლონელები პოზნანში.— ს. ფრანგეთის საქმეები.	24
დ ა მ ა ტ ე ბ ა.—საბერძნეთის ძველი ისტორია დასაწყი- სიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე.—ფრან- გულიდან ნათარგმნი ვ. ლ—სა	129—160



ციცინათელა

(ეტიუდი)

შავბნელი ღამეა. სასტიკი ქარი ჰგლეჯავს არე-მარეს. ერთადერთი მუხა, მაშაპაპეული მუხა, რომელიც სოფელზე დალიან ღმორებულია, და რომლის ძირსაც გიორგი ზურგით მიჰყუდებოდა, ხმაურობს, ბანს აძლევს სასტიკ ქარს და შტოებს იქით ჰხრის, საითკენაც ქარი ჰსწევს. ძირი კი უნძრეველია, არსით იხრება...

გიორგის არ ესმის არც ქარის ნავარდობა ამ უდაბურ ველზე და არც მუხის ხმაურობა, მისი ალიაქოთი; არც ცის მოქუშული სახე აშინებს, არც კი ამჩნევს ამ მრისხანებას... იგი თავ-ჩალუნვილი ღრმად მიჰსცემია თავის ფიქრებს, და მის გარეშე მისთვის აღ-რა არსებობს-რა...

აგერ რამდენჯერ დაეკითხა თავის თავს სასოწარკვეთილებით: „რად, რად?“..

და პასუხის მაგივრად ყოველ ამ კითხვის შემდეგ ერთი და იგივე სურათი ეშლება თვალ-წინ უღმობელის სიცხადით:

აგერ მთელი სოფელ დაღებულ ხახით საშინელ, ლაყი კვერცხის სუნს პირში აოართქლებს გიორგის... კოჭლი, ბრმა, ყრუ, მახინჯი სულით, გულით და მთლად სხეულით, გამოჩერჩეტებული თავის ხნოვანებით ქალი და კაცი ერთმანეთს არ

აცდის, ერთმანეთს ეჯიბრება, რომ უფრო მეტად ააყროლოს ჰაერი გიორგის დასაღრჩობლად, მის სოფლიდგან გასაძევებლად... რამდენიმე პირმა ხმა აიმაღლა, რომ გონს მოეყვანა ეს ბრბო, გაეთვალისწინებინა მისთვის საქმის მსვლელობა...

„უუუჰჰ!..“— შეანჩქრია მთელი თავისი სიბინძურე სოფელმა ამ პირთ, და იმათაც ვერ შეუძლეს სუნს, აყროლებულ ბინძურს სუნს და პირზე, ცხვირზე ხელები მიიფარეს, რომ ჩასუნთქვასთან ერთად მყრალი სუნი მახინჯთა გვამში არ ჩაეშოთ... იძულებულნი იყვნენ განზე გამდგარიყვნენ, თორემ ჭაობი უფრო შეინძრეოდა და...

ასამართლებენ ადამიანს, მის მოქმედებას აქრელებენ, მას სწყნავენ და... ერთი, ერთი მათგანი მას არ ეკითხება!.. მასთან, მის პიროვნებასთან ანგარიშის გასწორება არ ჰსურს არც ერთს!..

„როგორ სასტიკად შელახეს მისი პიროვნება?!“— კვნესით წარმოსთქვა გიორგიმ და უფრო ღრმად ჩაფიქრდა...

ქარი მაინც თავისას არ იშლიდა: აქ ნარ-ეკალს წაჰკრავს თავში და მიწაზე გაართხობს; იქ ნარს წელში შემოჰკრავს და გადასტეხს; იმის ახლოს გოქშოს თავს მოჰგლეჯს და შრიალით წინ გაიგდებს; ზევით, ფერდობზედ კიდევ ჯაგს აწრიპინებს, აშტვენინებს! ქვევით მდებლოს, ნათეს-ნახნავს ასინებს და მუხას ხომ ისევ აშფოთებს...

გიორგის მაინც არ ესმის არე-მარის ხმაურობა...

„ნუთუ, ჩვენი საზოგადოება ისე დაშმორებულია, რომ პიროვნების წაშლა მაგრე ადვილად შეუძლიან?!.. მისი უარყოფა, გაძევება—ეკითხებოდა თავის თავს გიორგი—ისე შეუძლიან, რომ არცკი შეეკითხნენ პიროვნებას?!..“

„ახ!..“— უეცრივ წამოიკვნესა გიორგიმ და თვლებზე ხელი მაგრად მიიჭირა, თითქოს ჰსურდა ეს მწარე, მყრალი სურათი მოეშორებინა:

„რად მეგონა მისი ჭირი ჩემ ჭირად, მისი სუნთქვა ჩემ სუნთქვად, მისი ლხინი ჩემ ლხინად, თუ მაგრე, მის თვალში მე, როგორც პიროვნება უპიროვნობას შევადგენდი?!.. რად მთვლიდა თავის წევრად მე უპიროვნოს?!..“

გიორგიმ უფრო მაგრად მიიჭირა თვალეზხედ ხელის გულეზი, რომ მწარე ფიქრები გამოეყურა თავიდგან;

„ახ, რა შემცდარი ვყოფილვარ, რომ მას, იმ ჭაობს მხარ და მხარ მივსდევდი?!..“

გიორგის მწვავე კითხვად ეხლა ეს დაუდგა.

თვისი თავი სრულებით გარეშ, თითქოს ჭაობის მყრალი ტალღები მისკენ არ ყოფილიყვეს მოქცეული, იგი სულ გარეშე მაყურებელი ყოფილიყვეს, ისე დააყენა და:

„— ერთს, ერთს მაინც ამოდენა ბრბოსაგან აზრად მაინც რატომ არ მოუვიდა მართლა და სინამდვილის გამოცნობა, გამოჩხრეკა?!— წაიკენესა კიდევ გიორგიმ: მაშ რა ყოფილა ეს ბრბო?!.. უთაო, უპიროვნო... თუ პიროვნების უფლების შელახვა მაგრე შეუძლიან, მაგრე უსამართლო ყოფილა, მაშასადამე იგი თავის თავს ანდერძს უგებს... თავის თავს თითონვე უთხრის სამარეს...“

ამ დასკვნამ შეაყრყოლა გიორგი. თავისი თავი სასტიკად გაჰკიცხა, რომ ამ დასკვნამდის მივიდა; უნდოდა გაედევნა ეს დასკვნა თავიდგან; მაგრამ სასტიკი სურათი, უსამართლოდ მომართული მყრალი ტალღები წინ ისევ ცოცხლად აიმარჩნენ და პირდაპირ მისკენ მოილტვოდნენ... სენიც მიედინა.

„ფუი, ფუი!..“ საჩქაროდ გადააფურთხა და ხელები გაასავსავა, თითქოს ტალღების თავიდან მოშორება ჰსურდა...

„არა! შეუძლებელია, შეუძლებელი!“— დაიკვილა გიორგიმ, რომ თავისი ხმით თავისივე დასკვნა გაექარწყლებინა...

„— დაიღუპება, დაიღუპებააა!...“— სასტიკად შემოესმა საშინელი ხარხარით ეს სიტყვები და ამასთან შედარებით მისი კნავილი სრულებით გაქელა, წაშალა.

გულის ცემა შეუდგა გიორგის. გაფითრდა:

„— არა... არა და არა!...“—სასოწარკვეთილებით დაიყვირა უფრო ძლიერად გიორგიმ და წამს ყურები ცქვიტა...

— ხახახა!.. შევბედიდი ხარხარი ისევ შემოესმა გიორგის და მისი არსება თითქმის გაანადგურა.

„— გიორგი, თითონ შენ მიხველი იმ დასკვნამდის, რომ ის სოფელი უნდა წაიშალოს...“ ახლა თითქმის ტკბილად ჩაჰჩურჩულებდა ყურში ხმა...

— არა!...—ძლივას წამოიკვნესა გიორგიმ და ისევ სული განაბა...

— „როგორ არა?.. ვერ ჰხახე, რა უსამართლოდ ააშმო-რეს შენ გარშემო, რომ წაელეკე, დაედრჩვე... აბა....“

— არიან კიდევ ცოტაოდენი, რომლებიც... გულის კანკალით დაიწყო გიორგიმ...

— „რომლებიც პირველ ხმის ამოდებაზედ გააჩუმეს და განზე გააყენეს...“

— არა, ისენი...

— „იმათაც შენ გზას დააყენებს სოფელი...“

— ის ჭაობი ხომ იარსებებს... ის, იქმნება, შემდეგ...

— „შემდეგ ის უფრო აყროლდება...“

— მერე?!.. გიორგი ჰგრძობს რომ ძალა ეცლება, სხეულიც უღუნდება. ძლივას და მოახერხა ეს კითხვა მიეცა.

— „მერე...—უფრო ნახად ჩაჰჩურჩულა ხმამ:—ჩემო, კარგო, ხომ შენც კარგათ იცი და რაღას მეკითხები...“

— არა... მგონია, ის იარსებებს, თუმცა ჭაობად, მაინც იარსებებს...—ძლივას წაილულ-ლულა გიორგიმ..

— „ეეჰ, ხომ სტყუი?!. მაგის თქმად გინდოდა...“

— მაშ, რის?..

— „რისა და იმისი, რომ ჭაობი უფრო დაღპება... თავის საღ წაწილებს გაჰხრწნის და სულ გარეშე ელემენტი წაჰლე-

კავს, მის არსებობას წაჭშლის „პირისაგან ქვეყანისა; ვითარცა მტვერს“...

— მომშორდი, მომშორდიიი!... წამოიკივლა მისუსტებულმა, როგორც კი მისუსტებულს შეუძლიან, და ფეხი და ხელი მიაშველა თავის ხმას, რომ მოეშორებინა თავიდან არამკითხე სტუმარი...

— „ხახახახა!...“ — პასუხად მოესმა გიორგის საზარელი ხარხარი, რომელმაც არე-მარე აავსო...

გიორგი ამ შემზარავ ხმაზე წატორტმანდა, თავი დაუცალიერდა და დედამიწას დაემხო...

გიორგის გული არ წჰასვლია. იგი დამხობილი იყო. თავის არსებობასაც აღარ ჰგრძნობდა, მხოლოდ შემზარავი ხარხარი-ღა ესმოდა.

წამს აღარც-კი ეგრძნობებოდა მისი სიმწვავე, ისე დაეჩხვლიტა სხეული ხარხარის პირველ გაგონებაზე...

გიორგი რამდენიმე წუთს ასე დამხობილი იყო. თუ რამდენს ხანს იყო ასე, ანგარიშს ვერ მისცემდა. თან და თან გონება მოეკრიბა და პირველ გონების მოკრებაზე ისევ ხარხარის, რომელიც ჯერ კიდევ არე-მარეში გაჰქუხდა, სიმწვავე უფრო ძლიერად იგრძნო. უმწეო იყო გიორგი, რადგანაც გიორგის თავის არსებაში ისეთი ძალა ვეღარ ეპოვა, რომ ამ დამცინავ და გამათახსირებელ ხარხარისთვის წინ წამოეყენებინა... მისმა გონებამ ხომ უფრო ამ ხმაზე ადრე აუგო ანდერძი სოფელს, და, აბა, რაღას წააყენებდა წინ მის გასაჩუმებლად?.

გიორგიმ როდესაც თავისი დასკვნა წარმოსთქვა სოფლის დაღუპვაზე, ეგონა, ცოტათი კიდევ იმედი ჰქონდა, რომ არ დაიღუპებოდა, კიდევ გამობრუნდებოდა, გაიწმინდებოდა და თავის არსებობას დაიცავდა, გამოანკრავდებოდა. ამისთვის გულიც-კი მოუღბა და თავის შეურაცხ-ყოფა უკუ

ავდო... დოსტაქარივით დაწვრილებით გამოკვლევას შეუდგა, რომ...

მაგრამ ეს ხმა, ეს სასტიკი, უღმობელი ხმა რად ემოწმება მის დასკვნას... რომ წინააღმდეგი ყოფილიყვეს, ეს ხომ მისი ნატვრა იყო. იმისთვის შეუდგა გამოკვლევას, რომ თავის საწინააღმდეგოთ რაიმე ეპოვა და ჭაობის არსებობა თავის გონებაში მაინც მკვდარ საძირკიელზე დაემყარებინა...

მაგრამ ეს ხმა?!. ეს შავ-ბედიითი ხმა?!. გიორგიმ თავი მალლა ასწია და:

— ღმერთო, ღმერთო!..—უმწეოდ შეევედრა უფალს, რომ იმას ჩაეგონებინა, მაგრამ ღმერთი სწორედ ამ წუთების დროს არის ხოლმე შეკრული და არას ამცნებს ადამიანს...

გიორგი სულ-განაბული შეიცქირებოდა ზევით, თითქოს ზეშთაგონებას მოელოდა, მაგრამ ვერას ჰხედავდა...

ცაც ხომ მოქუშული იყო!...

მხოლოდ ესმოდა ქარის შტვენა, წივილი და კვნესა... მუხის ფოთლების აღგზნებული შრიალი, და ტოტების ჭაჭა-ჭუჭი...

უეცრივ მის თვალ-წინ გაჰკრთა ოღნავი შუქი და ისევ სწრაფად მიიმალა... ჩაქრა. გიორგის ეგონა, თვალმა გამიელვაო, და ისევ ისე ზევით შეიცქირებოდა, ისევ იმავე მოლოდინით...

კიდევ გამოჰკრთა ოღნავი სინათლე და ისევ სწრაფად მიიმალა.

გიორგის თვალეზმაც გააშუქეს. ეს შუქი მის გულშიაც ჩაეშვა...

კიდევ გამოჰკრთა შუქი მუხის ფოთლებიდან და კიდევ მიიმალა...

მის გონებასაც მიეშუქა სინათლე და აამოძრვა... სინათლე-კი დრო-გამოშვებით გამოჰკრთის მუხიდან.

გიორგი მიჰხედა, რაც იყო. ციციანათელა ამ შავ-ბედიით ღამეს მიჰკვრია მუხის ფოთოლს, თუ ტოტს...

თვალი ველარ მოუშორებია გიორგის. მისი გონება სიმ-
ძაფრით მუშაობს... ღმერთს აღარ ემუდარება, სულ-განაბული
მის შთაგონებას აღარ ელის... გადაავიწყდა კიდევაც, რომ
შევედრა მას. ეხლა იგი ციცინათელას შუქმა შებოჭა, შეი-
პყრო, თუმცა ციცინათელას შუქის დანახვას სასტიკი ქარი
მუხის ფოთლებს აშრიალეზდა მის თვალებ და ციცინათელას
შუა, რისგამოც მხოლოდ დრო-გამოშვებით ჰხედავდა, და მის
გონებას სხვა მიმართულება მიჰსცა...

„...რა არის ციცინათელა?... სულ უბრალო, მცირე
მწერი და, აგერ, იგიც, თუმცა ეს სასტიკი ქარი საშინელის
სიძლიერით ებრძვის, ჰსცდილობს, თუმცა შეუგნობლივ, მის
პიროვნების წაშლას, იგი მაინც თავისას არ იშლის... უძა-
ლიანდება; ვიდრემდის არ გაშეშდება, არ მოკვდება, ამ ძალის
მსხვერპლი არ შეიქმნება, და უკანასკნელ სულის ამოხდამდის
თავის პიროვნებას, თავის არსებობას ამცნებს ქვეყნიერობას...
თავის თვისების წაშლა არ უნდა...“

ციცინათელა კი ისევ აშუქებდა, ისევ ჰკრთოდა წყვილად-
ში და თავის ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა...

„რაც შეუძლიან, მოვალედ ჰსთვლის თავის თავს გააკე-
თოს და არაფერს შეუშინდეს... დეე, სასტიკი გარემოება,
როგორც ციცინათელას, ხელს უშლიდეს. ეწინააღმდე-
გოს, პიროვნებამ თავის უკანასკნელ სულის ამოხდამდის
მოვალეობას არ უნდა გადუხვიოს და წინ მიდიოდეს შეუ-
ღრეკელად...“

მოქუშული ცა ისევ მოქუშულია, სასტიკი ქარი ისევ
სასტიკად აკენესებს არე-მარეს, სოფლიდგან ისევ მყრალი სუ-
ნი მოისმის.. მაგრამ გიორგი პირ-და-პირ სოფლისკენ ძლიერის
ნაბიჯით მიდის... რამაც გამოაქცია ეხლა იმისკენ მიდის, რომ
თავისი მოვალეობა შეასრულოს, რამ ჭაობი ნაკადულად გა-
რდაქმნას, და მის ნაბიჯს არა აფერხებს-რა, თუმცა ქარიც
და სოფლის სუნიც ეწინააღმდეგება... მისი რწმენა ეს არის

და უკანასკნელ წუთამდის, როგორც ციცინათელას, ვერა
შეაყენებს-რა...

„ციცინათელა ციცინათელად მოკვდება!“..—ამაყად გაი-
ძახდა გიორგი და მედგრად მიარღვევდა ქარის ტალღებს და
სოფლისას...

«ეხ, მეტივე!..»

(ლექსი ურითმოდ)

...ეეხ, მეტივე, რატომ ხმას არ გაიკმენდ და ყურს არ დაუგდებ ძტკვრის აღგზნებულ სიყვარულის ხმას, მის ალტაცებულ აღერსს?!. განა არ გესმის, რა სიყვარულით ეამბორება თავის კიდეთა, თავის კალაპოტს; ან კიდევ განა ვერ ჰხედავ მის ხმაზე, რა სიამოვნებით ქედს ჰხრიან მთები, ხეები და ბალახობა?!. და იგიც მათ დახრილ სახეს რა თავ-დავიწყებით აფრქვევს თვის მკერდიდან ამონადულ სიხარულის ცრემლებს!..

„...ღუღუ... ღუღუ... ღუღუ... ღუღუუ!..“

გაიგონე, მისი ტკბილი, ნეტარ აღერსი მშობელთან!..

„...აახ, არა მოჩანს-რა?! ცა მოქუშულა. არსად ვარსკვლავი. შავსა სუდარას შევეუმოსივართ!..“

თუ თვალი შენი, ჩემო მეტივე, დახშობილია, ყური ხომა გაქვს და...

„...ხაახახა... ხაახახა... ხაახახა!..“

აგერ, ხარხარებს მტკვარი!.. მტერს შეებრძოლა... მის მშობლის მკერდსა რალაც მეჭეჭი, ხორც მეტი დაჰკონებია!.. ბრძოლა!.. იბრძვის!.. ხარხარით... სიცილით მტერსა შეება!

მშობლის მტერთან ბრძოლა მისთვის მეჯლიში ყოფილა!..

„...ხაა ღუღუ... ღუღუ... ღუღუ!..“

ისევ დატკბა, დამშვიდდა, რაკი მტერს ჰსძლია... წინ გაიგდო...

ნუ თუ ყურიც თვალებსავით დახშობილი გაქვს, რომ ხმას არა სწყვეტ?!

ანკი რად გინდა თვალი, ყური, როდესაც ჰაერი, არე-მარე გაჟღენთილია ამ დიდებული გრძნობით, და შენ შიგ დაპსკურავ... აგერ; ტივის ხეებ შუადგან, როგორ ამოჰქექვს, რომ შენი ფეხი წმინდად წაჰრეცხოს!.. რა აღზნებით გეაღერსება!.

არც ამას ჰგრძნობ?!.

„... ჩვენი ცხოვრება, წუთის ცხოვრება... და აააახ, ქარი დაჰბერავს, ყვავილსა მოჰგლეჯს და სად მიჰმაღავს, ეს...“
 ეეხ, მეტივე, ხმა გაკმინდე!.. ორთაყვირსაც ხელი უშვი და სიყვარულით მჩქეფარე გულს ნუ ჰსერავ!.. იგრძენ!.. გაააჩუმდი!.. გააჩუმდი!..

ეეხ, მეტივე!..

მ. ჯაფარიძე

შ ი შ ი

(ა. ჩხეიძის)

დიმიტრი პეტრეს-ძე სილინი უნივერსიტეტში კურსის დამთავრების შემდეგ ოცდა ათ წლამდი მსახურებდა პეტერ-ბურგში. შემდეგ კი დაანება ამას თავი და მეურნეობას მიჰყო ხელი. გვარიანად მიჰყავდა საქმე, მაგრამ ჩემთვის რომ ეკითხა ვისმე, ვურჩევდი თავი დაენებებინა მეურნეობისთვის და ისევ სამსახური განეგრძო, რადგან მეურნეობაში მისი შესაფერი საქმე არ იყო. როდესაც გახურებული, გამტვერიანებული, შრომისაგან დაღლილი შემხვდებოდა მე ის ჭისკართან და შემდეგ ვახშობის დროს ებრძოდა ძილს, ან და თვლემისაგან გამოფხიზლებული დაიწყებდა თავისი რბილი, თითქმის მუდარა ხმით რამეზე ბაასს, ის არც ოჯახის მამას ჰგავდა, არც მეურნეს, არამედ დატანჯულ ადამიანს. მე ნათლად ვხედავდი, მას უნდოდა მხოლოდ დღე მალე გასულიყო და ღვთისთვის მადლობა შეეწირა.

მე მიყვარდა მისას ყოფნა და ხშირად ორი-სამი დღით ვესტუმრებოდი ხოლმე. მე მიყვარდა მისი სახლიც, ბაღიც, ხეხილნარიც, მდინარეც, ცოტათი მკენარი და მკვერი, მაგრამ ნათელი ფილოსოფიაც. ალბათ, მიყვარდა მე თითონ ისიც, თუმცა არ შემიძლია ეს დანამდვილებით ვთქვა, რადგან აქამდის არ შემიძლია მაშინდელ ჩემ გრძნობებიდან გამოვერკვიო. ის

იყო ჭკვიანი, კეთილი, უწყინარი და გულწრფელი ადამიანი, მაგრამ კარგად მახსოვს, როდესაც ის გამიმჟღავნებდა თავის საიდუმლოებას და ჩვენ დამოკიდებულებას მეგობრობას უწოდებდა, ეს უსიამოვნოდ ამაღელვებდა ხოლმე და უხერხულ მდგომარეობაში ჩამავდებდა. იმის ჩემდამი მეგობრობა როგორღაც მოუხერხებლად, მძიმედ მეჩვენებოდა. საქმე იმაშია, რომ მე მეტის-მეტად მომწონდა მისი ცოლი მარიამ სერგეის ასული. შეყვარებული არ ვიყავი, მაგრამ მომწონდა მისი სახე, თვალები, ხმა, მიხვრა-მოხვრა, ვლონდებოდი თუ დამიგვიანდებოდა იმისი ნახვა. და ჩემ ოცნებას წინ არაფერი არ წამოუდგებოდა ისე ხალისიანად, როგორც ეს ახალგაზდა, ლამაზი და მშვენიერი ქალი. არავითარი განსაზღვრული აზრი არ მქონია იმაზე და არც ვოცნებობდი რამეზე, მაგრამ — არ ვიცი რათა—ყოველთვის, როდესაც მე და ის მარტონი დავრჩებოდით, მომაგონდებოდა, რომ იმისი ქმარი მე მეგობრათ მთვლის და თავს უხერხულად ვგრძნობდი. როდესაც ის დაუკრავდა როიალზე ჩემს საყვარელ ხმებს ან რამე საინტერესოს მიაშობდა, მე გულდასმით ყურს ვუგდებდი, მაგრამ იმავე დროს ჩემდა უნებურად ფიქრი მოსვენებას არ მძლევედა, რომ მას უყვარს თავისი ქმარი, რომელიც ჩემი მეგობარია და რომლის მეგობრათ თვით მარიამიც მთვლის; ეს შემიცვლიდა ხოლმე გუნებას. ვხდებოდი მოუხეშავი, დაღონებული... ის ამჩნევდა ამ ცვლილებას და მეტყობდა:

— თქვენ მოგეწყინათ უიმისოთ. უნდა გავგზავნო ვინმე მინდორში და მოვაყვანინო.

და როდესაც მოვიდოდა დიმიტრი პეტრესძე — ის მეტყობდა ხოლმე:

— აი მოვიდა ისიც. გაიხარეთ!

ასე გაიარა წელიწად ნახევარმა.

როგორღაც ერთხელ ივლისში, კვირადღეს მე და დიმიტრი პეტრესძე უსაქმობის გამო წავედით სოფელ კლუშინოში სავახშმო სანოვაგის სასყიდლათ. სანამ ყველაფერი ვიყიდეთ, მზე ჩავიდა კიდევ და დადგა საღამო, ის საღამო, რომელიც

მე ჩემს დღეში არ დამავიწყდება. ვიყიდეთ რა საპნის მსგავსი ყველი და კუპრივით მყრალი, გაქვავებული კალბასი, შევუხვიეთ დუქანში ლუდისთვის. ჩვენი მეეტლე წავიდა სამქედლოში ცხენების დასაჭედათ. დაბარებისამებრ ის უნდა მოსულიყო ჩვენთან საყდრის ახლო. ჩვენ დავსეირნობდით, ვმუსაიფობდით, ვიცინოდით ნაყიდზე; უკან ჩუმათ, საიდუმლოდ, როგორც ჯაშუში, მოგვდევდა ერთი კაცი, რომელსაც ჩვენ მაზრაში მეტ სახელად „ორმოცწამებულს“ ეძახდნენ. ეს ორმოცწამებული იყო გავრილა სევეროვი, ანუ გავრიუშკა, რომელიც ცოტა ხანს ჩემთან ლაქიათ იყო, მაგრამ დავითხოვე როგორც ღვინის მოყვარული და ლოთი. ის მსახურებდა დიმიტრი პეტრესძესთანაც, მაგრამ იმავე ცოდვებისათვის იმანაც დაითხოვა. ეს იყო გაუმაძღარი ლოთი და მთელი მისი ცხოვრება წარმოადგენდა სიმთვრალეს. მამა იმისი იყო მღვდელი, დედა—აზნაურის ქალი; მაშასადამე, დაბადებიდანვე ის ეკუთვნოდა კეთილშობილურ წოდებას; მაგრამ რამდენსაც ვაკვირდებოდი მის მუდამ გაოფლიანებულ, დაღარულ სახეს, ჭალარა გამოორეულ ქერა წვერს, საბრალო დაგლეჯილ „პიჯაკს“ და მკერდზე გადაფარებულ წითელ პერანგს, მაინც ვერ დავინახე თითქმის კვალიც იმისა, რასაც ცხოვრებაში კეთილშობილება ჰქვიათ. ის თავის - თავს განათლებულ კაცს უწოდებდა, ამბობდა—სასულიერო სასწავლებელში ვსწავლობდი, მაგრამ კურსი არ დამისრულებია, რადგან თამბაქოს წვევისთვის გამომრიცხესო; შემდეგ ვგალობდი არქიელის ხორაში და ორ წელსაც მონასტერში ვცხოვრობდი, საიდანაც დამითხოვეს, თამბაქოს მოწვევისთვის კი არა, არამედ „სისუსტისთვისო“. ფეხით ორი გუბერნია გაიარა, რაღაცა თხოვნები მისცა კონსისტორიაში და სხვა-და-სხვა დაწესებულებებში, ოთხჯერ პასუხის-გებაში იყო მიცემული და ბოლოს დარჩა ჩვენს მაზრაში და მსახურებდა ხან ლაქიად, ხან ტყის მცველად, ბაზიერად, საყდრის დარაჯად. შეერთო მოქიფე ქვრივი მზარეული ქალი და სულ ჩაიფლო (ჩაჩნურ) ცხოვრების მორევში და ისე შეეთვისა მის სიბინძურე-სიტალახეს, რომ თავის კეთილშობილებაზე ლაპარაკობდა ხოლმე

უნდოთ, როგორც რამე ზღაპარზე. ამ აწერილ დროს დაწანწალებდა ის უადგილოდ, თავი ნაღბანდათ მოჰქონდა, მონადირეთ! ამისი ცოლი კი რამდენიმე ხნით სადღაც გადაიკარგებოდა.

დუქნიდან ჩვენ ეკლესიისაკენ წავედით და ჩამოვჯექით კარიბჭეზე. მეეტლეს ველოდდით. ორმოცწამებული ცოტა მოშორებით გაჩერდა და ხელი პირზე მიიფარა, რათა ჩაახველოს, როდესაც საჭიროება მოითხოვდა. ბნელოდა; საღამოს სინოტიოს მკაცრი სუნი იდგა და ის იყო მთვარე ემზადებოდა ამოსვლას. ვარსკვლავებით მოჭედნილ ლაჟვარდ ცაზე მოჩანდა მხოლოდ ორი ღრუბელი და ორივე მაღლა ჩვენს პირდაპირ. ერთი დიდი, გაშლილი—მეორე უფრო პატარა; ისინი, განმარტოებულნი, თითქოს დედა-შვილიაო; მისდევდნენ ერთი მეორეს იქით, სადაც უკანასკნელად-ლა ბჟუტავდა ჩამავალი მზის სხივები.

— მშვენიერი დღეა დღეს, — სთქვა დიმიტრი პეტრესძემ.

— დიახ საუცხოვო... — დაეთანხმა ორმოცწამებული და მოწიწებით ჩაახველა მუქაში. — როგორ მოხდა ეს, დიმიტრი პეტროვიჩ, რომ თქვენ აქ მოსვლა გინებებიათ? — გამომცდელი ხმით დაეკითხა ის სილინს, რომ საუბარი ჩამოეგდო.

დიმიტრი პეტრეს ძემ არ უპასუხა. ორმოცწამებულმა ღრმით ამოიოხრა, განზე გაიხედა და დაბალი ხმით წაილაპარაკა:

— ვიტანჯები მხოლოდ ერთი მიზეზის გამო, რომლისთვისაც პასუხი უნდა ვაგო ყოვლის შემძლე ღმერთის წინაშე. თუმცა მე დაკარგული, უნიჭო ადამიანი ვარ, მაგრამ ერწმუნეთ სინილის: ულუკმაპუროდ და ძაღლზე უარესათ... მაპატიეთ, დიმიტრი პეტროვიჩ!

სილინი ყურს არ უგდებდა და იდაყვ-დაყრდნობილი რაღაცაზე ფიქრობდა. საყდარი ქუჩის ბოლოში იდგა, მდინარის მაღლობ კიდებზე, და ჩვენ, ღობეს იქით, ნათლად ვხედავდით მდინარეს, გაშლილ მინდვრებს და კოცონის კაშკაშა ალს,

რომლის ირგვლივ დაფუსფუსებდა რამდენიმე კაცი და ცხენი. კოცონს იქით კი ციმციმებდა რამდენიმე მბჟუტავი ალი: ეს სოფლიდან... იქიდანვე მოისმოდა სიმღერები.

მდინარიდან და მინდვრებიდან ნისლი ადიოდა. მაღალი, წვრილი, თეთრი, როგორც თოვლი, ღრუბლის ნაგლეჯები ზანტათ დაცურავდნენ მდინარის თავზე; ხან მოციმციმე ვარსკვლავს გადაეფარებოდნენ და ხანაც მაღლათ წამოჭიმულ ტირითს მოედებოდნენ. ყოველ წუთში იცვლიდნენ სახეს და გეგონებოდა ზოგი ერთმანეთს. ეხვევა, ზოგიც ერთი მეორეს ესალმება, ზოგნიც მღვდელივით აპყრობენ ხელებს ცისაკენ და ლოცულობენ...

აღბათ, ამ სურათმა მოაგონა დიმიტრი პეტრეს ძეს მოჩვენება და მიცვალებულები, რადგან ის მობრუნდა ჩემკენ, მომაპყრო სახე და ნაღვლიანი ღიმილით მკითხა:

— მითხარი, ჩემო ძვირფასო, როდესაც გვინდა რაიმე საშიშარ, საიდუმლო და ფანტასტიურზე ვილაპარაკოთ, მაინცა და მაინც მოჩვენებიდან და საიქიოს ბურუსიდან რად ვიღებთ სალაპარაკო საგანს და არა ცხოვრებიდან?

— საშიშარია ის, რაც გაუგებარია.

— განა ცხოვრება თქვენ გაგეგებათ? მითხარით: ცხოვრება თქვენ უფრო გესმით, ვიდრე საიქიო?

დიმიტრი პეტრესძე მომიჯდა ისე ახლოს, რომ მე მესმოდა იმისი სუნთქვა. საღამოს სიბნელეში იმისი გამხდარი მკრთალი სახე მოჩანდა უფრო მკრთალად, შავი წვერი კი — მქვარტლზე უშავესად... თვალები ჰქონდა მოწყენილი, წრფელი და ცოტათი შეშინებული, თითქოს ემზადება რაღაც საშიშარის თქმასაო. ის მე თვალებში მიყურებდა და ჩვეულებრივი მუდარის კილოთი განაგრძო:

— ჩვენი ცხოვრება და საიქიო ერთნაირად გაუგებარი და საშიში არიან. ვისაც მოჩვენებისა ეშინია, იმას ჩემიც უნდა ეშინოდეს, ან ამ ცეცხლის ალებისაც და ცისაც, რადგან თუ კარგათ დავუფიქრებთ, ყველა ესენი ისეთივე მიუწვდომელი და ფანტასტიურია, როგორც საიქიოდან დაბრუნებულ-

ნი. პრინცი ჰამლეტი არ იკლავდა თავს იმიტომ, რომ ეშინოდა იმ მოჩვენების, რომელიც, შეიძლება სწვევოდა მას სიკვდილის შემდეგ. ეს იმისი შესანიშნავი მონოლოგი ძალიან მომწონს მე, მაგრამ რო გულახდილად გითხრა—იმას ჩემს სულამდის არ მიუხწევია. გაგიტყდები თქვენ, როგორც ჩემს მეგობარს: მე ხანდა ხან სევდის დროს თვალწინ მედგა ჩემი სიკვდილის საათი. ჩემი ფანტაზია იგონებდა ათასგვარ საშინელ მოჩვენებებს და ჩემი თავი ამყავდა მტანჯავ აღმაფრენამდი—საშინელებამდე და ეს, გარწმუნებთ, არ მიმაჩნდა მე სინამდვილეზე უსაშიშრესად. რაღა გაგაგრძელო, საშიშია მოჩვენება, მაგრამ საშიშია ცხოვრებაც. მე, ჩემო გვრიტო, არ მესმის და მეშინიან ცხოვრებისა. არ ვიცი, შეიძლება, მე შეშლილი—ავადმყოფი კაცი ვიყო. ნორმალურ, ჯანმრთელ კაცს ჰგონია, რომ ხედავს ყველაფერს, მე-კი დავკარგე ეს „ჰგონია“ და დღითი-დღე ვიწამლავ თავს შიშით. არის ავადმყოფობა—სივრცის შიში და აწ მეც შემიპყრო ცხოვრების შიში. როდესაც ვწევარ ბალახზედ, დიდხანს შევსცქერი მუშოს, რომელიც მხოლოდ გუშინ გაჩნდა და არაფერი გაეგება, იმისი ცხოვრება მეჩვენება რაღაც დაუსრულებელ საშინელებად და იმაში ვხედავ ჩემს საკუთარ თავს.

— განსაკუთრებით რა უფრო გაშინებთ?—ვკითხე მე.

— ჩემთვის ყველაფერი საშინელებაა. მე ბუნებით არ ვარ ღრმა მოაზრე და ცოტას მაინტერესებს ისეთი კითხვები, როგორც საიქიო, კაცობრიობის ბედ-იღბალი და საზოგადოთ ძალიან ძვირად შევტოპავ ცის სივრცეში. თავი და თავი საშინელება—ეს ყოველ-დღიური არარაობაა, რომელსაც ერთი ჩვენგანიც ვერ მოსცილებია. მე არ ძალმიძს გავარჩიო რომელია ჩემს ნამოქმედარში სიმართლე და რომელი სიცრუე და აი ეს მაწუხებს. ვგრძნობ, რომ ცხოვრების პირობებმა და აღზრდამ ჩამაყენა სიცრუის ვიწრო წრეში, რომ მთელი ჩემი ცხოვრება არის ყოველ დღიური მეცადინეობა იმაზე, რომ მოვატყუო სხვაც და თავიც და არ შევნიშნო ეს. და მე მეშინია, როცა მომაგონდება, რომ სიკვდილამდე თავს ვერ დავალწევ

ამ ტყუილის მორევს. დღეს ვაკეთებ რასმე და ხეალ აღარ მესმის, რისთვის გავაკეთე ეს! პეტერბურგში სამსახურში შევედი, — შემეშინდა, აქ მოვედი, ვიოჯახებ-მეთქი — აქაც შემეშინდა... მე ვხედავ, რომ ჩვენ ძლიერ ცოტა ვიცით და ამიტომ ხშირად ვცდებით. ვართ უსამართლონი, მამებლარნი, დავცინით სხვების მოქმედებას და თითონ ჩვენ-კი მთელ ძალღონეს ვხარჯავთ უბრალო სისულელეზე, რომელიც ჩვენთვის საჭირო არ არის და ცხოვრებაში ხელს გვიშლის; მე ესეც საკვირველებათ მიმაჩნია, რადგან არ მესმის ვისთვის, ან რისთვის არის ყველა ეს საჭირო. მე, ჩემო სინათლე, ვერ ვიცნობ ადამიანთ და მეშინიან იმათი. მე მეშინიან გლეხების შეხედვა, არ მესმის, რა უღიადეს მიზნისთვის იტანჯებიან ისინი ან რისთვის ცხოვრობენ. თუ ცხოვრება სიტკბოებაა — ისინი ზედ მეტნი, უსარგებლონი ყოფილან; და თუ ცხოვრების აზრი და მიზანი დაუბოლოვებელი ტანჯვაა, ბრიყვი უიმედობაა — არ მესმის, ვისთვის ან რისთვის არის საჭირო ეს ინკვიზიცია. არავინ და არაფერი არ გამეგება. აბა გამოიცანით თქვენ ეს პირი! — მიმიტითა სილინმა „ორმოცწამებულზე“! — დაფიქრდით: განა ეს საშინელება არ არის!

დაინახა რა ორმოც წამებულმა, რომ ჩვენ იმას შევხედეთ, მოწიწებით ჩაახველა მუჭში და წაილაპარაკა:

— კარგი ბატონისა მეც ყოველთვინ ერთგული მოსამსახურე ვყოფილვარ, მაგრამ თავი მიზეზი — ეს მაგარი სასმელებია. ვინმე რომ ეხლა მე საწყალს შემიბრალებდეს და ადგილს მომცემდეს, მთხვევით გადავუხდი ღმერთს მადლობას. ჩემი სიტყვა უცვლელია?

საყდრის დარაჯმა გაიარა ახლოს, გაკვირვებულმა გადმოგვხედა და თოკს დაუწყო წევა. ზარის ნელმა ხმამ დაარღვია სიჩუმე, გაისმა ათი ხმა.

— დახე, ათი საათი გამხდარა კიდევ! — სთქვა დიმიტრი პეტრესძემ: — დროა წასვლისა. დიად, ჩემო ბატონო, — ამრობოხრა სილინმა და განაგრძო — რომ იცოდეთ, რა რიგათ მეშინიან მე ამ ყოველ-დღიურ, ამ ქვეყნიური აზრებისა, რომლე-

ბიც, მგონი, საშიშნი სრულიათ არ უნდა იყვნენ; რომ არ ვიფიქრო—მუშაობით ვერთობი და ვცდილობ ძლიერ დავი ღალო, რათა ღამით მაგრად დამეძინოს. ცოლი, შვილები—სხვებისთვის ეს ჩვეულებრივია, მაგრამ ჩემთვის რა სიმძიმეა ესენი! მან გადაისვა ხელი სახეზე, ერთი ამოიკვნესა და გადაიხარხარა.

— რო შემეძლოს აგიწერო რა სულელურ როლს ვასრულებდი მე ცხოვრებაში! განაგრძო მან: — ყველანი მეუბნებოდნენ: თქვენ საყვარელი ცოლი გყავთ, მშვენიერი ბავშვები და თქვენ თითონ საუცხოვო მამა ხართ ოჯახისაო. ჰგონიათ მე ძალიან ბედნიერი ვიყო და ჰშურთ. რაკი აქამდე ვილაპარაკე, მე თქვენ გეტყვით საიდუმლოთ: ჩემი, ვითომდა ბედნიერი, ოჯახური ცხოვრება არის—მხოლოდ ერთი უფერული გაუგებრობა და მეტი არაფერი. და აი ამისი მეშინიან მე.

ამისი მკრთალი სახე უშნოთ დაიღრია ანძალადევი ღიმილით, მომხვია წელზე ხელი და განაგრძო დაბალის ხმით:

— თქვენ ხართ ჩემი წრფელი მეგობარი. მე მაქვს თქვენი ნდობა და ღრმად პატივს გცემთ. მეგობრობას გვიგზავნის ჩვენ ზენა იმიტომ, რომ ერთმანეთს გული გადავუშალოთ და ამით თავი დავახწიოთ იმ საიდუმლოებას, რომელიც გვქენჯნის ჩვენ. მომეცით ნება ვისარგებლო თქვენის მეგობრული განწყობილებით და გითხრათ სრული სიმართლე. ჩემი ოჯახური ცხოვრება, რომელიც თქვენ ასე აღფრთოვანებული გგონიათ, არის ჩემი უმთავრესი უბედურება და შიში. მე დავქორწილდი გაუგებრად და სულელურად. უნდა გითხრათ, რომ ქორწინებამდე მაშო მე გაგიყვებით მიყვარდა და დავდევი მთელ ორ წელიწადს, ხუთჯერ გამოუცხადე მას სიყვარული და ხუთჯერვე უარი მივიღე. გულ-გრილად მეპყრობოდა მეექვსეჯერ, როდესაც სიყვარულით დამწვარი ფორთხვით და ჩოქვიფევევედრებოდი—ვთხოვდი ხელს, როგორც სამოწყალოს, დამეთანხმა... და ასე მითხრა:—„მე თქვენ არ მიყვარხართ, მაგრამ არ გიღალატებთ-კი“... ასეთი პირობა აღტაცებით მივიღე... მაშინ მესმოდა—რას ნიშნავდა ეს, მაგრამ ეხლა-კი,

ღმერთს ვფიცავ, აღარ მესმის.—„მე თქვენ არ მიყვარხართ, მაგრამ არ გიღალატებთ-კი“—რას ნიშნავს ეს? ეს ბურუსია, წყვდიადი... მე მიყვარს ის პირვანდებულათ ძლიერ, ის-კი ისევ გულ-გრილია და უხარიან ხოლმე, როდესაც მე მივდივარ სადმე. მაგრამ ჩვენ ხომ ერთად ვცხოვრობთ. ვლაპარაკობთ „შენ“-ობით, გვძინავს ერთად, გვყავს შვილები, საკუთრება ჩვენი საზიაროა... რას ნიშნავს ეს? რისთვის არის ასე? გაგეგებათ თქვენ რამე ამაებიდან? მკაცრი ტანჯვა! რადგან ჩვენი დამოკიდებულების არაფერი არ გამეგება, მე მძაგს ხან ის, ხან ჩემივ თავი, ხან ორივე ერთად. ყველაფერი ამერ-დამერია თავში, მე ვიტანჯები და ვსულელდები, ის კი, თითქოს ჯინაზე, დღითი დღე ლამაზდება, კეთდება, საუცხოვო ხდება... ჩემი აზრით, თმა მას შესანიშნავი აქვს და იღიმება ყველა ქალებზე უკეთესად. მე მიყვარს ის და ვიცი, რომ მიყვარს უიმედოთ. უიმედო სიყვარული იმ ქალისა, რომლისაგან ორი ბავშვი გყავს! განა ეს გაუგებარი საშინელება არ არის?! განა ეს მოჩვენებაზე უსაშინელესი არაა?!

ის ისეთ გუნებაზე იყო, რომ კიდევ დიდ ხანს ილაპარაკებდა, მაგრამ მეეტლეს. მოსვლამ და ლაპარაკმა ხელი შეუშალა. მოვიდა ჩვენი ცხენებიც. ჩვენ ჩავსხედით ეტლში; ორმოცწამებულმა ქულ მოხდილმა დაგვესხა ერთად ისეთი გამომეტყველებით, თითქო დიდი ხანია ეძებდა შემთხვევას ჩვენ ძვირფას სხეულს შეხებოდა.

— დიმიტრი პეტროვიჩი! თქვენთან მოსვლის ნება მომეცით,—წაილაპარაკა მან კისერ მოგრებით და თვალის ხამხამით,—მოიღეთ ღვთაებრივი მოწყალება! ვიღუპები შიმშილით!

— ჰო, კარგი,—უთხრა სილინმა.—მოდი ორი-სამი დღით და მერმე ვნახოთ.

— მესმის!—სიხარულით წამოიძახა ორმოცწამებულმა.—დღესვე მოვალ.

სახლამდის იყო ექვსი ვერსტი. დიმიტრი პეტრესძეს, კმაყოფილს იმითი, რომ ბოლოს მაინც გაუზიარა მეგობარს თავ-

ვისი საიდუმლოები. მთელი გზა წელზე ხელმოხვევული ვყავდი. ეხლა უდარდელად, უშიშრად და სიხარულით მეუბნებოდა, ოჯახური განწყობილება რომ მშვიდობიანი მქონდეს, ისევ პეტერბურგში დავბრუნდებოდი და მეცნიერულ შრომას შევეუდგებოდიო. ის მიმართულება, რომელმაც იმდენი ნიჭიერი ახალგაზრდები გარეკა სოფლად, შემცდარი მიმართულება იყო. ჭვავი და პური ჩვენ რუსეთში ბლომათა გვაქვს, მარა კულტურული კაცი ერთიც არა გვყავსო. საჭიროა, რომ ნიჭიერმა, ძლიერმა ახალგაზრდობამ მეცნიერებას, ხელოვნებას და პოლიტიკას მოჰკიდოს ხელიო. წინააღმდეგი მოქმედება დაუდევრობააო. მას ძალიან სწყინდა ჩემი დაშორება, რათა ხვალ დილით ადრე სხვაგან უნდა წასულიყო. მე კი უხეზულად ვგრძნობდი თავს, და ამავ დროს რაღაც მიხაროდა, თუმცა ვხედავდი-კი, რომ ვატყუებდი კაცს. მე შევცქეროდი ვებერთელა ამომავალ აპრილებულ მთვარეს, რომელიც მაგონებდა ტანად, ქერა, ფერ-მკრალ ქალს—ყოველთვის საუცხოვოთ მართლ-მოკაზმულს, რომელსაც არ უყვარს თავისი ქმარი და რაღაც, ჩემდა უნებურად, მიხაროდა ეს.

მივედით შინ და დავსხედით ვახშმათ. მარიამ სერგეის ასული მხიარულად დაგვიხდა და გაგვიძასპინძლდა ჩვენივე ნაყიდებით. მე ვხედავდი, რომ თმა მას მართლა შესანიშნავი აქვს და ილიმება ყველა ქალებზე უკეთესად. თვალს ვადევნებდი მის ყოველგვარ მიხვრა-მოხვრას და მსურდა დამენახა, ამომეკითხა, რომ მართლა არ უყვარს მას ქმარი. მე თითქმის ვრწმუნდებოდი ამაში. დიმიტრი პეტრესძემ მალე დაიწყო თვლენა. ვახშმის შემდეგ ჩვენთან დარჩა ის ასე ათი წუთი და გვი-თხრა:

— თქვენ როგორც გსურთ, ბატონებო, და მე კი, რადგან ხვალ სამ საათზე უნდა ავდგე, ნება მომეცით დაგტოვოთ. მან მორიდებით აკოცა ცოლს, მაგრა-მადლიერად მომიჭირა ხელი და ჩამომართვა სიტყვა, რომ ამ ერთი კვირის შემდეგ კიდევ მოვსულიყავი. რომ დილას არ წასძინებოდა და არ დაგვიანებულიყო, მეორე ოთახში წავიდა დასაძინებლად, მა-

რია მ სერგეის ასული იძინებდა პეტერბურგულად გვიან და მე ეს როგორღაც მიხაროდა.

— ანაირად, — დავიწყე მე, როდესაც მარტონი დავრჩით, — მმ... გთხოვთ გამოიჩინოთ გულკეთილობა და დაუკრათ რამე.

მუსიკა სრულიად არ მაინტერესებდა მე, მაგრამ არ ვიცოდი საიდან დამეწყო საუბარი. ის მოუჯდა როიალს და დაუკრა, არ მახსოვს — რა. მე ვიჯექი იმის ახლო, დავცქეროდი მის თეთრ ფუნთრუშა ხელებს და ვცდილობდი ამომეკითხა რამე იმის ცივ-ლმობიერ სახეზე. მაგრამ იმან რალაცაზე გაილიმა და შემომხედა.

— რადგან თქვენი მეგობარი აქ აღარ არის, მოგეწყინათ, განა?

მე გამეცინა.

— მეგობრობისთვის საკმარისია ჩემი აქ მოსვლა თვეში ერთჯელ, მე კი მოვდივარ თითქმის ყოველ კვირა. ვთქვი ეს თუ არა, წამოვდექი და აღელვებულმა სიარული დავიწყე. ისიც ადგა და ბუხრისკენ მიიწია.

— რა გინდათ ამითი სთქვათ? მკითხა და მომაპყრო თავისი დიდრონი ნათელი თვალები.

ვე არაფერი არ ვუპასუხე.

— თქვენ ტყუილი თქვით, — ცოტა სიჩუმის შემდეგ მითხრა იმან.

— თქვენ მოდინართ აქ მხოლოდ დიმიტრი პეტრესძეს გულისათვის. რაფუყოთ, მე ძალიან მოხარული ვარ. ჩვენ დროში ძვირად თუ ვინმე ნახავს ანაირ მეგობრობას.

— ეჭვ! გავიფიქრე მე და არ ვიცოდი რა მეთქვა, ბოლოს დავეკითხე: არ ისურვებთ ბალში გასეირნებას?

— არა.

მე გავედი ბანზე. თმა ამებურძენა და მთელ ტანში ამაღელვებელი ცივი ჟრუანტელი მივლიდა. უკვე დავრწმუნდი, რომ ჩვენი ლაპარაკი იქნებოდა სრულიათ უმნიშვნელო და ვერაფერ საინტერესოს ვერ ვეტყოდით ერთმანერთს, მაგრამ ამაღამ უნდა მომხდარიყო ის, რაზედაც მე ოცნებობაც-კი ვერ გამიბედნია. უსათუოთ ან ამაღამ — ან არასოდეს.

— რა საუცხოვო დარია! ვთქვი მე ხმა-მალლა.

— ჩემთვის ეს სულ ერთია, მომესმა პასუხი. შევედი სასტუმროში. მარიამ სერგეის ასული წინანდებურათ ბუხართან იჯდა, ფიქრებში გართულს ხელები უკან დაეწყო და განზე იცქირებოდა.

— თქვენთვის რად არის ეს სულ ერთი?— ვკითხე მე.

— იმიტომ, რომ მოწყენილი ვარ. თქვენ მოიწყენთ ხოლმე, როდესაც თქვენ მეგობარს არ ხედავთ— მე-კი ყოველთვის მოწყენილი ვარ. თუმცა... ეს თქვენთვის არაა საინტერესო.

მე მოვუჯექი როიალს, და ავიღე რამდენიმე ხმა იმის მოლოდინში, თუ რას იტყვის ის.

— თქვენ, თუ ღმერთი გწამთ, ნუ იბნევით, გაჯავრებული მომმართა, თითქოს მზად არის ჯავრისაგან იტიროსო;— თუ გეძინებათ, წადით და მოისვენეთ. ნუ გგონიათ, რადგან დიმიტრი პეტრესძის მეგობარი ხართ, ვალდებული იყოთ მის ცოლთან მოიწყინოთ. მე არ მსურს მსხვერპლი. წადით... მე, რასაკვირველია, არ წავედი. ის გავიდა ბანზე, მე დავრჩი სასტუმროში და ნოტებს დავუწყე ფურცვლა. — შემდეგ მეც გავედი. ჩვენ ვიდექით ფარდების ჩრდილის პირდაპირ. ქვევით მოჩანდა მთვარის შუქით მოფენილი კიბე. ყვავილნარის იქით, ხეივნის ყვითელ სილაზე იკლაკნებოდა ხეების შავი ჩრდილი.

— მეც ხვალ უნდა წავიდე, — წამოვილულლუდე მე.

— რასაკვირველია, ჩემი ქმარი თუ შინ არ არის, მაშინ თქვენი აქ დარჩენა არ შეიძლება, — დაცინვით ჩაილაპარაკა იმან. — წარმოდგენილი მაქვს, რა უბედური იქნებოდით თქვენ, მე რომ შემყვარებოდით. აი დაიცადეთ როდისმე მე ავდგები და ჩამოგეკიდებით ყელზე... დავინახავ, რა შიშით გაიქცევით ჩემგან. ეს საინტერესოა.

მისი მკრთალი სახე და სიტყვები გაჯავრებულისას ჰგვანდნენ, მაგრამ სავსე თვალეებში კი ნათლად გამოსჭვიოდა ნაზი, მხურვალე სიყვარული... და მე ვუცქეროდი ამ მშვენიერ ქნილებას, როგორც თავის საკუთრებას; მხოლოდ მაშინ შეე-

ნიშნე, რომ მას ოქროს-ფერი წარბები აქვს, საუცხოვო წარბები, რომლის მსგავსი მე ჩემს დღეში არ მენახა.

ვხედავდი, რომ მე ეხლა შემეძლო მისი დაახლოება, შეეხებოდი მის საუცხოვო თმას, დავმტკბარიყავი მასთან ალერსით, და ყველა ეს წარმომიდგა ისეთ საშინელებიკ მომასწავებელ რამეთ, რომ გამეცინა და თვალები დავხუჭე.

— მაგრამ ეხლა კი დროა... ღამე მშვიდობისა, წაილაპარაკა იმან.

— მე არ მინდა ღამე მშვიდობისა—მივაძახე და გავყევი უკან სასტუმროში მიმავალს, — მე დავსწყეველი ამ ღამეს, თუ ეს მშვიდობიანი იქნება. ხელი ხელზე მოვუჭირე და ისე მივაცილე კარებამდე. მე ამოვიკითხე იმის სახეზე, რომ მას ესმის ჩემი და მოხარულია, რომ მეც გავიგე მისი გულის-თქმა.

წველი ჩემთვის ოთახში. სტოლზე წიგნების ახლოს იდვა დიმიტრი პეტრეს ძის ქუდი და ეს მაგონებდა მის მეგობრობას... ავიღე ჯოხი და გავედი ბაღში. იქ ზეებს და ბუჩქებს ასდიოდა ნისლი და მოჩვენებასავით ზანტად დაცურავდა ჰაერში. როგორ მწყინს, რომ იმასთან ლაპარაკი არ შემეძლო!

ამ არა ჩვეულებრივს ნათელს ღამეში თითოეული ფოთოლი, მარგალიტით მოციმციმე ცვრის წვეთები—თითქოს მილიმოდა და როდესაც რამდენიმე სკამს ახლო ჩაუარე, მომაგონდა შექსპირის ერთ-ერთ პიესიდან შემდეგი სიტყვები: „როგორ ტკბილად ჩასძინებია მთვარის სინათლეს აქ, ამ სკამზე!“ ბაღში პატარა მალლობი იყო. ავედი ზედ და დავჯექი მოსვენებას არ მაძლევდა მომჯადოებელი გრძობა. დანამდვილებით ვიცოდი, რომ აი ახლავე ჩავიკრავ გულში. დავეწაფები მის ოქროს-ფერ წარბებს და არ მსურდა ამის დაჯერება. ვკიცხავდი ჩემს თავს და მწყინდა, რომ ასე ცოტა მაწვალა მან და დამემორჩილა.

მაგრამ აი გაისმა მოულოდნელი ფეხის ხმა. ხეივანზე გამოჩნდა შუატანის კაცი, ეს იყო ორმოცწამებული. ის ჩამოჯდა სკამზე, ერთი მწარეთ ამოიოხრა, გადაიწერა პირჯვარი

და დაწვა. წუთის შემდეგ წამოდგა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა. კოლოები და ლამის სინესტე უშლიდნენ დაძინებას.

— ეჰ, ცხოვრებავ! წაილულულა იმან.—საბრალო მწარე ხვედრო!

მე ვუცქერდი მის გამხდარ სახეს, კუზიან სხეულს, ყურს ვუგდებდი მის მძიმე-ხრინწიან ოხვრას და მაგონდებოდა ერთის ჩამწარებული საბრალო ცხოვრება, რომელმაც მე დღეს აღსარება მითხრა; ვიგრძენი რალაც შიში და სიმძიმე, შემეშინდა ჩემი ნეტარი მდგომარეობისა, მოვშორდი იმ ადგილს და გაღსწიე სახლისაკენ.

— ცხოვრება იმისი აზრით საშიშარია, ვფიქრობდი მე, — მაშ ნუ ეხუმრები მას, ებრძოლე, სინამ სრულიად არ გაგანადგურა მისმა მკაცრმა ტალღებმა და გამოსწოვე ყველაფერი, რაც კი შეიძლო.

მარიამ სერგეის ასული ბანზე იდგა. ჩუმათ მოგხვდით მას ხელები და მხურვალეთ დავუწყე კოცნა მის წარბებს, წამწამებს, კისერს...

ჩემს ოთახში მითხრა, რომ დიდი ხანია, წელიწადზე მეტია რაც მიყვარხარო. ის მეფიცებოდა სიყვარულს, სტიროდა და მევედრებოდა წამეყვანა ჩემთან. მე მიმყავდა ხოლმე ის ფანჯარასთან, რათა მთვარის შუქზე უფრო გამერჩია მისი სახე და წარმომიდგა მშვენიერ მოჩვენებად, მსწრაფლ მაგრად მოგხვდით ხელები, რომ სინამდვილეში დავრწმუნებულიყავი. დიდა ხანია, რაც ასეთი აღტაცება არ მიგრძენია... მაგრამ შორს—სულის სიღრმეში ვგრძნობდი რალაც უსიამოვნებას. იმის ჩემდამი სიყვარულში იყო რალაც მოუხერხებელი სიმძიმე—ისე როგორც დიმიტრი პეტრეს ძის მეგობრობაში. ეს იყო დიდებული ფიცი და ცრემლებით შებოჭილი სერიოზული სიყვარული, მე-კი არაფერი სერიოზული არ მინდოდა—არც ცრემლები, არც ფიცი, არც მომავალზე ლაპარაკი. მერჩინა ეს მთვარონი ღამე ისე გამქრალიყო ჩვენს ცხოვრებაში, როგორც

კაშკაშა მეტეორი—და მორჩომილიყო. მე მარიამ სერგეის ასული მომწონდა, მაგრამ არ მიყვარდა.

სწორეთ სამ საათზე წავიდა ის ჩემგან; და, როდესაც, კარებთან ატუზული, მიმავალს თვალს ვადევნებდი, კარიღორის ბოლოში უცბათ გამოჩნდა დიმიტრი პეტრესძე.

— გუშინ მე აქ ქუდი დამაფიწყდა... თითქოს თავისთვის წაილაპარაკა მან. ნახა ქუდი და ორივე ხელებით ჩამოიფხატა თავზე, მერმე შემომხედა შემკრთალ სახეზე—მერე ტუფლებზე და რალაც არა ჩვეულებრივი ხრინწიანი ხმით წაილაპარაკა:

— მე, ალბათ, დაბადებიდანვე ასეთი ბედისწერა მაქვს: არაფერი არ გავიგო. და თუ თქვენ გაგეგებათ რამე, მაშინ... გილოცავთ თქვენ. მე არეული მაქვს თვალეები, არა გამეგება-რა.

მან ჩაახველა და გასწია გარეთ. მე ფანჯარაში ვხედავდი ცხენებს როგორ აბამდა თითონ. ის ჩქარობდა, ხელები უკანკალებდნენ; იხედებოდა სახლისკენ. ალბათ, ხედავდა საშინელებას. ჩაჯდა ტარანტასში და, საშიშარი სახის გამომეტყველებით, თითქოს ვინმე მისდევს და აშინებსო, გაირეკა ცხენები.

ცოტა ხნის შემდეგ მეც წავიდი. მზე უკვე ამოდიოდა. გუშინდელი ნისლი გაუბედავით ეხვეოდა ბუჩქებსა და გორაკებს... ორმოც-წამებულს სადღაც მოესწრო დაღევა და კოფოზე ჩამომჯდარი რალაცას ღრიალებდა.

— მე თავისუფალი კაცი ვარ—უყვიროდა ის ცხენებს.—ვი, თქვენ!

— მე ძველთა-ძველი საპატიო მოქალაქე ვარ, იციით!?

შიში, რომლითაც დიმიტრი პეტრესძე იყო შეპყრობილი, გადამედო მეც. მე ვფიქრობდი მომხდარზე და არაფერი არ მესმოდა—ანგარიში ვერ მიმეცა თავისთვის. ვუცქერდი ყორნებს და საუცხოვო საშინელებათ მეჩვენა მათი ფრენა.

— რისთვის ჩავიდინე ეს?—ვეკითხებოდი ჩემს თავს განცვიფრებულ-ბრაზმორეული.—ეს, მაინცა-და-მაინც ასე რად

მოხდა და არა სხვანაირად? ვისთვის ან რისთვის არის საჭირო მარიამის ჩემდამი სიყვარული—სიყვარული სერიოზული. ან ქულისთვის თითონ რატომ შემოვიდა ოთახში? რა შუაშია აქ ქული? იმ დღესვე წავედი პეტერბურგში. არც დიმიტრი პეტრესძე და არც იმისი ცოლი მას შემდეგ ერთხელაც აღარ მინახავან. ამბობენ, რომ კიდევ ერთად ცხოვრობენო.

ა. მთაბევილი

ტორკვემალა

დრამა ვიქტორ ჰიუგოსი 5 მოქმედებად.

მეორე მოქმედება

(სცენა წარმოდგენს ძველებურ ზაღას სუვილიაში ძველ მავრიტანელს ციხეში. მისი ფანჯრებიდან სჩანს ტაბჯადა, სადაც იყო ძველი კვემადერო. ეს ზაღა არის საიდუმლო რჩევის ზაღა. ზაღის შუაკედელში კარებია, განიერი ფარდით ჩამოფარებული. მარცხნივ დგას კრძელი სტოლი, აქეთ-იქით უდგის ორი სივარძელი საკოცნლო გვერგვინებით მორთული. იქვე, გვერდით ერთი ჰატარა მალული კარი, დაბალი, ვიწრო, რომელიც გადის მალულ კიბეზედ. შორე გვერდზედ, მარჯვნივ, დიდი და განიერი კარები სამი საფეხურით. სტოლს აფარია ხაჭიჩა ანაკონიისა და კასტილიის ღერებებით შემკობილი. სტოლის შუა გულზედ, დიდს ვერცხლის ბლუდზედ, აწევია ოცდაათი გროფა ოქროს ფულისა; სტოლზედ ვერცხლის საწერელი, ოქროთ-დაფერილი, ეტრატო, წმინდა სანთელი, ბეჭედი, ოქროთ დაფერილი კალმები; სტოლის გვერდით ჰატარ შკაფი განჯინებით).

პირველი სანახაში

მარკიზ ჭუენტლ და მოისეი-შენ-ხაბიბ, კბრაელთ-მთავარ-ჩაბინი.

(ორივენი გამოდინ მალულ კარებიდან)

მარკიზ. ფული, ფული, ბევრი ფული! (ჩაბინი ბლუდზედ უჩვენებს, რომელიც სასყა ოქროთი. მარკიზი სმინჯავს) მშვენიერებაა, მშვენიერება!

- წახინი.** ოცდა ათი გროვა, თითოში ათას-ათასი ეკიუ⁸⁵) ოქროთი.
- ძაქკიზ.** მშენიერი საშუალებაა.
- წახინი.** იზაბელლა ღუნწია.
- ძაქკიზ.** ჭერდინანდი კი მფლანგავია. სინამდვილე ჰსუფევს ქის ძირში, ცბიერება კი—ოქროს მადანში. სიცოცხლე საჩუქრებით უნდა დავიცვათ. რომ მოერიდოს კაცმა ბატონს, სუდიას, მოლალატეს, თავადს მღვდელს, ლარიბს უსათუოდ სიმდიდრე უნდა ჰქონდეს. მეფეები გლახაკობენ. იმათთან რისსამე თხოვნა ცარიელის ხელით არ შეიძლება. (წახინს) აი, პატარა კიბით ჩადი; წადი, ებრაელო, წადი! კოროლი ხომ, აგერ ფეხ-და-ფეხ მომდევს.
- წახინი.** გევედრებით, ჩემო ბატონო, ჩვენი მწყალობელი იყავით; დრო კიდევა გვაქს. დაიხსენით ებრაელნი!
- ძაქკიზ.** განსაცდელი უკანასკნელია! წადი! (აგდებს წახინს).
- წახინი.** თქვენი იმედითა ვარ.
- ძაქკიზ.** შენი ფულის იმედით იყავი.
- წახინი.** მიგვიშვებენ კი ჩვენ ყველას, შემტირალს ხალხს მუხლ-მოდრეკით შევევედროთ კოროლს და მის მელლეს?
- ძაქკიზ.** კარგი, კარგი; ახლა კი წადი!
- წახინი.** ოჰ, უბედურო დღევ! კოროლმა თუ არ გვიშუამდგომლა, ასი მოხუცი ებრაელი დღეს, სევილიაში,⁸⁶) ცეცხლში დაიწვიან და დანარჩენი ხალხი-კი, ვაგლახ ჩემო თავო, განდევნილი იქნებიან.
- ძაქკიზ** (ფიქრშია). ჰო, ყოველისფერი მზათ არის დასაწვავად; რა ხანია, რაც ეს გამოაცხადეს.
- წახინი.** მართალია, რომ კოროლი ამ საღამოს მიბრძანდება?

⁸⁵) ეკიუ—ფულია.

⁸⁶) სევილია, —მაზრა არის ისპანიაში.

- მარკიო.** დიახ, ერთის დლით. ხვალ დაბრუნდება. ძველად დადებულ კანონის ძალით, როცა ვინმე სიკვდილით დაისჯება, კოროლმა და მისმა მეუღლემ ტრიანის მონასტერში ერთი დღე ლოცვაში უნდა გაატარონ.
- რახბინი.** სიკვდილით დასჯა რომ არ ყოფილიყო შემოდებულნი, ლოცვაც აღარავის დასჭირდებოდა. ეცადეთ და დაგვიხსენით, ჩემო ბატონო.
- მარკიო.** კარგი, ნელა ილაპარაკე და წადი. (რახბინი მიწამდის თავს დაჭხრის მარკიოს წინაშე და გავა მალეუფს კარებში).
- მარკიო** (დაატქედება იმ კარებს, რომელშიაც გავიდა რახბინი).
 შენი გულისათვის და შენი ხალხის გულისათვის კი არა ვთრთი, ებრაელო, და გულს-მოდგინებით ვმოქმედობ, მე სხვა საქმე მაწუხებს. ვაგლახ მე, თავს ზარი მეცემა, როცა აუტოდაჭეს ზარების რეკა მესმის. დონ-სანჩო მონასტერშია და აღკვეცაზედ უარს ამბობს, ჯიუტი, დაუმორჩილებელი. შეუძლიანთ, როცა უნდათ, ცეცხლშიაც გადააგდონ. ამას ვშიშობ. ოჰ, წყეული მონასტერი! საჭიროა იმისი გამოყვანა იქიდან, მაგრამ როგორ? (დიდი კარები გაიღება და გამოვა კორალი. გუჩო მისდევს. კარები ისევ გაიხურება. კორალი მდიდრულად ჩაცმულია, მანტია სავსეა ძვირფასის თვალ-მარგალიტით. თავზედ ჭხურავს მწვანე სავერდის ქუდი და ზედ სამეფო გვირგვინი).

მეორე სანახაში

მარკიო, კორალი და გუჩო.

(კორალი, ვითომც ვერაფერს ვერა ჭხედავს, ღრმა ფექრშია).

კორალი (თავის-თვად). აჩქარება არ ივარგებს; ასე სჯობიან და ამას ვირჩევ.

მარკიო (დაბლა თავს დაუხრის კორალს). არეულობას უნდა ველოდეთ, თუ წინ არა აღუდგა-რა. (კორალი თავს

მალღა ასწევს. მარკიზი იმ კარებს უჩვენებს, რომელსაც დიდი ფარდა აფარია, ზაღის სიღრმეში). დიდი აუტო-
დატე მზადდება. დაწვა ბევრს გადაუწყვიტეს. ბრძა-
ნება არის გამოცხადებული ებრაელების განდევნი-
სა. მთელი ხალხი, რომელსაც კასტილიის კოროლს
ბერი ხელიდან აცლის...

კოროლი. ხალხის გროვას სდევნიან, ცეცხლი ტაკა-ტაკუტობს,
ეს გაშინებს? (დაინახავს ბლუდზედ ოქროს) ა! კიდევ
ფული? ვისგან არის?

მარკიზ. ებრაელებისაგან.

კოროლი. რამდენია?

მარკიზ. ოცდა ათი ათასი ეკიუ, ოქროთი. თქვენ მოგარ-
თვეს, მეფევ, ოცდა ათი ქალაქისაგან.

კოროლი. ძალიან კარგი! რას ითხოვენ?

მარკიზ. თხოულობენ აქ დარჩენას.

კოროლი. ეგ არ შეიძლება! ხალხს ნებას არ მივსცემ, რომ
უჩივებოდ იყონ.

მარკიზ. მიიღეთ წყალობა და გულ-კეთილ ინებეთ ეს ოქრო,
რომელიც მორჩილ ხალხს თქვენთვის მოუერთმევია.
გვედრებიან, მეფევ, გასცეთ ბრძანება, რომ ასი
კაცი იმათი თანამორჯულე არ იყვნენ დღეს ცეცხლ-
ში გადამწვარი.

კოროლი ეგ მეტის-მეტია!

მარკიზ. ასი? ბევრია!

კოროლი. არა, მაგას კი არ ვამბობ; მეტის-მეტია, მეთქი,
რომ მე შევაჩერო აუტოდატე. ცოლიც ჩამციე-
ბია და პაპაც. ორივემ მომბეზრეს თავი. დეე
ჰქნან, რაცა სწადიანთ, ცოტათი მაინც გადაჰ-
ბუგონ ხალხი, თორემ მე არ მომასვენებენ. სხვა?
ახალი რა არის? რას ამბობენ?

მარკაზ. არაფერი. ხალხსა სწვენ კორდოვი,⁸⁷⁾ სწვენ ტუ-
დელიში,⁸⁸⁾ სწვენ სარაგოსში⁸⁹⁾.

კორალდი. მერე?

მარკაზ. გრაჭი რეკვეზენსი⁹⁰⁾ მთვრალი წმიდანებს იხსენიებდა.
ეს შეიტყეს. მის გვირგვინის მიუხედავად ინკვიზიციამ
ცეცხლში ჩააგდო მისვე ქალაქში, ჟირონაში.⁹¹⁾ და
რადგანაც არც ერთმა მისმა მოსამსახურეთაგანმა არ
გასცა თავისი მეფე, ცეცხლმა და ანთებულმა კე-
რონმა მის სასახლეს გადაუარა და გადიწვა ყველა-
ფერი, მისი მასხარაც კი.

გუჩო (წამოხტება, თითქმის უცებ გამოეღვიძა). ახლავე ინკვი-
ზიციის ჭამილიარად გავხდები! ეშმაკმა კი წაიღოს!
და მივიღებ თანამდებობას; აი დალახვროს ეშმაკმა,
მე სრულებით არ მესიამოვნება ცოცხლივ გადა-
წვა.

კორალდი (ოქროს უცქერის). ურიის სისხლის გამოშვებამ აი რა
მოგვცა! ოქროს მექონი ხალხია!

გუჩო. (იქით) ისიც კი მეყოფა, სხვანი როგორც იხრაკე-
ბიან.

მარკაზ (კორალდს). ებრაელნი...

კორალდი. ურიები თქო!

მარკაზ. ურიები, მრავალნი და მოვაჭრენი, გვეედრებიან,
მეფევ, მუხლ-მოდრეკით, რომ დასტოვოთ აქა და
არ განდევნოთ ისპანიიდან და მისცეთ ნება, რომ
თქვენ ფეხს ემთხვიონ.

კორალდი. მაშ, რაღა უნდათ?

87) კორდოვი, — ქალაქის სახელია ისპანიაში.

88) ტუდელი, — ქალაქის სახელია.

89) სარაგოსი, — აგრეთვე.

90) რეკვეზენს, — გრაფი, იყო ისპანიაში კასტილიის კომანდორი,
მეფე.

91) ჟირონა, — ქალაქია; ამ გრაფის სატახტო ქალაქი.

მარკოზ. უნდათ სიკვდილი იქ, სადაც დახოცილან მათნი წინაპარნი, უნდათ ყოფნა სამშობლოში; და აი მათი თავის დასასხნელი, მეფევე, კეთილ ინებეთ და მიიღეთ ეს ოქრო.

კორნელი. ჩემი ცოლი თუ ყაბუღს იქნება, მეც დავსთანხმდებო. სთხოვე მობრძანდეს. (კორნელი გუჩოს ნიშანს მისცემს. გუჩო მივა კარებთან და გააღებს. იქ გამოჩნდება სსსხლის კაცი. გუჩო ჩუმად ელაპარაკება. სსსხლის კაცი თავს დაუხრის და შუვა კარებში და გაიხურავს. გუჩო მიუახლოვდება კორნელს და იატაკზედ მთიკეცავს, სავარძლის გვერდით).

მარკოზ. მეფევე, მთელს თავის სიცოცხლეს თქვენს ლოცვა-კურთხევაში იქნებიან.

კორნელი. მე იმათი ფული მინდა, ლოცვა-კურთხევა კი არა. იმათი ლოცვა-კურთხევა მე შეურაცხმყოფს.

მარკოზ. მეფევე, თქვენ წინაპრებს მოსწონდათ მაგათზედ მეფობა, თუ განდევნით, თქვენ საკოროლოს დიდი ხალხი დააკლდება.

კორნელი (სსსტიკად). კმარა! განა საქმე ხალხშია! აქ საქმე — ის გასათხოვარი ქალია. მას აქეთ, რაც ის ქალი მონასტერშია, მე მოსვენება არა მაქვს, არა მძინავს, იმის ბოდვაში ვარ, სულ ის მინდა. ასე ჯერ არ შემყვარებია როზა. პოლიტიკაზედ რას მელაპარაკები! მე სიყვარულს მივეცი ჩემი თავი. დონ-სანჩო? აღიკვეცა თუ არა?

მარკოზ. არა.

კორნელი. სახრჩობელა მზათ არის! თუ კიდევ უარზედ იქნება, მოკვდება! მე განგებ შევამწყვდიე ისინი ორს მონასტერში, იმ ქალაქში, სადაც მე თვითონა ვცხოვრობ, რომ ორივეს თვალი გადევნო. ქალი არის ამაღლების მონასტერში, ბიჭი კი წმიდა-ანტონის მონასტერში, იქ, სადაც ჩემმა წინაპარმა ოდესღაც თავისი ურჩი შვილი დაამწყვდია. დონ-სანჩო აღკვე-

ცილი იქნება, მე კი მზეთ-უნახავს ხელში ჩავიგდებ, როზას მე ავიყვან.

ძანკის. ახალი ოქმი, მერე, მონასტრების შესახებ?

კორაღი. ოქმი?...

ძანკის. დიახ, ოქმი, რომლის ძალითაც ის, ვინც მონასტრიდან გაანთავისუფლებს ვისმე, იქნება გამოცხადებული ავაზაკად, მოღალატედ, მგმობელად, მამის-მკვლელად, განდევნილად, და....

კორაღი. როგორ? (ძანკისს სსსტიკათ დაატყურობდა) მე მეფე ვარ ყველგან! ის წამი ახლოა, როცა მე იმ ქალს ხელში ავიყვან. საქმეს ბოლომდინ შევასრულებ. როზა ჩემი იქნება!

ძანკის. მაშინ თქვენ საქმე გექნებათ:...

კორაღი. საქმე მექნება, —ვისთან?

ძანკის. ჰმ....

კორაღი. სთქვი! მითხარი!

ძანკის. ტორკვემასთან.

კორაღი. მე? მეფეს?

ძანკის. ტორკვემასა — დიდებული ინკვიზიტორია!

კორაღი. რაო მერე?

ძანკის. მეფევე, ის არის განხორციელება ეკლესიისა. თუ გაჯავრდა....

კორაღი. მერე რაო, თუ გაჯავრდა?

ძანკის. ეკლესია ადვილად მიინდობს და ხელიდან უშვებს კი — ძნელად. ტორკვემასა ანკვიზიტორია. ყველა მონასტრები მას აქვს მინდობილი. ვერც მოტყუებით, ვერც ძალით ვერავინ ვერ წაართმევს ვერც ერთს ბერს და ვერც ერთს მოლოზანს. მეფევე, როგორც გაათორებული რამ მხეცი, გარს უვლის მონასტრებს, კბილების კრაჭუნით ყველას ეცემა და ამ კრავების დარაჯად არის მხოლოდ ერთად-ერთი მგელი. მეფე თუ ბრძენია, ბერს ხელს არ

ახლებს. მეფევ, ტორკვემადა თქვენ კარებს აფარია, მეფეს ქიშს მისცემს, აუცილებლად.

კორაღლი. ეჰ, არაფერია! დავქრთამავ!

ძანკაშ. სცადეთ.

კორაღლი. ამ ბერის დამორჩილება რომ მოვიწოდო....

ძანკაშ. სცადეთ, მეფევ!

კორაღლი. ჩემ ხელთ არის ყველაფერი, რასაც კი ადამიანის გული მოიწადინებს. ყოვლად ამაყნიც კი თავს იბრძინენ ჩემ წინაშე. და, გარდა ამისა, რომ დავიყოლიო ეს ბერი, ქალებიც-კი არიან!

ძანკაშ. მოხუცებულია.

კორაღლი. პატივის-ცემა, გვირგვინი, თვალ-მარგალიტი, ეპარქია, გრაფობა, წოდება, დიდებულება....

ძანკაშ. მეფევ, ტორკვემადას ბერობა ყველას ურჩევნია.

კორაღლი. ფული?

ძანკაშ. ღარიბად ყოფნა ურჩევნია.

კორაღლი (ჩაფიქრებული). ჰმ, მოხუცი, ღარიბი, თავ-დაბალი, რა გასაოცარი ძალაა!—(კორაღლი გუჟ-ხეჟს დაიკრეფს და ჩაფიქრებულია). აიტანოს კაცმა ეს ბნელი და ყოვლად-ძლიერი სიღარიბე, ჩემის მეფობის თანასწორი, ჩემ გვირგვინზედ შუქ-მომფენი? აიტანოს კაცმა ეს მეგობარი, ჩემ გვერდზედ მუდამ მდგომი. ჰმ!...

ძანკაშ. თქვენზედ მაღლა მდგარი.

კორაღლი. არა! არა!

ძანკაშ. ქალები, დიდებულება, ფული—ტორკვემადას სულ არაფრად მიაჩნია. არც ერთი ამ საშუალებათაგანი არ ვარგა იმის შავი ანაფორის მოსაცილებლად.

კორაღლი. სხვა საშუალებას ვიპოვნი. გესმის? ჰა?

ძანკაშ. არა, რა საშუალებას?

კორაღლი. ნამდვილი საშუალება, ქეშმარიტი! გესმის თუ არა?

ძანკაშ. არა!

კარაღლი. მოხუცი მღვდელი არბუეცი⁹²⁾ საკოთხეველის წინ მოკლული იყო. ამ მაგალითით რატომ არ ვისარგებლო?

მარკოზ. ეგ ვერ მოხერხდება. სიკვდილის შემდეგ გამოჩნდა წმიდა-არბუეცი; სხვა არაფერი. თქვენ ჰმეფობთ, და როდისაც ისურვებთ, ურიგებთ სიმდიდრეს, ხარისხოვნებას და სდევნით კიდევ; მაგრამ ეკლესია, ცეცხლშიაც რომ იყოს, იმ ხელს ეკვრის, რომელიც მას შეეხება. თქვენის დევნით, თქვენვე მითი აღამაღლებთ. ბერები იმითი არიან მძლავრნი, რომ იმათი მოკვლით, იმათვე ცხოველ-ვამყოფინებთ. არაფრის ღონის-ძიებით იმათი მოსპობა არ შეიძლება. დახოცილ ბერების ხროვიდან იზადება ლანდი— მოძღვარი. სისხლი მათი უშრობელია და ძვლები კი — ნაყოფიერია. ჩვენ ცოცხლებსა ვსდევნით და ვხოცავთ, მკვდარზედ კი ჩვენა ვლოცულობთ. თქვენ, მეფეები, სჩაგრავეთ ეკლესიას; თავის მხრით ეკლესია მაგიერს გიხდით გალობით, ცრემლით და გოდებით, მწვალებლობით, ბზის ტოტებით. ჰხოცეთ ეს ფარისევლნი, ზაფრა მორეულნი, დაჰკარით, მოჰკალით. ძალიან კარგი! ახლა ზეცისაკენ აღაჰყარით თვალები: ზეცა სავსეა წმიდანებით, რომელნიც თქვენვე, მეფევე, გაჰხადეთ წმიდანებათ. გულხელი დაიკრიფეთ, მუხლი მოიდრიკეთ. რაიცა შემეხება მე, ეკლესიისაგან მე აღტაცებული ვარ. გინდ მონა იყოს, გინდ დედოფალი — ბოლონდელი სიტყვა იმისია; ფუსფუსებს ძირსა, ფუსფუსებს შალსა. თქვენ ფეხითა სთელავთ, ვითარცა ჰიას, აღსდგება მკვდრეთით აღურიცხველ ვარსკვლავებად.

კარაღლი (დადგნებუჯი). დიახ, ის არის სენი, მე კი ავად-

⁹²⁾ არბუეცი, — ერთი წმიდანი ისპანიის ეკლესიისა.

მყოფი! შენ მართალი ხარ. რომის წინააღმდეგობა!...
ამაოა. უნდა დავმორჩილდე.

ძარკაზ (იქით). რა მალე დაძიყაბულდა! ამასთან ფრთხილად
უნდა ვიყო: ერთს რაზედმე რომ დავიყოლიო, სულ
წინააღმდეგი უნდა ვუტრჩიო ხოლმე; რომ სამხრეთი-
საკენ წავიყვანო, ჩრდილოეთისაკენ უნდა ვუტრჩიო
წასვლა. აი, ახლა ჩემი სჯერა. ეშმაკმა კი წაგილოს!
ჩემმა ხერხმა ვერ გასჭრა. მიკლაკნილი გზა, რომე-
ლიც ვირჩიე, არ გამომადგა. მაშ მიზანთან პირ-და-
პირ მივიდეთ. გამოვიცვლი კილოს. (ხმა მადლად) დიახ,
მეფევე, თქვენ ბერს ძალის ნებას აძლევთ და ეხლა
კი ეს ბერი—უდიდესი გახდა.

კორაოლი (ჩაფიქრებული). ეს ტორკვემდა...
ძარკაზ.

ისპანია უპყრია ხელში. ტორკვემდა—მღვდელ-მთა-
ვარია. სადაც თქვენ დაადებთ თქვენ ფრჩხილს, ის
თავის ბრჭყალებს დაადებს. თქვენ მაგიერია. ოხ,
მეფევე, ეხლა ის დრო აღარ არის, როცა თქვენ გინ-
დოდათ ხოლმე და თავისუფლად შეხვიდოდით მუ-
ქარვით რაიმე მონასტერში და გამოგყავდათ იქიდან
ვინც გინდოდათ. თვითონ წინამძღვრის ჩამოხრჩო-
ბაც შეგეძლოთ, ახლა-კი ამაზედ კრინტსაც ვერ
დასძრავთ. დიახ, ეს ბერი ფრიად შემაწუნებელია და
დამჩაგრავი. თქვენი სახრჩობელა?! ბერებს უნდა შე-
ეხოთ? აბა, ერთი სცადეთ! თქვენი მართლ-მსაჯუ-
ლება იმის მართლ-მსაჯულებიდან ბევრს რასმე
უნდა მოელოდებოდეს. ტორკვემდა გაიცინებდა,
თქვენ რომ თქვენი სახრჩობელა იმის აღგზნე-
ბულს ცეცხლთან დაგედგათ. თქვენი ბრძოლა
თანა-სწორი არ არის. მეფევე, დედა-მიწა—იმის
წილად-ხლოდია. სწორედ ისე, როგორც ღვა-
რძლსა სწვენ, მისი კერეონი გადარბის და ადამიანს
ნაცრად აქცევს. დანგრეულნი სამეფო სასახლეები
მონასტრებს დაემსგავსნენ. სამღვდელოებამ ყველა-

ფერს მოჰკიდა ხელი და იზრდება ისე; როგორც ანწლი: ამ აბუჩი ბერის უკმაყოფილების წინაშე ყველა თავს იხრის. თავს უშველე, ვინც შეიძლება, ამპარტავანნი ქვემძრომობენ, გამბედავნი ცახცახებენ. რას სჩადიან ტორტოზიდან⁹³⁾ მოყოლებული კადიკსამდე,⁹⁴⁾ სახელმწიფოს ერთ კუთხიდან-მეორემდისინ? ერთმანერთს აბეზლებენ. ვიანელი პრინცი და მარკიზ ალფონსი, თქვენი ბიძაშვილები, შებორკილებულნი არიან და იმავე ხელმა კისერში ჩაავლო ინჩანტი ტუდელლა. დონნა—ლეონორა და დონ—რამირის დროს, ისპანიის ყველა ქალაქებში სიმღერა და მხიარულება ისმოდა, ახლაკი საშინელი სიჩუმე და დუმილია. აღარ ისმის არც სიცილი, არც მხიარულობა. აღარც სიმდიდრეა, ყოველი ლხინი და დროს გატარება საექვოა. თვალგადუწვდენელი ისპანია წარმოადგენს ეხლა ზარ-დაცემულს ქვეყანას, შიშისაგან შეძრწოლებულს და ჰგავს გაჩუმებულს დღეობას. მეფევე, ყველა თქვენი ტყეები, სახრჩობელების ასაგებად იხარჯება და მალე ტყეც გამოილევა. შეცოდება ნამდვილი და შეცოდება საექვო ერთად არის არეული და ორივე კარგია სასჯელად. შეგხვდა მიმავალი—მისი თანამოზიარე გახდი; აშვილი ჰღალატობს მამას, მამაშვილს. ვისაც უცაბედათ გაუვარდება ხელიდან ჯვარი—ცოცხლივ დაიწვის. ერთი სიტყვა, ერთი ხელის გაქნევა—არის ერესი, წვალევა. ეს საშინელი ბერი ქრისტეზედ არის ჭკუა-შემცდარი. ყოველისფერი—დანაშაულობაა. ვინც ოცნებობს, ვინც სლომომონსა ჰფიცავს, ვინც უჩვენებს თავის-თავს, რომ ეშმაკს ეჩურჩულება, ვინც ფრჩხილებს დაიჭრის,

⁹³⁾ ტორტოზი,—დიდი ქალაქი, კატალონიაში, ისპანიაში.

⁹⁴⁾ კადიქსი,—სატახტო ქალაქი ამავე სახელის მაზრაში, ისპანიაში.

ვინც ფეხ-შიშველა დადის მარხვაში, ვინც დაბერებულ დედაკაცს შეირთავს ან მეტად ყმაწვილ-ქალს, ვინც ცხედარს გულ-დაღმა დააწვენს, ვინც შაბათ დღეს სუფრას გაშლის, ვინც შობას გარეთ ვირს გააგდებს ან ძროხასა, ვინც ხშირად ღმერთს იხსენიებს და არა ქრისტეს, ვინც იმალება—ეს ყველანი ძალად მიდიან ცეცხლში დასაწვავად. თუ მიჰყვები განსვენებულს, თუ ლექსებსა ჰკითხულობ, თუ მიმავალი სტირი, თუ ჩეროში ჰხიხარ ან კარებს უკან, თუ ვარსკვლავის ამოსვლას შესცქერიხარ—დანაშაულობაა და დანაშაულობა. მეფევე, ცეცხლი აღვზნებულია, ყველას სწავს და დიდდება; მეფევე, ზეცა, რომელიც ზევიდან თავს დაგვკურებს, აღის-ფრად არის მოდებული. ეს არის სისხლი თქვენი ქვეშევრდომებისა, რომელიც თქვენ წაგართევს. მალე ერთი მეომარიც აღარ დაგრჩებათ სამრად. და, აი თუ გინდათ, აი ახლა,—მაგრამ რა, თქვენ, როგორც მეფეს, თქვენთვის სულ-ერთია, თქვენ ხომ ერთის სიტყვის გამოთქმით შეგიძლიანთ მოსპოთ ყველაფერი... მაგრამ, არა, ვერას იზამთ, იმიტომ რომ ინკვიზიციამ ისპანია ძაღლის ხუხულაში ჩაჰკეტა და ხალხმაც კი თითქმის დაგივიწყათ. აი, დღეს, თქვენი სასახლის ფანჯრების წინ (გაღწევიანად უჩვენებს ზადის სიღრმეში და იმ კარებს, რომელსაც ფარდა აფარია. გუჩო განცვიფრებით უკრს უკლებს) გაჩაღდება ცეცხლი, იქნება ზღვა ცეცხლისა, მთელი მთა-ფერფლისა, რომელშიაც დაიწვიან და დაიხრაკვიან ქალები, იმ ავ-ხორცი ბერის თვალწინ, კაბების მაგიერად, ცეცხლის ალით შემ სილნი, ოთხივე კუთხეში აგებული იქნება ოთხი წინასწარმეტყველი, რომელიც დადგმული იქნება ოთხ ქარზედ, შიგნით ცარიელები იქნებიან, მაგრამ ადამიანებით კი გატენილი; იქიდან მოგვესმება

ვაება და გოდება, ალი გამოვარდება იმათ პირიდან და შემდეგ აღარა დარჩება-რა, გარდა ამ ოთხი კოლოსისა. და თქვენი ხალხი, ზარდაცემული, ღონემიხდილი და შეწუხებული ცხადად დაინახავს, როგორც გაჰქრება კვამლში მთელი ისპანია და თვითონ თქვენც, რადგანაც აღვზნებული ცეცხლი ამ დაწყევლილს ბერს ხელში უჭირავს. მეფევ, განქრებით თქვენ მტარვალის შუქით. (კორთლი ვითამც-და ღონემიხდილი სკამზე წამოჯდება).

კორთლი.

ეს ყველაფერი ეკლესიის სასარგებლოდ...

მარკიაზ.

და მეფობის დასაღუპავადაც! კასტილია მოფენილია ძელებით. ყოველგან ვაება ისმის. (კორთლს მიუახლოვდება) ტყუილად ეწინააღმდეგებით. თქვენ ტყვეთა ხართ. ისპანიაზედ აბლაბუდის ქსელი არის გაბმული, რომელშიაც მოჩანს ღმერთი—დაბურუსებული ვარსკვლავი, შავი ბადე, რომელიც სატანამ დედამიწაზედ დალურსმა. ეს ხაფანგი, რომლის წინაშე ადამიანის ჭკუა უღონოა, ჰგავს გუმბათს დიდის ეკლესიისას, რომლის საკურთხეველზედ ბრჭყვინავს ჯოჯოხეთი. იქ, თვით საშინელება თრთოლვაშია, წყვდიადი, სიკვდილის შიში და ქვეყანა შეძრწუნებული შესცქერის ამ სიწყვდიადეს! ქვეყანა იგონებს ვაალს, რომელსაც ქვეყნის დახრჩობა სწადდა; ზრდა არის შეცოდება; ფიქრი—არის დანაშაული; როგორა ჰბედავენ სიცოცხლეს, როდესაც თვით სიცოცხლე არის საშიშარი. ამ შავს ბადის შუა გულში ჰფუთფუთებს ბერი, ეს ბაჭაჭუა—ბუზით; ბუზი—თქვენა ხართ. (კორთლი თავს წადუნავს. მარკიაზი ათვალიერებს და განაგრძობს) მართლაც, რომ გასაოცარია და გასაკვირალი და შესაზარია, რომ ამ მონასტრებიდან, ამ წესდებულებიდან, აღთქმიდან შესდგა ის დიდი ბადე, რომელშიაც მოიმწყვდია არწივი. ასე კი არის! არწივი შეპყრობილი. ეხლა მხოლოდ იმ

ბადეში სჩანს, როგორც უთრთის ამ არწივს ფრთე-
ბი. თქვენ წინ სდგას კურთხევაანი, ბიბლია, სახარე-
ბა და ყოველი სურვილი შეუძლებელია; სიყვა-
რულს ვერ გაჰბედავთ, მეფობასაც ვერ გაჰბედავთ.
ძველი მეფეები, მტკიცე, როგორც მთა-კლდე, ბან-
ჯგვლიანი, როგორც ტყე, უფრო მამაცნი და უფრო
ქედ-მაღალნი იყვნენ; აწ-მყო სულ არაფრად სჩანს
უწინდელთან. კაროლს ქალს ართმევენ ხელიდან,
ის კი, მწყალობელი, დასცოცავს ისე, რომ ბუ-
ზლუნსაც კი ვერა ჰბედავს. ერთად-ერთი უუდიდე-
სობა დარჩა დედა მიწაზედ და ეს არის—ბერობა და
ამ ბერობის წარმომადგენელი არის ეს ბერი ტორ-
კვემადა და ბავშვივით ჰბედავს ქვეყანაზე თავის გა-
მოჩენას? და ეს ბერი მფლობელობს; თავის ქალამ-
ნის ქვეშ თქვენ უკავიხართ იმას; დიად, თქვენ, მე-
ფე; ადამიანის გულის კარებს, ჰკეტავს ის; გამოჩნ-
დება ის და მის წინ თავს იხრის კანონიც, სკიპტ-
რაც იღრიკება, ვითა წკნელი, ხმალიც უკუ იქცევა.
მისი გაშტერებული თვალი გამოხატავს უზომო რე-
გვენობას; იმპერია—მისი მიზანია, ადამიანი - მისი
ნიშანი და თავ-მოხრილი, ყველაფერს ჰფარავს თა-
ვისის აჩრდილით, ქვეყნიერობის მოდარაჯეა, ის
არის თვით ღმერთის საზარელი ჯაშუში (კაროლს
ზიარდაზიარ თვალეში შესცქერის). ისტორია იტყვის რო-
ლისმე, რომ ის იყო ცეცხლის საუკუნეო; ის იყო
სიწყვდიადის და სიმონავის საუკუნეო. რა მოახდინაო
იმან? ფერთლად აქციაო! პელასგის⁹⁵) ფარხმალს დარჩა
მემკვიდრედ სარი, ნახშირის ასარევად გამოსადეგი.
რა ერქვა იმ მეფესაო? ერქვაო—ტორკვემადა.

კაროლი (წამბდგება). ვფიცავ ჩემ სიცოცხლეს, მარკიზ, შენა
სტყუი! მეფეს ჰქვიან ჭერდინანდ, და ვერც ბერი

⁹⁵) პელასგი, ... უწინდელი მცხოვრებნი საბერძნეთისა.

და ვერც პაპა. ამას ვერ შესცვლიან და მე, ვეფხვი და ლომი, მაინც მეფედ ვიქნები და ვიქნები! ამას დავამტკიცებ მოკვეთილის თავებით. შენ თავს მოუყრი რამდენსამე შეიარაღებულ კაცს, მერე პირდაპირ ამალგების მონხსტრისაკენ გაჰქანდი, სტაცე ხელი ინჟანტას და სხვა ყველაფერი მტვრად აქციე, — მე ასე მინდა! მე მინდა, რომ ყოველისფერი ჩემ წინ იდრიკებოდეს, თავს იხრიდეს, დაეცემოდეს, ისრისებოდეს, გესმის?! და აჰა, ბრძანებაც! (შიფა სტოლთან, ხელში კალამს აიღებს და ეტრატს სჩქარათა სწეკს). „დანებდით კანონის ძალით; მარკიზი ასრულებს იმას, რაც მეფესა სურს!“ (მოაწეკს ხელს და ეტრატს მისცემს მარკიზს). თუ, ვინიცობაა, გეწინააღმდეგა ვინმე, დაჰკარი, დაახრჩე, დასწვი, გასრისე და რომ იმ ალაგას, სადაც ის დაწყევლილი მონასტერი დგას — არა დარჩეს-რა, არც ერთი სულიერი, არც ერთი კედელი! (გუჩო შეტის-შეტად გულ-განგვიფრებით ებღებს უუკს).

მარკიზ. ვინმე ბერი რომ....

კარლდი. სიკვდილი იმას!

მარკიზ. ან ვინმე უზრდელი რომ...

კარლდი. ბორკილი იმას! წაიყვანე ასი თავხედი, ჩემი აფრიკის გვარდიიდან; ეგეც იკმარებს, რომ მონასტრის შესავალი კარები შეამტვრიო.

მარკიზ (იქით). ასი კი არა, ორიც კმარა. (ხმამაღლა) საქმე კი საექვოა, თუმცა კი მეფემ მიბრძანა....

კარლდი. წადი!..

მარკიზ. როცა ინჟანტა ხელში მეყოლება, უნდა დავმალო სადმე.

კარლდი. რასაკვირველია.

მარკიზ. სად მიბრძანებთ?

კარლდი. ჩემი ბაღის ხეივანში; ადგილი იღუმალია და მიყრუებული. შენ ხომ იცი, რომ დღეს მივდივარ.

ძანაკიზ. ვიცი. ერთის დღით.

კორძლი. მივდივარ ტრიანაში. რომ დავბრუნდები, ინჭანტა იქ უნდა დამხვდეს...

ძანაკიზ. დიახ, იღუმალს და მიყრუებულს ბალის კუთხეში.

კორძლი. სწორეთ; იქ მე ბატონი ვარ.

ძანაკიზ. გასაღები? (შეფე შივა ჰატარა შკაფთან და ერთს განჯინას გააღებს).

კორძლი. ორი მაქვს, რადგანაც მარტო მე შევდივარ იქა. (ამოიღებს განჯინიდან ორ გასაღებს და ერთს გადასცემს ძანაკიზს.) ერთი შენთვის მომიცია. (მეორე გასაღებს ჩასდებს განჯინაში და შკაფში შესწევს. გუჩო, რომელიც კორძლის ზურგს უკან არის, მიუცვლდება შკაფს, გამოსწევს უჯრას, ამოიღებს გასაღებს, რომელიც კორძლმა შიგ ჩასდო, და გამობრუნდება).

გუჩო. მეორე კი მე მიმაქვს. (ჯიბეში ჩაიღებს).

კორძლი. აჰა! ბერები მძლავრნი არიან! პაპნი დიდებულნი! ტორკვემადა ჰმეფობს. ენახოთ! (მსახურის სმა კარებს უკან. „მისი უდიდებულესობა დედოფალი მობრძანდება“). (გამოვა კორძლევა, შავად ჩაცმული, მარჯალიტუჩით მართული; თავზედ გვირგვინი ადევს. კორძლს დაბლა თავს დაუკრავს; კორძლიც აგრეთვე უზასუხებს; მაგრამ ქუდს არ იხდის. კორძლევა შივა ერთს სავარძელთან, რომელიც სტოლთანა დგას, ზედ ჩამოჯდება და ზის უგრძობლად, ვითომც ვერასა ჭხედავდეს და არა ესმოდეს-რა. კორძლს და კორძლევას ქამრებში კრიალასანი ჰკვიდიათ.)

კორძლი. დაჩქარდი. სისწრაფე — ნახევარი გამარჯვებაა. წადი, მარკიზ, და აღასრულოე, რაც გიბრძანე. (გამოდის ჰერცოგ ალავა და შივა კორძლთან) რა ამბავია, ჰერცოგ ალავა!

ალავა (ორივეს თავს დაუკრავს). ებრაელების წარმომადგენელი, რომელთაც თქვენი სამფლობელოდან სდევნიან, ითხოვენ თქვენს წყალობას და ნებადართვას, რომ ფეხთა-თქვენთა წინაშე მუხლი მოიდრიკონ.

კორალი. კარგი, შემოვიდნენ. (ჭერცოვ ალფა გავა. მარკიზს
სმა დაბლა) წადი ჩქარა, გამოიყვანე ინფანტა. პირ-
და-პირ ამალღების მონასტერში წადი.

მარკიზ. (იქით) მერე კი წმიდა-ანტონის მონასტერში.

კორალი. წადი, წადი!

მარკიზ. მაგრამ....

კორალი რა იყო?

მარკიზ. ის დიდებული ინკვიზიტორი რომ....

კორალი. ის ბერი? ის არის ჭია და მე კი ვეშაპი ვარ. (ბრძა-
ნებლობის ნიშნით თავს გაუქნევს მარკიზს. მარკიზი თავს
დაუკრავს და მალულა კარებში გავა. კორალი დაჯდება
შეორე სავარძელზე, კორალევას ზირ-და-პირ. შემოვლენ
ებრაელები).

მესამე სანახაში

კორალი, კორალევა, ებრაელები

(უცხათ გაიღება კარები, სტენის სიღრმეში და სტენაზედ შე-
მოცვივთ ერთი სრფა ხალხისა, რომელსაც შემოჭეუება ჯარი.
ესენი არიან ებრაელების წარმომადგენლები. კაცები, დედ-კაცები,
ბავშვები, ეველანი თურთულ დაურილნი არიან, ძონძებში ჩაცმულ-
ნი, ფესშიშეველანი, ეველზედ თოკები აბიათ; ზოგიერთნი წაშები-
სკან დატანჯულნი ძლივთ მოძრაობენ, მოცოცავენ; ზოგი თვა-
ლებ-დათხრილები, რომელთაც მოუძღვიან ბავშვები. ეველანზე
წინ მოდის ებრაელი მთავარ კაბინი მოსე. სტალთან რამდე-
ნიმე ნაბიჯით რომ მახლოვდება, მუსილებზედ დაეცემა. ეველანი
მუსილებზედ დაეცემიან. მოხუცებულნი შუბლს იატაკს ტრეყაშენ.
არც კორალი, არც კორალევა არ შეჭხედავენ ებრაელებს.)

ნაბბინი (მუსლ-მოდრეკილი). კასტილიის დიდებულეობაე, არა-
განის დიდებულეობაე, მეფეე და დედოფალო!, ო,
ო, ბატონო ჩვენო და თქვენც, ქალბატონო ჩვენო!

ჩვენ, თქვენი შეძრწუნებულნი ქვეშევრდომნი, სასო-წარკვეთილნი, ფეხ-შიშველნი, ყელზედ თოკ-მობმულნი, ჯერ კვედრებით ღმერთს, მერე თქვენ და გავედრებთ, რადგანაც დაგვიდგა ჩვენი განკითხვის დღე! ზოგი ერთი ჩვენთაგანი ცეცხლში უნდა გადასწვან და სხვანი, მოხუცნი, ქალნი და ბავშვნი განდევნონ. ო, მეფევე, იმის-წინაშე, ვინც ზეცი-დან გვიყურებს და ჰხედავს ჩვენს ტანჯვას, მოგმართავთ თქვენ ჩვენის გოდებით. თქვენო უდიდებულესობავ, თქვენი ბრძანებლობა გვლუპავს ჩვენ, ვსტირით და ცრემლს ვაფრქვევთ, ჩვენი წინაპრების ძვლები კი თრთიან. ნუ აატირებთ ჩვენს საფლავსა. მოგვიტევეთ. ჩვენ თქვენი ერთგულნი ვართ და გულ-წრფელნი, ვცხოვრობთ წყნარად და ჩუმად ჩვენს ლარბს ქოხებში დაჩაგრულნი, განცალკევებულნი; კანონი ჩვენი ისეთი უბრალო რამ არის, რომ ძუძუ-მწოვარასაც კი შეუძლიან დახსომება. ებრაელს თავის დღეში არც გაუცინია და არც უმღერნია. ჩვენ ვიხდით ჩვენს ვარდასახდელს და ბეგარას, როგორიც უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ მაინც ფეხითა გვთელვენ; დანით ყელ-გამოჭრილ კაცის ტანთ-საცმელს დავემგსავსეთ. ქება და დიდება მალალსა ღმერთსა! ნუ თუ საჭიროა, რომ ახლად-დაბადებულ ბავშვთან, ძუძუ-მწოვარასთან, უსუსურთან ერთად ისრაილიც მირბოდეს და მთელს ქვეყანაზედ იფანტებოდეს? გინდათ, რომ მოისპოს ისრაილის ხალხი და მატანტალოდ გახდეს? მეფევე, ნუ გვდევნი ხმლითა და შუბებით და ღმერთი გაგიღებს თავის სასუფეველის კარებს. შეიცოდე ჩვენი ხალხი. ჩვენ ჩაგრულნი ვართ. მაშ ველარ ვიხილავთ ჩვენ მიწა-წყალს! დედის ძუძუ მაშ გამშრალა ჩვენთვის! ნადირი თავისუფლად ცხოვრობს ტყეში თავისის ძუთი, მფრინველი ბედნიერად ჰბუღობს თავის ბარტყებით, მაშ ჩვენც მოგვეციოთ ნება, რომ

თავისუფლად ვიცხოვროთ ჩვენს სარდაფებში, ჩვენ ქობებში; ჩვენი ჩამომავლობის საფლავის გვერდით. მოიღეთ წყალობა და თქვენთა ფეხთა წინაშე აგვიტანეთ ჩვენი, უბედურნი, თქვენი ფეხის მტვრის ამლოკველნი! განა კარგია, რომ გაფანტულნი ვიყვნეთ გზა და გზა ამ ქვეყნიერობაზე? მოგვეცით ნება, რომ ჩვენივე ხელით აშენებულ წყაროებიდან ვსვათ წმინდა წყალი, რომ ვიცხოვროთ იმავ მიწა-დორში, სადაც ჩვენივე ხელით პურსა ვსთესავთ და იქნებით მუდამ დღე-გრძელი. ვაგლახ მე! სასო-წარკვეთილი ხელებს ვიმტვრევთ! გვაშორე თავიდან, მეფევ, ჩვენი განდევნა; დაგვიტოვეთ ჩვენ ჩვენივე ზეცა! პური, რომელიც დასველებულია ცრემლით—მწარეა. ჩვენ თუ ვართ მტვერი—თქვენ ქარად ნუ იქცევით! (აქრძხედ უჩვენებს) აი, ჩვენი თავის დასახსნელი! მოიღეთ წყალობა და მიიღეთ ეს ოქრო. ო, მეფევ, გვიპატრონე და დაგვიხსენი; მოწყალე თვალით ერთხელ მაინც შემოგვხედეთ! გამოცვალეთ თქვენი გარდაწყვეტილება. მეფევ, გაფიცებთ თქვენს წმინდანს წინაპრებს, გაფიცებთ თქვენიანების საფლავს, მოიღეთ ჩვენზედ წყალობა და აქ დაგვარჩინეთ; და ვიქნებით მუდამ თქვენი ერთგულნი, ვილოცავთ თქვენთვის, თავსაც დავდებთ თქვენს ერთგულობაში! მეფევ! დედოფალო! მოგვიტევეთ! (სიჩუმეა. კორძლი და კორძლევა გაუნძრევლად სხედან. თვალსაც კი არ ახამხამებენ. ჭერცოვი ალავა, რომელიც ხმალო ამოდებულ კორძლის უკანა სდგას, რაბბინს ზურგში ხმაღს მიაკარებს. ამ ჩიშანზედ რაბბინი ადგება და ხმა-ამოუღებლივ, წუნარად გავა თავ-ჩადუნული; უველანი გაჭყვებიან, მოუბრუნებლივ. ჯარი ორ-წყებათა დგას და ებრაელებს უააქებენ. ებრაელები რომ გაუფენ, კარები დია რჩება. კორძლი ჭერცოვ ალავას ნიშნს მისცემს; ალავა მიუახლოვდება).

კორალი (აღაფას). ჩვენ მარტოდ გვინდა დარჩენა საქმეზედ მოსალაპარაკებლად. ჰერცოგ, თუ შემოვიდა ვინმე აქა, თუ გინდ პრინციც იყოს ვინმე, დაატუსაღეთ. ყველას, ვინც შემოსვლას გაჰბედავს, თავს გავაგდებინებ. კარები გაიკეტე და წადი. კარებს უდარაჯე. (ჰერცოგი ხმალს ძიხს დაუშვებს, თავს დაუკრავს, ხმალს მალა ასწევს და გავა. კარებს გაიკეტავს. კორალი და კორალევა მარტოკანი რჩებიან. ამ სცენის ღრვს გუჩო სტოლს ქვეშ დამალა, რომელსაც სუფრა აფარია, და იქიდან განცვიფრებით უუჩს უგდებს).

მეოთხე სანახაპი

კორალი, კორალევა და გუჩო (სტოლ-ქვეშ)

(კორალი და კორალევა ერთმანერთს შესტკეჩიან, ხმას არ იღებენ; სხედან უგრძობლად; სიჩუმეა. ბოლოს კორალევა დაიწუებს ოქროების შინჯვას.

კორალევა. ოცდა ათი ათასი ოქროს მარკა.⁹⁶⁾

კორალი. ოცდა ათი ათასი ოქროს მარკა.

კორალევა. ეს იმ წყეულებისაგან არის, ვარსკვლავთ მრიცხველებისაგან.

კორალი. ოცდა ათი ათასი ოქროს მარკა იზამს ექვსას ათასს პიასტრს⁹⁷⁾ ანუ ოცს მილიონს სეკინს⁹⁸⁾.

კორალევა. სეკინს?

კორალი დიახ, სეკინს, დედოფალო! აფრიკის ოქროზედ რომ დავახურდავოთ, მთელი ერთი გემი გაივსება.

⁹⁶⁾ მარკა, — ფულია; ერთი მარკა უდრის რუსულს კაპეიკის ერთს მეორმოცედს.

⁹⁷⁾ პიასტრი, — ფულია; ერთი პიასტრი უდრის რუსულს 6¼ კაპეიკს.

⁹⁸⁾ სეკინი, — ფულია; ერთი სეკინი უდრის რუსულს კაპეიკის ერთს 29-დს.

კორძაქვა. დიახ, მაგრამ ურია ხშირად უჩინრად ხდება ხოლმე.

კორძალი. რასაკვირველია.

კორძაქვა. მაშ მთელი ერთი გემი გაივსებოდა ამ ოქროთი?

კორძალი. დიახ, ზედ-პირამდისინ.

კორძაქვა. მარტო ამ ოქროთი?

კორძალი. მარტო ამ ოქროთი!

კორძაქვა. თვალი ამიჭრელდა. მოდი „მამაო ჩვენო“ წავიკითხოთ (ხელში კრიალსანს აიღებს. სისუშეს. კორძალი ხელს აქრავს ურევს).

კორძალი (ხელის სმით). მე-კი, ამ ფულით ბოაბდილს⁹⁹) ომს გამოვუცხადებდი.

კორძაქვა (კრიალსანს ათამაშებს). მეფევ, თუ ჩვენ ორში, მე თქვენზედ აღრე მოვკვდები, შემომფიცეთ, რომ ცოლს არ შეირთავთ!

კორძალი (იმავე სმით). ბოაბდილს ომი ამ ოქროთი...

კორძაქვა. შემომფიცავთ?

კორძალი. რასა? ჰო, რასაკვირველია, (ჩაფიქრებული) ეს ოქრო ყველა ხარჯს დაჭფარავდა, ყველას! მე გრენადას¹⁰⁰) დავიბჰრობდი, ჩემი გვირგვინის მარგალიტს. (კორძაქვა ღაფფას კათაგებს და დასდებს სტოლზედ კრიალსანს).

კორძაქვა. მეფევ, ეს ფული მივიღოთ და ებრაელები კი მაინც გავდევნოთ, რომელნიც მე მძულან და იმათი ქვეშევრდომელობა სრულებით არ მესიამოვნება. (კორძალი ცოლს შეხედავს) გავდევნოთ ებრაელები და ფული კი ავიღოთ.

კორძალი. მეც მაგას ვფიქრობდი. მაგრამ შეიძლება ამ გარდაწყვეტილებამ გლახად იმოქმედოს სხვაზედ....

⁹⁹) ბოაბდილი, — ბოლონდელი მავრიტანების მეფე გრენადაში.

¹⁰⁰) გრენადა, — ამ მეფის სატახტო ქალაქი იყო.

კოროლევა (ფუღს უუურებს). ოცდა ათი ათასი ოქროს მარკა!
თქვენ ხელშია....

კოროლი. აგრეთვე თქვენ ხელშია.

კოროლევა. შეიძლება კიდევ მოვსთხოვოთ?

კოროლი. შემდეგ, დიახა! ხონტქარს გრენადას წავართმევდი;
ურეებს დავსტოვებდი და მავრებს კი გავდევნიდი.

კოროლევა (გაუბედავთ). დიახ, დიახ.

კოროლი. გაცვლა....

კოროლევა. ორს ჰომორრაში რომელი ვირჩიოთ?

კოროლი. ვიღებთ ამ ფუღს, თუ არა?

კოროლევა. რასაკვირველია.

კოროლი (აიღებს კაღამს ხელში და ეტრატსედა სწევს). კარგი!
ოქმი, რომლის ძალითაც ებრაელები აქედან გან-
დევნილი უნდა ყოფილიყვნენ, ამითბ—გაუქმებულია!
ამითივე ამიკრძალავს კაცების ცეცხლში გადაწვაც!
მიბრძანებია განთავისუფლებულ იყვნენ ყველა დაპა-
ტიმრებული ებრაელები. (ხელს მოაწევს და გადსცემს
ეტრატს კოროლევას).

კოროლევა (კაღამს იღებს.) გადაწყვეტილია! (იშწამს, როცა უნდა
მოაწეროს ხელი, დიდი კარები ბრახუნით გაიღება; კო-
როლი და კოროლევა გაკვირვებულნი კარებს მიუბრუნდ-
ებიან. კარებში, მადლობედ, კიბის ჰაერგულს საფეხურზედ
გამოჩნდება ტორკეკმადა, რომელსაც დომინიკანელის ან-
ფორ აცვია და ხელში უჭირავს რკინის ჯვარი).

მ ე ხ უ თ ე ს ც ე ნ ა

კოროლი, კოროლევა და ტორკეკმადა

(ტორკეკმადა არ უუურებს არც კოროლს და არც კორო-
ლევას; უტქერის ჯვარ-ცმას).

ტორკეკმადა. შენ, ქრისტე ღმერთო იუდამ ოც და ათ ვერ-
ცხლად გაგყიდა. ეს კოროლი და ეს კოროლევა

მზათ არჩან ოც და ათი ათას ოქროს ეკიუზედ გაგ-
ყიღონ.

კორძლევა. ღმერთო ჩემო!

ტორკვემასდა (რკინის ჯვარს სტოლზედ დააგდებს). ისრაილნო,
მოდით, მოჰკიდეთ ამას ხელი!

კორძლევა. მამაო, ჩემო!

ტორკვემასდა. იღლესასწაულეთ, ისრაილნო! სწორეთ ასე გი-
წერიათ! ამ კოროლმა და ამ კოროლევაშ მოგყიდეს
თქვენ იესო ქრისტე.

კორძლევა. მამაო, ჩემო!

ტორკვემასდა (თრფეს თვალებში ჩასტყერის). წყეულ იყავ, კო-
როლო! წყეულ იყავ, კოროლევა!

კორძლევა. შეგვიწყალე!

ტორკვემასდა (შათს თავზედ გააშვეკს ხელებს). მუხლი მოიდრი-
კეთ! (კორძლევა მუხლებზედ დაეცემა; კორძლი შიშით
უყუშანობს) ორივემ! (კორძლი მუხლებზედ დაეცემა.
კორძლევაზედ უჩვენებს) აი, მბრძანებელი! (უჩვენებს
კორძლზედ) და ეს კი—მფლობელია! ამათ შუა
ოქროს გროვაა! ა, ა! თქვენ მეფე და დედოფალი
ხართ! (აიღებს ხელში ჯვარ-ცმას და თავის თავზედ
დაიდგამს) აი, ღმერთი! თქვენ შეცოდებაზედ მოგა-
სწართ! მიწას დაემხეთ! (კორძლევა მიწას დაემხობა).

კორძლევა. შეგვიწყალე!

ტორკვემასდა. შიში და ზარი!!

კორძლევა. მოგვითევე, მამაო!

ტორკვემასდა. რა თავხედობაა! მაშ ანტიქრისტის ძალა შემო-
სულა! ურიები დაბრუნებულნი არიან, აუტოდაჭე
აკრძალული! საშველი ცეცხლი მაშ აღარ მგზნება-
რებს! მეფეებს არა სურსთ! მაშ, ეს აბუჩი სკიპტ-
რა ჰბედავს და ჯვარს ხელს ახლებს! ეს ავაზაკი
კოროლი ჰბედავს და ყურს იყრუებს იესოს ხმაზედ!
დროა ყველაფერი გითხრათ და გაგაფრთხილოთ.
წმიდა ინკვიზიციის უფლება თქვენზედაც არის.

მარტო რომის პაპა არის თავისუფალი ინკვიზიციის წინაშე და არა მეფენი და კოროლნი! თქვენ ძილის დროს, თუ თქვენი სადილის დროს, ჩვენ დროშას აქვს უფლება თქვენ ოჯახში შესვლისა, რომ შეგაწუხოთ თქვენ თავისის მკაცრი და საშიშარი სურათებით... მეფეები, ეს ცრუ-ღმერთები, ყოველთვის მალწფოთარნი იყვნენ და ამიტომაც ზეცას ისინი სძულს. თქვენი კანონი ცრუა, მხოლოდ ჩვენია ჭეშმარიტი! ჩვენ ვართ პური, თქვენ კი—ღვარძლი! მალე მოვა ის დღე, როცა ნამგალი ბლომად მომკის ყანას! ჩვენ ვიტანთ თქვენს მეფობას. მაგრამ გამხილებთ კი, ყოველ დღე უფსკრულში ვავდებთ ჩვენ თქვენ სახელებს, სადაც მიგელისთ თქვენ მწუხარე სიწყვდიადღე და ტანჯვა! წყვდიადი სავსეა მეფეების გამხმარი თავის ქალათი. ძლიერნი მაშინა ხართ, როცა თქვენ ჯარში ბევრი მეომარია! ღმერთი გისმენთ თქვენ, თავის სიმაღლიდან. ბრძოლა და კანკალი თქვენ!

კაროლეკა. შეგვიწყალე, მამაო!

კაროლი (წამოდგება). ბატონო ინკვიზიტორო, კოროლი და კოროლევა ვსწუხვართ, ვნანობთ და გვსურს გავასწოროთ ჩვენი შეცდომილება. ისრაელნი განდევნილი იქნებიან და ჩვენ გაძლევთ სრულს ნებას, თქვენ მამაო, წმიდა ინკვიზიციისაგან გამოგზავნილო, გააჩინო ცეცხლი, მამაო მოძღვარო.

ტარკვეძადა. მე მაგ ნება-დართვას თქვენგან არ მოველი! (ჩამოვა სამ-საფეხურზედ, მიდის გაღჯერებისაკენ და უცბათ გადაშლის ფარდას, რომელიც კარებს ეფარა). აი, შეპხედეთ! (ბინდდება. გაღჯერებიდან გადებულს კარებში მჩანს ტაბლადას მოედანი სავსე ხალხით. შუა გულზედ დგას დიდი შენობა, სახელად კვემადერო, მთლათ ცეცხლით მოდებული, სახრჩობელებით, რომლებზედაც დახრჩობილი კაცები ჭკიდიან; ამათაც ცეცხლი უკიდა. ანთებუ-

ლი ნავთი, სავსე ბოჩკებით, რომელიც მალალს ხეებსედ არის დამაგრებული, იქცევა ზედ თავზედ, რომელთაც ქვეშიდან ტეცხლს უკიდებენ. დედა-კაცები რკინის ჰალა-ებთან მიკრულნი, ტიტველნი, იწვიან. კვემადრას ოთხივე კუთხივ დგას ოთხი უშველებელი ანდრიანტი, რომელთაც უწოდებენ: „ოთხს მასარბელს“. საშინელი ტეცხლი. კორფლი და კორფლვა უუურებენ ზარ-დაცემულნი. გუჩო სტოლის ქვეშიდან თავს გამოჭყფოფს, რომ დანახსნს ეს საშინელება. ტორკვემდა სიამოვნებით შესცქერის ამ სანახსნს).

ტორკვემდა. ო, ო, დღესასწაულო, დიდება, სიმხიარულევ! საშინელი და სატროფო მოწყალება ცეცხლითა პრილობს! საუკუნო დახსნა! წყეულნო, მიტევებულ იქნებით! ცეცხლი დედა-მიწაზედ აქრობს ჯოჯოხეთს! გაკურთხოს ღმერთმა შენ, ცეცხლო, ნეტარების მომცემო, ცეცხლო სიბილწისავე, შენ ხარ ნათელი, სამოთხის კარის გამღებო კაცობრიობისათვის, მხურვალე შეწყალება მრავლის აღერსით, ხვაშიადო გამოსყიდვა წყვდიადის მონისა, დიდებულო აუტოდაქე! მიტევება, კეთილ-გულობა, ნათელი, ცეცხლო, სიცოცხლევ! თვალი ჰქრება თვიზე ღმერთის ხილვით! ო, ო! რა, რა მშვენიერი ანდერძის აგებაა და რამდენი ცხონებული სულია! ისრაელნო, ცოდვილნო, ო, ო! ჩემნო ძვირფასნო მტრედნო, ამ ერთი წუთის წვალეობისათვის თქვენ მიიღებთ საუკუნო ნეტარებას! ადამიანისათვის აღარ იქნება არც წყევლა, არც განდევნა; ზეცაში ცხონების კარი ღიაა! სიყვარული იღვიძებს, და აი, მისი ზეიმი და დღესასწაული; აი მისი საოცრება! რა ბედნიერებაა! ასვლა პირდაპირ ზეცაში, დაულალავად! (ტეცხლიდან ისმის უფიჩილი) გესმისთ, აი როგორ გაჰკივის სატანა, ჰხედავს, რომ ადამიანი ხელიდან ეცლება! იტიროს საუკუნო დამნაშავემ საუკუნო

ქუქყნი! მე ჩემის ხელით შევეუკეთე დიდი წითელი
 ალის კარი. ო, ო! როგორ დაიჭრაქუნა, როცა
 მივჭკეტე! „ყოველთვის, არას დროს!“ უბედური გა-
 რეთ დარჩა სიბნელეში! (ზეცას შეჭუქუებს) დიახ, მე
 განვჭკურნე წყვდიადის საშინელი იარა! სამოთხე
 ტანჯვაში იყო; ზეცას გვერდში იარა ჰქონდა,
 ხრწნილი, სისხლიანი; ჯოჯოხეთს ფილთა შევეურქე
 ცეცხლიანი და ახლა ცის ლაქვარდში ვხედავ იმის
 ნაჭდევსა! ეს ის არის, ქრისტე, შენ, რომ შუბით
 განგმირეს! ო, ო! ოსანნა! ოსანნა! იარა აღარ არის!
 ჯოჯოხეთი აღარ არის! ყველაფერი გათავდა! წვალემა
 მოისპო! (უეუქებს კვემადეჯოს) ცეცხლის ლალი! ნახში-
 რი! ძვირფასი ქვა! დაიწვით ნაკვერჩხლებო! გალუვდი
 ნახშირო! აკაშკაშდი დიდებულო ცეცხლო! აპრიალ-
 დი ცეცხლო და გაანათე ქვეყანა! ძვირფასნო ნაპერწ-
 კალნო, ვარსკვლავებათ გარდიქეცით! სული განთა-
 ვისუფლდება გვამისაგან და გაწვალებული ნათლი-ღე-
 ბადამთავრდება ნეტარებით! ბრკიალი დოეღვარება!
 ალი! სატანა, მტერო ჩემო, რას იტყვი? (აღტაცებული)
 ცეცხლი! ალი განბანს ყოველს უწმინდურებას! დი-
 დებულო ფერის-ცვალემა! სარწმუნოების დამოწმე-
 ბა! ჩვენ ორნი ვდგევართ ღვთის-წინაშე, მე და სა-
 ტანა. ორივეს კეტები გვიჭირავს ხელში; ორივე
 ალის მფლობელი. სატანა მომაკვდავს ჰლუპავს, მე
 კი სულს ვიხსნი; ორივე მტარვალი ვართ, ერთი
 და იგივე საშუალებით ის ჰმართავს ჯოჯოხეთს, მე
 კი—სამოთხეს; ის ჰბადავს სიხვეს, მე კი—სიკეთეს;
 ის არის ნაგავში, მე კი—ტაძარში, და შავი აჩრ-
 დილი ჩვენ ორივეს სიამოვნებით შემოგვცქერის.
 (მიჭმარათავს მწკაჯებუჯს)—უჩემოთ, ძვირფასნო ჩემნო,
 დაილუპებოდის! ცეცხლის ემბაზი გიშველისთ თქვენ!
 ახლა მწყევლით, შვილნო ჩემნო! მაგრამ ამ წუთ-
 შივე მადლობას მიძღვნით, როცა შეიტყობთ, რა-

საც მე აგაცდინეთ! მე მოვჰკალი სატანა ისე, როგორც მიხეილ-მთავარ-ანგელოზმა, და თეთრი სერაფიმი დასცინის სატანას! თქვენი ვაება და გოდება, შეიღწო ჩემნო, ზეცას რომ მიაღწევს—სამხიარულო სიმღერად გარდაგექცევათ! ოჰ, როგორ ვიტანჯებოდი, როცა ზქვენა გხედავდით მტარვალებისაგან გაწვალებულებს, როცა ღრიალებდით, სტიროდით, ხელებს იმტვრევდით, გახურებულ რკინებით რომ გლავავდნენ! აი, ახლა, განთავისუფლებულნი ხართ, წადით, აფრინდით! შედით სამოთხეში! (თავს დაიხრის, ვითამც მიწის ქვეშ წასმე უეურებს) არა, ადამიანის სულს ველარ მიიღებ! (გასწორდება) ღმერთმა მსხნელი გამოგვიგზავნა, რომელზედაც ვეველდრებოდით და მიეცა ხსნა ადამიანს! წადით! წადით! წადით! კომლს ზეცაში ააქვს ადამიანის ცოცხალი სული, გვამისაგან განთავისუფლებული! ადამიანი განთავისუფლდა თავის ძველის მწიკვლისაგან; ყოველს ჰქონდა ან ცოდვა ან ცდომილება, ან მწიკვლი, ყოველს სულში ჰბუდობდა თავისი დევი, რომელიც აუქმებდა მის სინათლეს და ჰღრღნიდა მის ფრთას; ანგელოზი იღუპებოდა დემონის ხელში. ახლა ყველაფერი იწვის და უუდიდებულესი და უუბრწყინვალესი გაყრილობა ჰხდება ქრისტეს წინაშე, საფლავებს შორის. ვეშაპნო—განადგურდით! აფრინდით, მტრედნო! თქვენ, ჯოჯოხეთის მონანო, აფრინდით! თავისუფლება! თავისუფლება! ამოდით წყვდიადიდან—ნათელზე! იცვალე პირი საუკუნობავ!

მეზოთე მოქმედება

(ღამეა. აივანი ქერდინანდის შადისა, სვეილიაში. აივანი განიერია; მარჯვნივ და მარცხნივ ხშირი ხეივნები მიდის, ბოლოში კიბე აქვს, რომელიც ბადიდან აივანზედ აღის. ამ კიბეს უჭირავს მთელი სიგრძე აივანასა. კიბეზედ ვინც ამოდის, ჯერ თავი უჩანს და შემდეგ მთელი ტანი. აქა სდგას მამარილას გრძელი სკამი. ბადის ბოლო სიბნელეშია. შორს მჩანან მთები. მუუდროებაა. ამ მოქმედების დროს მთვარე წყნარად ამოდის)

პირველი სანახავი

ტორკვემდა და გუჩო

(აივანზედ მადიან მარჯვნივ მხარეს. გუჩოს ტორკვემდა ხელით მოჭყავს. ერთს ხელში თავისი ორი ჟღარუნა უჭირავს და მეორე ხელით კი ტორკვემდას ბადის გასაღებს აწვდის).

გუჩო.

ღირსი მქმენით და არ დაივიწყოთ, მონსინიორ, რომ მე, გუჩომ, ამ კოროლის მასხარამ, მოგართვით თქვენ გასაღები იმ საიდუმლო ბადისა, რომელიც ეკუთვნის ჩემს მეფეს. რა შეცოდება მოხდება აქა, არ ვიცი; ამისი მე არა გამეგება-რა. მხოლოდ, მგონია, რომ უკეთესი იქნებოდა, რომ ყოველივე თქვენის თვალთა ჰნახოთ. საქმე შეეხება მონასტრის წმიდა უფლებას და ყმაწვილ-ქალს, რომლის ჩაგდება ჰსურს მეფეს თავის ხელში, თუმცა კი ქალმა სიტყვა მისცა თავის ბიძა-შვილს, რომ მას მისთხოვ-

დეს; აი მხოლოდ ეს ვიცი ამ ბოროტ განძრახვაზედ. მე გახლავარ მეფის მასხარა; ჩემი საქმეა, რომ მეფე გავაცინო და გავამხიარულო. (ტორკვემდა გამართმევს გუჩოს გასადებს. გუჩო იქით) დაბეზლება არ ვარგა; მაგრამ ცოცხლივ რომ შემწვან—უარესია. ასე ვარჩიე. მშვიდობით. ჩემი ბელი აუტოლაძეზედ არ გამაბრწყინვალებს; ისევ მირჩენია, ჭკუა მიბრწყინავდეს და სანთელივით კი არ დავიწვა. ახლა თუ მკითხოს ვინმე: ვისთვისა ვარ მე ახლა გამოსადეგი?—მარტო ჩემი თავისთვის. ესეც კმარა. ოჰ, რა სულელები იყვნენ ისინი, ვისაც მე მამაცად მივაჩნდი, ვისაც ჭკუა-გამჭრიახ მასხარად მივაჩნდი, გესლიანად, ზიზლიან საწყლად. ეჰ, შემცდარნი ყოფილან ყველანი. ახლა რა მოხდება? მე ხელი დამიბანია! მერე, მე რომ დამწვან, მეფე ჩემ ცეცხლზედ ვერ გათბება. ამ ბებრუკუნამ მეფეს რომ წკიპარტი ჰკრას—ბურთივით გადაგორდება! მაშ, მოდი და მივჰყოფ ხელს დაბეზლებას; მით უფრო უარესი! ეჰ, ჩემ თავზედ მაინც ვიფიქრო, ეშმაკმა კი წამილოს! აღჩუ ჩემო კოჭო და მორჩა, გათავდა!

ტორკვემდა (გასადებსა ქსინჯავს. იქით). ძლივს ეპატია, შეცოდებას კი ხელ-ახლად იწყებს! საზიზღარო, ბოროტო, მეფევე! (გუჩო მიდის აივნის ბოლოში და სიბნელეში სინჯავს რაღასაც).

გუჩო. (იქით) ხის ძირში ვილაცას ვხედავ. აი, მგონია მარმარილოს კიბეზედ ამოდიან. სამნი რათ უნდა იყონ? რათა და რისთვის, ამას თავი დავანებოთ. გაქცევა სჯობიან, და ჩემ შემდეგ გინდ ქვა-ქვაზედაც არ იყოს!

ტორკვემდა (ბაღში იეურობს და თავის-თავად). მაშ ეს საიღუმლო ბაღია. ბიწიერების სამალავი! (ხელის ნაბიჯით გადის მარცხენა აივანში).

გუჩო. (თავის თავად). მოდიან; ახლა კი გავიქცე! (გადის იქითკენ, საიდანაც შემოვიდა. კიბეზედ ამომავალი მარკიზი ჭეუბტლი მოჩანს, მერე დონ-სანჩო და დონნა-როსა; ორივეს მონასტრის მსახურთა ტანისამოსი აცვიათ, როგორც ჰირველს მოქმედებაში. მარკიზს შემოჭყავს ესენი, თითო ჰირზე აქვს მიფარებული ნიშნად სიფროთხილისა და სიჩუმის).

მეორე სანახაჲ

მარკიზ ჭეუბტლ, დონ-სანჩო და დონნა-როსა

მარკიზ. ნათელი რომ ყოფილიყო, თქვენი მონასტრის ტანისამოსი დაგვლუპავდა, ადგილი უდაბურია, ბნელა და ვერავინ ვერა გვხედავს. ღმერთო! აი ახლა თქვენ თავისუფალნი ხართ. არავის ეჭვი არა აქვს, თუ სადა ხართ. სხვა გზაზედ წამოგიყვანეთ ისე, რომ ჩვენთვის თვალი არავის არ დაუდევნებია. გავისტუმრე ჩემი მსახურნი, რომელნიც მშველოდნენ, მაგრამ მაინც ვერა ვარ გულ-დამშვიდებული. ჩქარა უნდა ვიშოვნოთ ტანისამოსი, ცხენები, უნდა წავიდეთ, გავექცეთ. მხოლოდ გათენებამდისინ შეგვიძლიან ამაზედ ფიქრი (უცქერის მიფარებულს ბადის აივნებს). ბადის კარები კარგათ ჩაეჭკეტე. საფრთხილო არაფერია. მარტო კოროლს შეუძლიან აქ შემოსვლა, მაგრამ სხვაგან არის წასული. (სანჩოს) პრინცო, და ქალბატონო მე მომენდეთ. ძალიან გამიძნელდა თქვენი განთავისუფლება, რომ გამახსენდება, ვთრთი, მაგრამ მე მეტად გამბედავი ვარ და ხიფათის დროს ჩემი ღონე მემატება. თქვენ შემოგწირეთ მე ჩემი სიცოცხლე. მონასტრიდან გამოქცევა — პირველი ნაბიჯია, ისპანიიდან გასვლა — მეორე იქნება. ქკუ-აც კარგათ მიჭრის და მოხერხებულია, მაგრამ სა-

ზღვარს როგორ გადავსცილდეთ, აი ეს არის საქმე? ტორკვემდას მთელი ისპანია ხელში უჭყრია და მეფის დამცირებით იმაგრებს თავის დიდებულებას. ორი მონასტერი შევამტვრიე; დიდებული ინკვიზიტორი პასუხს მომთხოვს. აქ, ჩვენ ჯერ არა გვიშავს-რა; მაგრამ გათენებამდისინ კი სხვა თავ-შესაფარი უნდა მოვსძებნოთ. შეიძლება კოროლმა აქ მოგვა-სწროს. რა ვქნათ ახლა? სად მოვსძებნო ის კაცი, რომელიც თავ-შესაფარს მოგვცემდეს და გვიშვე-ლიდეს? ამისთანა კაცი უსათუოდ ბერი უნდა იყოს; ძალა ახლა იმათ ხელშია. წავალ, მოვსძებნი, მაგრამ მოღალატენი არიან. ხშირად გაცემენ ხოლმე იმას, ვინც შემოისყიდის. ოჰ, როგორ მენატრება თქვე-ნი ნახვა საფრანგეთში უშიშრად! ერთი საქმეც მა-წუხებს, რომელსაც ვერ დაგიმალავთ: თუმცა კი ეს საიდუმლო ბალი უდაბურია, მაგრამ ამ ბაღს იქით ინკვიზიციის საპყრობილეა. პატარა ხანს მარ-ტოთ დაგტოვებთ. გაქცევა თუ ერთად სიკვდილი? დიახ! სწორედ ასე! წაჭალ შესაფარს მოვსძებნი, ოჰ, მე ვთრთი, მაგრამ არა მიშავს-რა, რადგანაც თქვენ ჯერ ცოცხალნი ხართ. ღმერთმა გაკურ-თხოვს!

სანჩო. თქვენგან ყოვლისფრითა ვართ დავალებულნი!

მარკოზ. ოჰ, საწყალნო ჩემნო განდევნილნო! თქვენი დაღსნის საშუალება უნდა ვიპოვნოთ. აქ მომიცა-დეთ!

სანჩო. მადლობა როგორ გადაგიხადოთ, გვითხარით?

მარკოზ. თქვენის ბედნიერებით გადის იქითკენ, სადაც ცუხი გავიდა).

მისამე სანახაში

დონნა-როზა და დონ-სანჩო.

სანჩო. მთლად ვთრთი. შენი ნახვა—ნეტარებაა. მაგრამ შენთვის თრთოლა, რა განწირულებაა!

როზა. ღმერთმა შეგვეერთა, ღმერთივე დაგვიხსნის. (თავდავიწყებით უუუუებს სანჩოს) მიყვარხარ! (მხუფაღედ ეხვევიან ერთმანეთს).

სანჩო. (ბნელს ზეტას შეჭუუებს). ნუ თუ ამ ვარსკვლავიან დიდებულ კამარიდან არ ჩამოეშვება ვინმე უკვდავი, რომ დაგიფაროს თავისის აჩრდილით? ნუ თუ აღარ არიან ზეტაში ანგელოზნი და ფრთებ შეკვეცილნი არიან?

როზა. ჩვენ გყავს ერთი მეგობარი და ეს საწყალი ჩვენი ერთგულია.

სანჩო. ვაი, რომ თრთონაც შიშობს. საფრთხე ყოველგან გვარტყია. (გამოჩნდება ტორკვემდა. ხეებში იღვას და გაიგონებს ამ უკანასკნელ სიტყვებს. უუუებს უგღებს და უტკერის; თან და თან უფრთხ მუტის განცვიფრებით დასტკერდება სანჩოს და როზას. ესენი ტორკვემდას ვერა ჭხედვენ. სანჩო გამოართმევს როზას ხელს და ზეტას შეჭუუებს) ვინ მოვა, ღმერთო, შენ მფარველად?

ტორკვემდა. მე!... (ორივე შეშინებული მიიხედვენ).

მმოთხე სანახავი

დონ-სანჩო, დონნა-როსა და ტორკეპადა

ტორკეპადა. მე თქვენ გიცნობთ...

როსა (გაკვირვებულა და რაღაცას იგონებს). ეს მოხუცი...

ტორკეპადა. აღამიანი ვარ, გომორრისაგან განსჯილი და სო-
ლომისაგან დამხობილი, აღამიანი, რომელსაც თქვენ
უშველეთ, უცნობო შევილო. საფლაფი ვიყავი,
თქვენ მოხვედით და დამიხსენით. თქვენ ხართ
მტრედი და არწივი, კუბოდან ჩემი ამომყვანებელი.
სიცოცხლით დავალებული ვარ თქვენგან. მე თქვენ-
განა ვარ დახსნილი, ახლა ჩემი ჯერია.

როსა. ეს მოხუცი...

ტორკეპადა. თქვენს ტანთ-საცმელზედ გატყობთ, რომ ხართ
შეწირულნი ღვთის მშობლისადმი. ისევ ისრე გპო-
ვებთ, როგორც პირველადა გნახეთ. ჩემი სიცოცხ-
ლე გათავებული იყო, მაგრამ ჯერ კი არ მომკვდარ-
ვარ; ზეცით თქვენ გამომიჩნდით, ვითარცა ანგე-
ლოზნი, და დამიხსენით. ღმერთს მიუწოდებლის
გზით მოვპყევარ აქა, ისევ თქვენ გზაზედ. თქვენ
შველას ევედრებით და აი მე გაწვდენტ ხელსა.
ღმერთმა მოავლინა წმიდა დომინიკე თვალ-ყურის
სადევნელად პეტრე მეორეზე და მე კი—ჭერდინანდ-
ზედ, ამ არა-წმინდა მთავარზედ. გამოვიარე და თქვე-
ნი ხმა მომესმა. თქვენ, მგონია, განსაცდელში ხართ?
დამწყვდეული ხართ? რა შველა გჭირდებათ? ტყუი-
ლად კი არ მომანიჭა ღმერთმა გზა ამ საექვო სასა-
ხლისაკენ, ამ ბნელეთის ხვრელისაკენ; აქა გპოვებ
მე მწუხარებაში და არცა ვკვირობ, რადგანაც ღმერ-

თი მე და თქვენ ერთსა და იმავე გზაზედ გვატარებს. მე ვიყავი სამარეში, თქვენ მოხვედით; ამ საბნელეთში დაგამწყვდიეს და აი მე მოვედი. უთქვენოდ მე დავიღუპებოდი. მე თქვენ არ მოგელოდით ისრე, როგორათაც თქვენ მე არ მომელოდით. შერე, აქ როგორ გაჩნდით? მე როგორ-ღა გავჩნდი აქ? თქვენ საკვირველება იყავით ჩემთვის, მე კი—ზესთაბუნებითი მოჩვენება თქვენთვის. ღმერთმა უწყის, რასაც იქმს!

სანჩო. (აფხას). დიახ, ეს ის არის.

ტორკეკეძაძე. ნულარ შიშობთ! მე აქა ვარ. ვეჭვობ, რომ რაღაცა მახეში ხართ გაბმულნი. თუმცა მე განდევნილი ვარ, მაგრამ ვითარება ადამიანისა კარგად ვიცი. თქვენ მიყვარხართ და თვით მეფისაგანაც კი დაგიფარავთ.

სანჩო. მაშ, სჩანს, რომ მეფესთან ახლო დგეხართ?

ტორკეკეძაძე. მეფეზედ უფრო მალლა ვდგევარ.

სანჩო. შერე, ვინა ხართ?

ტორკეკეძაძე. თვითონ მე, თავის-თავად არა ვარ-რა. ყოველივე ბრძანებითა იესოსითა.

სანჩო. რა გქვიანთ?

ტორკეკეძაძე. ჩემი სახელია—„მხსნელობა“. მე ისა ვარ, რომელიც ჰხედავს დედა-მიწის საშინელს განმსჭვირვალეზას და მის ქვეშე ჯოჯოხეთსა. თვალნი ჩემნი სდევნიან მძვინვარე და მწუხარე ეშმაკთა; ძირსა ვხედავ საშინელს ჯურღმულსა, მკრთალსა ცეცხლსა და მიპყრია ხელში ჭურჭელი, რომელმანც უნდა გააქროს იგი. მაგრამ, მითხარით, რა გქვიანთ, თქვენი სახელი?

სანჩო. მე ვარ სანჩო, ბურგოსის ინჟანტი.

აფხას. მე—როზა, ინჟანტა ორტეცისა.

სანჩო. ჩვენ დანიშნულები ვართ.

ტორკვემას. თქვენ, ალბათ, ალექსანდრე დაგიდვიათ, რომლისაგან განთავისუფლება მხოლოდ აღსნას შეუძლიან. მაგრამ აქ როგორღა გაჩნდით?

სანჩო. მეფემ ძალით დამაპატიმრა მონასტერში. ესეც აგრეთვე. გამოპარულნი ვართ

ტორკვემას. ჯარიმას გარდაიხდით. მეფე მეტს გარდინდის, რადგანაც დანაშაული მისი უფრო მძიმეა. სამღვთო მონასტრის დასამწყვდევ ადგილად გარდაქცევა— შეცოდებაა; ვერაფერ ვერ შევა მონასტერში, თუ არ თავის-ნებაყოფლობით. თქვენ თავისუფალნი ხართ. როზა, სანჩო, იმედს ნუ ჰკარგავთ! სხვა რა გინდათ?

სანჩო. ჯვარის-წერა, მამაო!

ტორკვემას. კარგი, მე თვითონ დაგწერთ ჯვარსა.

როზა. ოჰ, მონსინიორო! (უნდა ფეხებში ჩაუფარდეს, ტორკვემასს ხელის ქნევით გაჩეკებს).

ტორკვემას. მკვდართა—სამოთხე, ცოცხალთა—ბედნიერება; აი მე რა მომაქვს; მშვიდსა და თავ-მდაბალს ერთს ხელში მიჭირავს მაშხალა, მეორეში—ბზა; იყავით ბედნიერნი!

სანჩო. ოჰ, სიხარულო! არ ვიცვი, რისგან არის, მაგრამ თქვენთან კი მეფისა არ მეშინიან, ვისიმე თუ მშინებოდა, თქვენი შიში უნდა მქონოდა. თქვენ რაღაც განგება ხართ ჩვენთვის. ვგრძნობ, რომ ძლიერი ხართ და უმაღლესი.

ტორკვემას. როზა, როგორც რახიელ, იაკობის მნახველი და მასთან შეუღლებული, თქვენც ისე იქნებით ცოლი სანჩოსი და მადლმა ზეცისამ ჩაშალოს მეფის განზრახვა, რომელზედაც თითქმის მიმხედარი ვარ. დიახ, თქვენ ორივეს დაგიხსნით. იმედს ნუ ჰკარგავთ!

როზა. ოჰ, ვინც უნდა იყოთ, მღვდელი, ეპისკოპოზი, მადლობას გწირავთ! გაკურთხოს ღმერთმა, მამაო.

დიდებული წამი იყო ის წამი, როდესაც ღმერთმა გაგვაგებინა თქვენი ხმა საფლავიდან, წმიდაო და მართალო მოხუცო!

სანჩო. ისე კარგათ მახსოვს, როგორც გუშინდელი ღღე, მშვენიერი ამინდი იყო; აპრილის თვე იდგა; მე ვარდებსა ვკრეფდი და შენ კი პეპელებს დასდევდი; ჩვენი ჩურჩული მზის სხივებში ირევოდა; დაღამდა; უეცრად ყვირილი მომესმა, ვითომც მომაკვდავისა; ვხედავ—დიდი ქვაა, ყურს ვუგდებ...

როზა. და მაშინა სთქვი: მიწაში კაციაო! გამოვიხსნათო! მაგრამ, ქვა მძიმე იყო...

სანჩო. როზა, რკინის ჯვარი ახლავს იყო.

როზა. და მაშინვე ამოაძრე ის... ჯვარი...

(ტორკვემდა ზარ-დაცემული შეინძრევს).

სანჩო. დიახ, ამოვაძრე საფლავიდან ის რკინის ჯვარი, მშვენიერი ასაწვევი ბერ-კეტი და იმის დახმარებით ავხადეთ საფლავი.

ტორკვემდა (თავის თავად). ოჰ, ზეცაო! ესენი დაწყევლილი ყოფილან!

სანჩო. ასე ამ გვარად, ჩვენ ორმა ავხადეთ თქვენი საფლავი; მე ქვასა ვსწევდი, როზა კი—ბერ-კეტს აწვებოდა.

ტორკვემდა (იქით). ამოძრობილი ჯვარი! უუდიდესი მკრეხე-ხელობა! ცეცხლი, საუკუნო ცეცხლი ჩნდება ამათ წინ. ღსნა ამათთვის არ არის! ღმერთო დიდებულო, უბედურნი! ახლა მეფესთან კი არა აქვსთ საქმე, თვით ღმერთთან! (სანჩოს და როზას) ის რკინის ბერ-კეტი სწორეთ იცით, რომ ჯვარი იყო?

სანჩო. რასაკვირველია, ძველ კედელთან საფლავზედ ერქო, მე ჩემის ხელით ამოვაძრე.

ტორკვემდა (იქით). ამოძრობილი ჯვარი!.. ჯვარი!.. სულ ერთია! დავიღსნი ამათ, მაგრამ სხვა ფრივ. (ხელებით ანიშნებს, რომ აკურთხავს ესენი) ნახვამდინ!

სანჩო. აქ, ამ მწუხარე წამს, არავინა გეყავს მეგობარი, კეთილის - მოსურნე, უბინაო ვართ. ჩვენი ბედისწერა თქვენ ხელშია, მონსინიორ.

ტარკვემდა. კარგი, გული დაიმშვიდეთ, დიახ, მე დაგიხსნით (მძიმე ნაბიჯით გადის და ჩაფა კიბეზედ).

მეხუთე სანახავი

დონ-სანჩო და დონნა-როსა

როსა. მოვიდრიკოთ მუხლი და ღმერთს მადლობა შევსწიროთ. შეველა მადლით მოგვენიჭა! ღვთის სასწაულია ჩვენთვის. რა მალე მოგვეცა იმედი, არა, სანჩო? ჩვენგან დაღსნილი კაცი აქ გამოგვიჩნდა და ახლა ჩვენა გვშველის! დიახ, მჯერა და იმედიცა მაქვს! მართალს არ ვამბობ! შენ რას იტყვი?

სანჩო. დიახაც, ჩემო ანგელოზო, იმედი უნდა ვიქონიოთ! ეს მოხუცი ჩვენგან დავალებულია და მაგიერი უნდა გადაგვიხადოს. იმედიანათ იყავი! მე კი აღტაცებული ვარ, თითქოს რაღაც ბურანში ვიყო. (თავისკენ მოიწვევს როსას) მოდი, მოდი! თავისუფლად ამოვისუნთქოთ! ამდენი ტანჯვის შემდეგ, ვგრძნობ, რომ ანგელოზები თავს გვევლებიან და ხელს გვაძლევენ.

როსა. ჰო, ხელი ღვთის, ჩვენი მფარველისა.

სანჩო. მითხარი, გესმის თუ არა მოახლოვება სამოთხის ხმებისა? (უჩვენებს ზაღზედ). მრთელი ეს ბუნება თითქო ჩანგის ხმა იყოს!

როსა. ოჰ, შეხვედრის დროს გინდა, რომ ყოველივე გამოსთქვა: წარსული და მომავალი, ყოველი სურვილი, ყოველი გარდატანილი ტანჯვანი, ყოველი ოცნებანი, ღმერთზედ, მის მოწყალებაზედ, ადამიან-

ზედ, მათს სიავეზედ... ერთი სიტყვით, ყველაფრის გამოთქმა გინდა, რითიც აღსავსეა გული და სული. როცა იტყვი, მიყვარხარო, ასე მგონია, რომ მაგ სიტყვაში ყველაფერია გამოთქმული. ოჰ! ბევრი ვიტყრე მე! როცა იმედი სრულიად გამიქრა, როცა ხელ-მეორედ მე მონასტერში გავჩნდი, მეგონა, რომ აი მოისპო მეთქი ჩვენი სიცოცხლე, გაწყდა მეთქი ჩვენი სიყვარულის და მეგობრობის კავშირი და მოვა მეთქი მეფე თავის განზრახვის შესასრულებლად, ოჰ, საშინელება! მაშინ ვიგრძენი, რომ მემატება ძალა, რომ უძლეველი გავხდი და ბევრჯერაც სიკვდილსა ვნატრობდი! (მთვარე ნელ-ნელა ამოდის).

სანჩო.

მეც, ჩემო როზა, რომ იცოდე... მაგრამ, როზა, დავიფიწყით ყველაფერი. მხოლოდ ერთად-ერთი გული სცოცხლობს უკუნითი-უკუნისამდე, მხოლოდ ერთად-ერთი სიყვარული არა ჰქრება. სხვა კი ყველაფერი იშლება და ჰქრება. ჰო, ჩვენ ჯვარს დაგვწერენ! ჩვენ დავვიხსნიან! ამ ბერს ვერწმუნები; გვიბრუნებს იმას, რაც ჩვენგან მიიღო. გვიყვარდეს ერთმანერთი საუკუნოდ! ვიცოცხლოთ! შეჭხედე ამ წყლებს, ამ ტყეებს, სავსეს უსამზღვრო სიცოცხლითა! ეს ბუნების სიმშვენიერა! როზა, მოწყალება ჰსუფევს ქვეყანაზედ. მრთელი სიტურფე ამ მშვენიერის ბუნებისა გვიმტკიცებს რომ, თავდები ჩვენი ღმერთია! ნურაფრისა ნუ გეშინიან, ჩემო მშვენიერო, უმანკო და წყნარო სულო! მწუხარება—ზამბახია, იმედი კი—ცის ცვარია! მწუხარება—გამოაშკარავებულია და ღმერთი თვალ-ცრემლიანი დაგვყურებს ჩვენ და ეს დიდი იმედია. დიახ, ჩვენმა ტანჯვამ, ჩვენმა კვნესამ და ცრემლმა ღმერთი ჩვენკენ მოახედვინა. უცნობი მფარველნი გამოგვიჩინენ. მე ვხედავ, რომ ჩვენ გარს ვიღასიც აჩრდილი

დაგვდევს და გვემსახურება. სხვა რა გითხრა, როზა? მიყვარხარ! ჩვენ გამარჯვებულნი ვართ და ზეცაც დაგვხარის.

როზა. დიახ, მართალს ამბობ, ვხედავ, რომ ვიღაცა გვშველის და გვფარავს. იმედი მაქვს. იმედი თუ გაქვს, სულ ერთია, ვითომც ახლად დაბადებულხარ.

სანჩო. სიყვარული კი — სიცოცხლეა.

როზა. რა უნდა მეთქვა კიდევ? ჰო, აი რა! უნდა მეთქვა, რომ — მიყვარხარ!

სანჩო. მაშ მოდი ჩემთან! (მიუახლოვდება) ახლოს მოდი! (როზა მიუახლოვდება, ორივე გრძელ სკამზედ დაეცემიან, გადახვეულები).

როზა (ტრფიალებით შესტყერის). ო, ო! დონ-სანჩო! ო, ო! ჩემო მეფე! რა მშვენიერი შუბლი გაქვს!

სანჩო. როზა, ჩვენ საუკუნოდ ვეკუთვნით ერთმანერთს. რა კარგია, როზა! ღმერთი მოდის ჩვენთან, მაშინ როცა ვეძახით. შენ გესმის ეს რა მშვენიერი სიტყვა არის: „ჯვარ-დაწერილნი“? მშვენიერებავ, უმანკოებავ, სათაყვანებლო ჩემო როზა! ოჰ! მონასტრის ოცნებავ, გატეხილო ლამევ! ქმრად ყოფნა! რა კარგია, როცა ეხვევი მათრთოლებელს ანგელოზს! შენი ხილვა ყოველ წამს, შენთან მუსაიფი დღე და ღამ, და ღამე ვგრძნობდე შენს ათრთოლებას, შენს გადახვევნა-კოცნას, ოჰ, ეს არის. ნამდვილი სამოთხე, ნეტარება! და ვინ იცის, იქნება მალე, ნუ გრცხვენინან, როზა! მალე ეგ შენი პაწაწკინა ხელები, ეგ შენი სათაყვანებელი თითები მოჰკიდებენ პაწაწკინა არსებას და ჩაიკრავენ შენს გულში! და როცა დაგიწყებს ტიკტიკს და პირველად გეტყვის: „დედაო“, — ოჰ, რა კარგია. რა ბედნიერებაა, ნეტარება!

როზა. (თაყვანისცემით). შენ კი გეტყვის: „მამაო, ჩემო მამაო“! (აშათის ამ აღტაცების დროს მარმარილოს კიბეზედ გამჩნდება წვეტი შავი ბაიარდის; ნელ-ნელა ამო-

დის კიბეზედ. ბაირადის შუა გულზედ ტამხატულია
 ადამიანის გამხმარბ და მკვლარი თავის-სარქველი ორი თე-
 ძის ძველით, ჯვარედინად გადაბმული. ბაირადი სანხოს და
 რაზას უახლოვდება. სანხო და რაზა ფრიად შეშინებულ-
 ნი მიუბრუნდებიან მომავალს ბაირადს. აქეთ-იქით მოსდე-
 ვენ ბაირადს ორი წეება შენანიებულთა, თეთრად და ში-
 ვად ჩაცმულნი).

რაზა. ოჰ, ზეცაე!...

კოცე უჩუიანი

ტარას ბუღბა

მოთხრობა

ნ. გ. გოგოლისა.

I

„აბა, ერთი მიბრუნდი, შეილო! ეჭა, რა სასაცილო რამა ხარ! ე რა ღვდლის კაბები გცმიათ? სუყველა ასე დადიან აკადემიაში?“

დაეკითხა მოხუცი ბუღბა მისალმებისათნავე თავისს ორ შეილს, რომლებიც კიევის ბურსაში სწავლობდნენ და ის იყო მამას მიუვიდნენ სახლში.

ის-ის იყო ცხენებიდან ჩამოხტნენ. მოსულნი იყვნენ ორი ზორბად ჩასხმული ბიჭი, რომელნიც დაბღვერილნი გამოიყურებოდნენ თავ-ჩაკიდულნი, როგორც ახლად სემინარიიდგან თავ-დაღწეულნი. მათი სალი და ჯანმრთელი პირისახე ახლად იყო აბუსუსებული, სამართებელი ჯერ არ მიჰკარებოდათ. მამის ასეთმა დახვედრამ ძლიერ შეაკრთო. იდგნენ უძრავადა და ჩასტკეროდნენ მიწასა.

„იდექით, აგრე იდექით! მოიცათ ერთი კარგა გაგსინჯოთ,“ ეუბნებოდა ბუღბა და თან აქეთ-იქით ატრიალებდა: „ე რა გძელო ფარაჯებო! შეხეთ ერთი, ე! ასეთი ფარაჯები, ვგონებ დედამიწის ზურგზედ ჯერ არც-კი სადმე გაგონილა. აბა, ერთი გაიქეცით რომელიმე! ვნახოთ, ფეხებში არ გაგებმით კალთები და არ გაიშხლარტებით!“

„ნუ დამცინი, ნუ მამი!“ შეუბრუნა სიტყვა ბოლოს უფრო მოზრდილმა.

„შეჭხედეთ ერთი, რა მშვენიერება რამ არი! მითომ რატომ არ უნდა დაგცინო, არა, პა?“

„და ისე; მართალია მამა ხარ, მაგრამ, თუ დაცინვას დამიწყებ, ღმერთმანი მიგბეგვამ!“

„აი, შე ასეთ-ისეთო! როგორ! მამასა?“—ჩაეკითხა ტარას ბუღბუღი და განცვიფრებულმა რამდენიმე ნაბიჯი უკან გადგა.

„თუმცა მამა ხარ, მაგრამ შეურაცხყოფისათვის ყურადღებას აღარასდერს აღარ მივაქცევ, აღარავის პატივს არა ვსცემ.“

„მერე, როგორ გინდა მეჩხუბო? მუშტითა?“

„როგორც და რითაც მომხედება“.

„მოდო, მაშ, და მუშტითა ვშინჯოთ ერთმანერთი!“ უპასუხა ბუღბუღამ და დაიმკლავა: „ვნახავ ერთი, მუშტში რა კაცი ხარ!“

და ასე მამა-შვილთ, მისალმებისა ნაცვლად, დიდის ხნის უნახაობის შემდეგ დაუწყეს ერთმანეთს გვერდებსა და წელში, გულსა და მკერდში დაგა-დუგი და მუშტით ზელა; თან შედგებოდნენ და უკან იხედებოდნენ, თან-კი ისევ მიესვოდნენ ხოლმე ერთმანერთს.

„შეჭხედეთ ერთი, ვინა ხართ ღვთისნიერნი: გაგიყვებულა ბებერი! მთლად გადარეულა!“ იძახდა იქვე კარებში მდგომი გამხდარ-გამხდარი, ფერმკრთალი, კეთილი დედა მოსულთა, რომელსაც ჯერ ძვირფასი შვილები არც-კი ენახა და გულში არ ჩაეკრა. „შვილები სახლში მოუვიდნენ, წელიწადზედ მეტი იქნება, თვალით არ უნახავს და ეს-კი, ღმერთმა იცის, რას შერება: დამდგარა და ეკრივება!“

„მართლა-და კარგა იცემება!“—იძახდა ბუღბუღი, —„ღმერთმანი კარგა!“ და თან სწორება დაიწყო: „ასე რომ გამოცდა აღარც-კი უნდოდა, ზორბა „ყახახი“ იქნება! აბა, გამარჯვება, შვილო! მოდი ერთი ჩავტყლოშნოთ ერთმანერთი!“ და დაუწ-

ყეს ერთმანერთს კოცნა. „აგრე, შვილო! კარგია, აი, აგრე აუნთე ხოლმე გვერდები ყველას, როგორც მე გამიხურე: არავის-რა შეარჩინო! მაგრამ მაინც სამკაული სასაცილო გაქვს: ე რალა თოკი ჩამოგორვეს? შენ, ბეიბას, შენ რალასა დგენარ და ხელები ჩამოგორვეია ნალოსავითა?“ ეუბნებოდა იგი უმცროსს შვილს: „რატომ შენ-კი აღარა მცემ, შე ძაღლის შვილო?“*)

„რას არ იტყვის, თქვენი ჭირიმეთ!“ გაიძახდა დედა, რომელიც ამ დროს უმცროსს შვილს ეხვეოდა. „რას არ ჩაიდებს თავში; გაგიგონიათ, რომ ღვიძლმა შვილმა მამასა სცემოს! და მეორეც, განა, ეხლა იმისთვისა სცხელა: საბრალო ბავშვს ამოდენა გზა გამოუვლია, დალილ-დაქანცულა...“ (ეს ბავშვი ოცის წლის ახმახი იყო, სრული საყენის სიმაღლე); „საწყალს ეხლა დასვენება და ჭმევა რისამე უნდა და ის-კი ჩასციებია—მცემეო!“

„ეი, შენ, რო გხედავ, ფაფა-სუა იქნები!“ ეუბნებოდა ბუღბა. „არ გაუგონო დედასა: დედაკაცს რა გაეგება, ან რა იცის. სინაზე არ გამოგადგებათ, საიღამ სადაო? თქვენი საქმე მინდორი და ცხენია: აი, თქვენი სინაზე! აგერ, ამ ხმალსაც ხომ ჰხედავთ? ეგ კიდე თქვენი დედაა! ყველა ის-კი, რითაც თავს გიტენავენ, ი, რალაც აკადემიებია, წიგნები, ან-ბანები და ფილოსოფოიები, ყველაფერი: „კა, ზნა, შჩო“ სისულელეა, მე ზედაც არ მივაფურთხებდი!“ და აქ ბუღბამ თან ისეთი სიტყვა დააყოლა, რომელსაც ბეჭდვაში თავისს დღეში ვერავინ იხმარს. „მოდით, მე თქვენ იქით კვირია ზაპოროჟიეში**“) გაგზავნით. აი, სად არის ნამდვილი მეცნიერება! თქვენი შკოლა აბა, ის არის და იქ ისწავლით ჭკუასა.“

*) ორიგინალშია: **Что-же ты, собачий сынъ, не колотишь меня?** მთარგმნ.

**) „ზაპოროჟიეს სეჩი“. ისტორიულმა გარემოებამ: თათრების და ოსმალების მხრივ შეწუხებამა და პოლონელების ბატონობამ აიძულა მალოროსები შეექმნათ საწინააღმდეგო მებრძოლი, თავისუფალი მუდმივი ჯარი და საზღვრებზედ ჰყოლოდათ. ასეთს ჯარში, რომელსაც თავისუფალი ხასიათი ჰქონდა იმავე დროს: შეეძლო ყველა ახალგაზდა მალა-

„მარტო ერთ კვირას იქნებიან სახლში?“ იმეორებდა თვალცრემლიანი, გამხდარი, მოხუცი დედა საცოდავად: „დასვენებასა და გავლა-გამოვლას ვერც-კი მოასწრებენ; ვერ მოასწრებენ სახლი გაიციონ, ან მათის ცქერით დავტკბე მაინცა!“

„კარგი, გეყოფა, ბებრუხუნავ, ე წუწუნნი! „ყაზახი“ იმისთვის როდია გაჩენილი, რომ დედაკაცებთან იჯდეს. შეისხი ბარემ ჩიხოლ ქვეშ და კრუხივით ზედ დააჯექი. წადი ღროით და სუფრა მოგვიმზადე, ყველა შოიტა, რაც-კი რამა გვაქვს. არ გვინდა „პამპუშკები“, „მედოვიკები“, „მაკოვნიკები“ და სხვა „პუნდიკები“; მოგვიტა მთელი ცხვარი, თხა, ძველი ღვინოები! და ცხარ-ცხარე „გარელკა“ ბლომად, მაგრამ მონათლული-კი არა, ქიშიშითა და სხვა რაღაებითაც რომ იციან, არა, წმინდა, ქაფიანი „გარელკა“ (არაყია), რომ დუღდეს და ცოფიანივით შიშინი გაჰქონდეს.“

და გაუძღვა ბულბა შვილებს სასტუმრო ოთახისაკენ, საიდგანაც ორი ლამაზი მოსამსახურე ჯოგო გამოვარდა. როგორც ეტყობოდა, ოთახი ესუფთავებინათ და შეეშინდათ პანიჩების (ბატონის შვილების) მოსვლისა, რომლებიც არავის რას დაუთმობდნენ; ან-და, უნდოდათ მხოლოდ ქალთა ჩვეულება დაეცვათ: შეეკივლათ და თავ-პირის მტვრევით გაქცეულიყვნენ, აქაო-და კაცი დავინახეთო და შემდეგ დარცხვენით კაბის სახელი ჰქონოდათ დიდხანს სახეზე აფარებული. დარბაზი იმ ღროის გემოვნებაზედ იყო მორთული, რომლის შესახებ მო-

როსსა და სხვასაც, ეროვნების განურჩევლად, შესვლა, თუ კი ძოისურვებდა; ყველას ერთნაირი უფლება ეძლეოდა და უფროსებს, წინამძღოლთ, ირჩევდნენ თავანთთშივე. საცხოვრებელ ადგილად ამორჩეული ჰქონდათ მომეტებულ ნაწილად მდინარე დნეპრის შესართავი და კუნძულები და ამ ადგილს ეძახდნენ „სეის“. დაარსდა იგი დაახლოვებით მე-XVI საუკუნის ნახევარში. „სეის“ წევრს ცოლის შერთვა ადკრძალული ჰქონდა, სცხოვრობდნენ მხოლოდ ნადირობით, თევზის ჭერით და მტრებზედ ლაშქრობიდან მოპოვებულ ნადავლით. ამიტომ გმირობა, ვაჟაკობა „სეის“ წევრებისა განთქმული იყო.

გონებანიც მხოლოდ სახალხო სიმღერებში-ლა იყო აქა-იქ და-რჩენილი და უსინათლო მოხუცნი უმღერდნენ ხალხს უკრაინაში, ფანდურის ჟღერით, სწორედ იმ საომარ და მწარე დროის გემოზედ, როცა პირველად უკრაინაში უნიისათვის ბრძოლა და სისხლის ღვრა დაიწყო. შიგნიდან სახლი ფერადის თიხით იყო გაღესილი. კედლებზედ ეკიდა — ხმლები, მათრახები, ფრინველთა და თევზის საჭერი ბადეები, თოფები, ეშმაკურად ნაკეთები სასწრაფო და საპირიწამლოები, ოქროს ალვირი, საგულ-მკერდე ვერცხლის ღილებით და სხ. ფანჯრები პატარები ჰქონდა, რგვალის გამქვარტლულის შუშებით, სწორედ ისეთი, როგორებიც ახლა მხოლოდ ძველს ეკვლესიებსა აქვთ ხოლმე და რომლიდგანაც რისამე დანახვა ისე შეუძლებელი იყო, თუ ჩამოშვებულ შუშას არ აჭხდიდნენ. კარებებსა და ფანჯრებს გარშემო წითელი ჩარჩოები ჰქონდათ. თაროებზე ოთახის კუთხეებში ჩამწყკრივებული იყო ქილები, დოქები, ბოთლები, მწვანე და ლურჯი შუშები, ვერცხლის თასები, მოოქერილი სხვა-და-სხვა ხელოვნების კულები: ვენეციური, ოსმალური, ჩერქეზული, რომლებიც ვინ იცის საიდგან და როგორ იყო ბუღბასგან მოპოვებული, რაც იმ საგმირო დროს ჩვეულებად იყო გარდაქმნილი. ოთახში იგრგვლივ ჩამორიგებული იყო ხის სკამები; ხატებ ქვეშ, ერთს კუთხეში, იდგა უშველებელი მაგიდა; იქვე მოზრდილი განიერი ლუმელი, სხვა-და-სხვა ჩუქურთმებითა და ფერადის ნაჭდევებით შემკული; — ყოველივე ეს კარგად ჰქონდათ გაცნობილი ჩვენს ახალგაზდებს, რადგანაც ყოველ წლივ საზაფხულოთ სახლში მოდიოდნენ; სახლში კი მოდიოდნენ იმიტომ, რომ ჯერ ცხენები არა ჰყავდათ და არც ჩვეულება იყო უკოლელებს ცხენით ევლოთ. ჰქონდათ მხოლოდ გრძელი, ერთს ადგილას კეთაზედ წამოზრდილი თმები, რომლის აწევაც ყველა იარაღის მტარებელს „ყაზახს“ შეეძლო. ბუღბამ მხოლოდ სწავლის დამთავრების დროს გაუგზავნა მათ ჯოგიდან ორნი ულაყი.

შვილების მოსვლისა გამო ბუღბამ ბრძანა მოეწვიათ ყველა ასისტავეები და მთელი რაზმის მსახურნი, ვინც-კი იმ ჟამად

იქ იყო. როგორც-კი მოვიდნენ ორნი მათგანნი და ესაული დმიტრო ტოვკაჩი, ბულბას ძველი ამხანაგი, მაშინვე შვილები წარუდგინა: „შეჰხედეთ, აბა, რა ბიჭები არიან! მალე „სეჩი-ში“*) გავგზავნი. სტუმრებმა მიულოცეს როგორც ბულბას, ისე მისს შვილებს და დაუდასტურეს, რომ კარგს საქმეს სჩადიან; რომ ახალგაზრდისათვის ზაპოროჟიის სეჩი საუკეთესო მეცნიერებაა.

„აბა, დასხედით ყველა, ვისაც სად გერჩიოთ. აბა, შვილებო! ჯერ გარელკა გადავკრათ!“ ამბობდა ბულბა. „ღმერთო გვაკურთხე! გაგიმარჯოთ, შვილებო: შენც, ოსტაპ, შენც, ანდრია! ღმერთი იყოს თქვენი შემწე და იყავით გამარჯვებულნი ომში! რომ ბასურმანებს, თურქებს, თათრებს მუსრი გაავლოთ; როცა ლიახებიც ჩვენის სარწმუნოების წინააღმდეგ რასმე განიზრახვენ, იმათაც მუსრი გაავლოთ. აბა, რას უცდი, მოუშვირე კულა; რაო, კაი „გარელკაა“, არა? მითხარი, ერთი, ლათინურად რა ჰქვიან გარელკასა? ჰხედავ, შვილო, ბრიყვები ყოფილან ლათინები: არც-კი სცოდნიათ, თუ დედამიწის ზურგზედ გარელკაა! მითხარი, იმას რაღას ეძახდნენ, აი, ლათინურ ლექსებს რო სწერდა? წერა-კითხვა საიმისოდ კარგად არ ვიცი და ამიტომაც კარგად არ მახსოვს: გორაციო ერქვა, არა?“

„ჰხედავ ბატკოსა (მამსა)!“ ფიქრობდა თავისთვის უფროსი შვილი ოსტაპი: „ბებერმა ძაღლმა ყველაფერი იცის, მაგრამ იტყუება, ვითომ-და არ ვიციო“.

„მგონი არხიმანდრიტი „გარელკას“ არც-კი გასუნებინებდათ ხოლმე, არა“? განაგრძო ბულბამ. „გამოტყდით, შვილებო, ზორბადა გროზგავდნენ ხოლმე, არა, სახრეებითა და გილიანდაგებდნენ ზურგსა და „საყაზახო“ არესა? ან იქნება, რა, კი ძალიან ჰკვიანები დახდით, შოლტებსაც გადაგიჭირებდნენ ხოლმე? ან იქნება მარტო შაბათობით-კი არა, ოთხშაბათობით-და ხუთშაბათობითაცა გხვდებოდათ?“

„ის, რაც ყოფილა, ბატკო, მოსაგონებელი აღარ არი“, მიუგო ცივად ოსტაპმა: „რაც იყო, იყო, წავიდა.“

*) იხ. შენიშვნა: „ზაპოროჟიის სეჩი“.

„აბა, ეხლა სცადოს!“ წამოიძახა ანდრიამ: „აბა, ერთი თითი დამაკაროს ვინმე. ერთი თვალისკი დავკრა სადმე თათარსა და ჰნახავს, რა მჭრელია „ყაზახის“ ხმალი!“

„ეგ კარგია! ღმერთმანი, რომ კარგია, შვილო! რაჟი აგრეა, მეც თქვენთან წამოვალ! ღმერთმანი წამოვალ. აქ რა ეშმაკებს უნდა ვუცადო? რაო, ლობიო ვთესო, ნაცარი ვქექო, ლორებსა და ცხვრებს ვდიო და დედაკაცს შევცქირო? ეშმაკსამც წაუღია იმისი თავი: „ყაზახი“ ვარ და არ მინდა, აჰა! რა ვუყოთ, რომ ომი არ არის? წამოვალ თქვენთან — გამოვისეირნებ. ღმერთმანი წამოვალ!“ და მოხუცი ბუღბა თან-და-თან უფრო და უფრო ცხარობდა, მერე მთლად გაჯავრდა, წამოდგა სუფრიდან, მედიდურად გამოიჭიმა და ფეხი დააბრაგუნა. — „ხვალვე წავიდეთ! რაღას ვუცადოთ? აქ რომელი მტერი მოგვივა? რად გვინდა ე ქობი? რა თავში ვიხლით ყველა ამას? რას ვაქნევთ ამ ქილებსა?“ და დაუწყო ქილებსა და შუშებს აქეთ-იქით სროლა და მტვრევა.

საბრალო მოხუცი დედაკაცი-კი, როგორც დიდის ხნის მიჩვეული ამ ამბებსა, იჯდა მერხზედ, დაღონებული შეჭყურებდა და თქმას ვერაფრისას ვერა ჰბედავდა; მაგრამ რომ გაიგო ეს საზარელი გარდაწყვეტილება, ველარ მოითმინა, თვალები ცრემლით აევსო და გადაჰხედა შვილებს, რომლებსაც ასე მალე უნდა გამოსთხოვებოდა. ვერასფერი და ვერავინ ვერ ასწერდა ამ დროს იმ ჩუმს ნაღველსა და მწუხარებას, რომელიც მის სახეზედ, თვალებში და აკანკალებულ, მთრთოლვარე ტუჩებში იხატებოდა.

საშინელი ჯიუტი რამ იყო ბუღბა. მისი ხასიათი წარმოადგენდა მე-XV საუკუნის ხალხის ნიმუშს, როდესაც ევროპის ამ კუთხეში ხალხი თითქმის ისევ ველური და ქოჩად მავალი იყო, როდესაც მთელი სამხრეთ რუსეთი მიატოვეს მისმა მთავრებმა და მონგოლთა მტაცებლებმა თავისის მუდმივის თავდასხმითა და რბევით მთლად მოაოხრეს, გაანადგურეს, გადასწვეს; როდესაც მერსა და კერას მოკლებული კაცი უნებლიედ გაკაჟებული იყო, როდესაც მრისხანე და სასტიკ მეზობელთა

და ცეცხლს არ ეპუებოდა, მტერს ჰირში თამამად შეჰყურებდა და არ იცოდა, თუ რა არის დედამიწაზედ შიში; იმ დროის ნიმუშს, როდესაც სლავიანთა ერთ დროს მშვიდობიანი გული და სული ბრძოლისა ცეცხლმა გაიტაცა და „ყაზახობა“ დაიწყა—როდესაც ამ რუსთა ბუნების ფართო და თავისუფალმა ძარღვმა იჩინა თავი და ყველა მდინარის პირები, გამოსადეგი და განაპირა ადგილები ყაზახებით გაივსო, რომელთა რაოდენობაც არავინ იცოდა. მათს გამბედავ ამხანაგებს თავისუფლად შეეძლოთ ეთქვათ სულთანისათვის, თუ-კი იკითხავდა მათს რიცხვსა: „რა ვიცით რამდენია! მთელი მინდვრები სავსეა, სადაც-კი მცირე ბორცვია, ყველგან ყაზახიაო“. და მართლაც ეს რაღაც არა ჩვეულებრივი მოვლენა იყო რუსეთის ძალისა: ხალხის გულიდან თითქოს უბედურებათა ცეცხლმა ამოაფრქვიაო. ნაცვლად წინანდელ უდელეებისა (საბატონოებისა), წვრილ ქალაქებისა, რომლებიც დაგეშილ მწვევრებითა და მეძებრებით იყო ხოლმე სავსე, ნაცვლად ერთმანეთის მტრობით გატაცებულ და ქალაქებით მოვაჭრე წვირლ თავადებისა, გაშენდნენ დაბები და სოფლები მალოროსთა, რომლებიც არა ქრისტიანე მტაცებელთ შიშის ზარს სცემდნენ. ისტორიიდან ყველამ უთუოდ იცის უკვე, რომ ამათმა მუდმივმა ბრძოლამა და მოუსვენარმა ცხოვრებამ იხსნა მხოლოდ ევროპა შეუპოვარ და საშიშ მტერთა შესევისაგან, რომელნიც მთლად დამხობას უქადიდნენ. პოლონელთა მეფეები, რომელთაც იმ დროს ფართოდ გაშლილი მებატონე თავადების ადგილები დაიჭირეს და მათ შორეულ მბრძანებლებადა და მეპატრონეებად გახდნენ, „ყაზახთა“ და მათის სადარაჯო და საბრძოლ დანიშნულების მნიშვნელობას მალე მიხვდნენ. ამისათვის მუდამ აქეზებდნენ და ხელს უწყობდნენ. მათის შორეულ მბრძანებლობით გეტმანები, რომელთაც ისევ „ყაზახნი“ ირჩევდნენ თავიანთ შორის, „კურენებიდგანა“ და „სოკოლიცებიდგან“ (ესენი ზაპოროჟიეს მებრძოლი ჯგუფები იყვნენ თავიანთის ცალკე უფროსით) ადგენდნენ ცალკე რაზმებსა და ნაწილებს. მართალია ეს ჯარი მუდამ შეკრებილი და გაწყობილი არ იყო, მაგრამ საქროების დროს,

რვა დღის განმავლობაში, ყველა უთუოდ შეიარაღებული მო-
დიოდა და იღებდა მეფისაგან მხოლოდ ერთს ჩერვონეცს; ამ
რიგად ორს კვირაში ისეთი ჯარი იკრიბებოდა, რომელსაც
ვერაფითარი რეკრუტთა კრებული ვერ შეედრებოდა. გათავდე-
ბოდა ლაშქრობა და ყველა მებრძოლი ისევ თავისს მინდორს,
ნავს და ურემს უბრუნდებოდა, ისევ ნადირობდა, თევზს იჭერდა,
ვაჭრობდა და ლუდსა ჰხდიდა, თავისუფალი „ყაზახი“ იყო. თა-
ნამედროვე უცხოელნი მართლაც-და გაკვირვებულნი იყვნენ,
თუ რა ნიჭის პატრონი იყო ეს ხალხი. არ მოიძებნებოდა ხე-
ლობა, რომელიც „ყაზახს“ არა სცოდნოდა: არყის გამოხდა,
ურმის კეთება, თოფის წამლის დამზადება, მჭედლობა, ზეინ-
კლობა და მასთან ქეიფი უზომო, სმა და ლოთობა, რომელიც
მხოლოდ ერთად-ერთს რუსს ეხერხება ასე, ყველა ეს მათი
საქმე იყო. სალაშქრო ჯარში ჩაწერილ ყაზახთა გარდა, რო-
მლებიც მოვალენი იყვნენ ომში უთუოდ გასულიყვნენ, თუ
საჭიროება მოითხოვდა, შეიძლებოდა თავისუფალი მეომარნიც
შეეყარათ: მაშინ ჩამოუვლიდნენ ხოლმე ესაულები ბაზრებსა
მეიდნებსა, დაბებსა და სოფლებსა, შედგებოდნენ ურემზედ და მა-
ღალის ხმით აცნობებდნენ: „ეი, თქვენ მელუდეებო, ბურახის
მხდელებო! გეყოფათ ამდენი ლუდის სმა და ცეცხლა-პირად
უქმად წოლა, რომ თქვენის ჩასუქებულ მძოვრით ბუზებს არ
ასაზრდოებდეთ! წადით, სარაინდო დიდება და პატივი მოიპო-
ვეთ! თქვენ, ეი, მეგუთნებო, ცერცვისა და ლობი: ის მთესველ-
ნო, მეცხვარეებო, და დედაკაცის კაბის ქვეშ რომსული ამოგდით!
გეყოფათ გუთნის უკან დევნა და ყვითელ წუღების ტალახში
თხუნვა, გეყოფათ ცოლთან ჩოჩვა და სავაჟკაცო ძაღრს
ფუჭად დაკარგვა! დროა „ყაზახის“ სახელიც მოიპოვოთ!“ და
ეს სიტყვები საკმარისი იყო, რომ მაშინვე ცეცხლივით ანთე-
ბულიყვნენ. გუთნის დედა მაშინვე გუთანს ამტვრევდა, მებუ-
რახე და მელუდე კასრებსა და ბოჭკებს თავს ანებებდა, ვაჭარი
და ხელოსანი ხელობასა და საქმეს სტოვებდნენ, დუქანს ეშმაკს
ულოცავდნენ, შინ ქილებსა და ქოთნებს ამტვრევდნენ და შეიარ-
აღებულნი მაშინვე ცხენს ასხდებოდნენ. ერთი სიტყვით, რუსუ-

ლმა ბუნებამ აქ ჰპოვა თვისი ნამდვილი დახასიათება, აქ გამაგრდა, გაიშალა.

ტარასიც ერთი ძველ პოლკოვნიკთაგანი იყო *): მთლად ბრძოლისათვის შექმნილი, წინდაუხედავად დაუფარველი თავისის ხასიათისა. პოლონეთს ამ დროს რუსეთის თავად-აზნაურობაზედ უკვე ჰქონდა თვისი გავლენა. ბევრმა კიდევაც გადმოიღო მათი ჩვეულება: დაიწყეს მდიდრულად ცხოვრება, გაიჩინეს აუარებელი მსახურნი, ქორ-შავარდენ-მეძებრები, გააჩაღეს სადილები, წვეულებანი. ტარასს ყოველივე ეს საშინლად ეჯავრებოდა, უყვარდა უბრალო, ყაზახური ცხოვრება და თავისს ამხანაგთა და მეგობართ, რომელთაც-კი გული ვარშავისაკენ მისწევდათ; ყველას წაეჩხუბა, პოლონელ პანების (ბატონების) ხალოპებს (მონა-მოსამსახურეს) ეძახდა. მუდამ მოუსვენარი, იგი თავის თავს მართლმადიდებლობის კანონიერ მფარველად აღიარებდა.

თავის ნებით შედიოდა სოფლებში, სადაც-კი მეიჯარადრეთ და ახალის გარდასახადების მომატებას უჩიოდნენ ხოლმე, თვითონვე ასამართლებდა ყველას თავისის ყაზახებით და წესად ჰქონდა სამის მიზეზისა გამო უთუოდ ხმლისათვის მიემართა: ერთი, როდესაც კომისსარები სტარშინებს პატივს არ სცემდნენ და მათ წინ ქუდით დგომასა ჰბედავდნენ; მეორე, როდესაც მართლმადიდებლობას შეაგინებდა ვინმე და მამა-პაპათა ჩვეულებას პატივს არ სცემდა და მესამე, როდესაც მტრები ბუსურმანები და თურქები იყვნენ, რომელთა წინააღმდეგაც იარაღის აღებას მუდამ ნებადართულად სთვლიდა ქრისტიანობის სადიდებლად.

ახლა ბუღბა იმის ფიქრში იყო აღრევევე, თუ როგორ მიიყვანდა თავისს შვილებს „სეჩში“ და ეტყოდა: „შეჰხედეთ, აბა, რა ყოჩახი და ზორბა ბიჭები მოგგვარეთ!“ როგორ წარუდგენდა ყველა თავისს ძველს, ბრძოლაში გაწრთენილსა და

*) ამ ხარისხს ანიჭებდა უკეთეს ვაჟაცთა და მებრძოლთ გეტმანი.

გამოჯეკილს მეგობრებს; როგორ გამოსცდიდა საგმირო საქმეებში და მსმელობაში, რომელიც ბუღბას ერთ უმთავრეს რაინდულ თვისებად მიაჩნდა აგრეთვე. თავდაპირველად მარტოკებს უპირებდა გაგზავნას შვილებს, მაგრამ რო ნახა, რა ახალგაზდა, წარმოსადგეი და ზორბა შესახედავი ბიჭები იყვნენ, უცბად მის გულშიაც გაიღვიძა ძველმა მებრძოლმა სულმა და მეორე დღესვე გადასწყვიტა თითონაც წასულიყო, თუმცა ამისი საქიროება სრულიადაც არ იყო. ბუღბა ახლა უკვე დაფათურებული იყო და განკარგულებას ახდენდა: ირჩევდა ცხენებსა და შეკაზმულობას შვილებისათვის, საჯინბოში, ბელელში, ყველგან თვითონ მიდი-მოდოდა და გამოირჩია მოსამსახურენი, რომელნიც თან უნდა ჰხლებოდნენ. თავისი უფლება კი ესაუღს ტოვკაჩს ჩააბარა და თან სასტიკად დაუბარა, რომ მაშინვე მთელის რაზმით „სეჩში“ გაჩენილიყო, როგორც კი იქიდან რაიმე ცნობას მიიღებდა. მართალია, ჯერ კიდევ საკმაოდ მხიარულად იყო და სასმელის ძალა არ ამოჰქრობოდა თავიდან, მაგრამ მაინც არა დაუვიწყნია-რა, ყველა ახსოვდა: უბრძანა ცხენებისათვის წყალი დაეღვეინებინათ, შემდეგ ახურში საუკეთესო პური ექმიათ და დაღალულ-დაქანცული მობრუნდა სახლში.

„აბა, შვილებო, ახლა კი დროა დავიძინოთ. ვნახოთ, ღმერთი რას გვირჩევს ხვალა. მაგრამ ლოგინი არ გაგვიშალო! არ გვინდა! გარეთ დავიძინებთ“.

ის იყო მხოლოდ დაღამდა; მაგრამ ბუღბას ადრე უყვარდა ძილი. წამოწვა ხალიჩაზედ, დაიხურა ზემოდან ცხვრის ტყავი, რადგანაც ცოტა საკმაოდ გრილი ღამე იყო და მასთან შინ თბილად დახურვა უყვარდა ხოლმე და დაიძინა. მალე გულიანი ხვრინვაც ამოუშვა. მას თან მიჰყვა მთელი ოჯახობა და ყველამ საერთო ხვრინვა ამოუშვა აქეთ-იქით კუთხეებში. ყველაზე ადრე კი ჩაეძინა კარ-მიდამოს დარაჯს, რადგანაც პანიჩების მოსვლისა გამო სხვებზედ ზორბად ის გამოითრო.

არ ეძინა მხოლოდ საბრალო დედას. წამოწოლილიყო თავისს ძვირფას შვილების თავით, რომლებიც ერთად იწვნენ.

და უვარცხნიდა დაუდევრად ზბურძენილს ზუქუქებს, თან ცრემლით უღობდა. დასცქეროდა ასე გაშტერებით ხან ერთს და ხან მეორეს და მათის ცქერით ვერ გამაძლარიყო. მან აღზარდა იგინი თვისის ძუძუთი, მუდამ თვალსა და პირში შეჰყურებდა და ვინ იცის, როგორ უვლიდა, ახლა-კი მხოლოდ ამ ერთს წაშს უნდა ეცქირნა! — „შვილებო, ძვირფასო, შვილებო! ვინ იცის, რა მოგელით, რა გადაგხდებათ?“ და მოხუცების ნაოქებში, რომელთაც ოდესღაც მშვენიერი სახე დღეს სულ მთლად შეეცვალათ, ცრემლები უგუბდებოდა. მართლაც-და საცოდავი და საბრალოსი იყო ეს დედაკაცი, როგორც ყოველი სხვა დედაკაციც, შვილი იმ მოუსვენარ დროისა. მხოლოდ ერთის წამით მოასწრო დამტკბარიყო სიყვარულით, ვნებათა ღელვით, ყმაწვილობის გულის თქმით, და, ჰა, მისმა სასტიკმა მაცთუნებელმა თავი მიანება ხმლისა და ამხანაგების, სმეულობისათვის. ამის შემდეგ იგი ქმარს მხოლოდ წელიწადში ორ-სამს დღეს-ღა ჰხედავდა თვალით, დანარჩენს დროს-კი, ვინ იცის, სად იყო იგი. მაგრამ, როცა კი ერთადა სცხოვრობდნენ ხოლმე, ან მაშინ რა იყო მისი სიცოცხლე? ითმენდა მხოლოდ შეურაცხყოფას და ზოგჯერ კარგ-კარგად მიბეგვასაც; ალერსს მხოლოდ მოწყალებასავით ეღირსებოდა ხოლმე ათასში ერთ-ხელ. საზოგადოდ ამ უცოლო რაინდთა შორის, რომელთაც ზაპოროჟიეს თავისუფლება თავისებურს სასტიკს ელფერს ადუბდა, იგი რაღაცა უცნაური არსება იყო. ისე გაატარა ახალგაზრდობა, რომ სიტკბოება არ უნახავს და მშვენიერი ნორჩი ლოყები და გულ-მკერდი უალერსოდ ჩამოახმნენ, უღროოდ დაუქცნენ. მთელი მისი სიყვარული, ყველა მისი წმიდა გრძნობა, რასაც კი სინაზე და ვნება მოეპოვება დედაკაცში, ყოველივე ეს ბოლოს მშობლის გრძნობად გადაექცა. დედამთვრალა ჩიტივით, იგი მუდამ თვალცრემლიანი და აღზუნებულის ვნებით დასტრიალებდა თავისს შვილებსა, და ახლა-კი ეს მისი საყვარელი შვილები უნდა მოეშორებინათ, არასოდეს აღარ უნდა ენახა! ვინ იცის, იქნება პირველს ბრძოლაშივე მოსჭრიდა ვინმე თათარი თავსა და მას-კი, საბრალო

დედას, არ ეცოდინებოდა, სად იდებოდა იმათი გვამი, სად დასთხრიდნენ უპატრონო მკვდარს თვალებს ფრინველნი; და ხსნა-კი რომ შესძლებოდა, შვილების თვითოეულ ცვარ სისხლისათვის თავს გადასდებდა სასიკვდილოდ. ასე ქვითინებდა და შესცქეროდა თვალეში შვილებს, თან ფიქრობდა: „იქნება ბუღბამ, რომ გაიღვიძებს, წასვლა ერთხ ორიოდღე დღით შეაგვიანოს; იქნება იმიტომ მოინდომა ასე უცბად წასვლა, რომ მეტი დალია“.

მძინარე ხალხით საესე ეზოს, ხშირს ჰუჩქებს ბზისას და მაღალს, სხვილ-ღეროიანს ბალახს, რომელშიაც გარს შემოვლებული მესერი სახლისა თითქმის მთლად ამაღებოდა, დიდი ხანია მთვარე დაჰკაშკაშებდა. ის-კი, საბრალო დედა, ისევე თავით უჯდა საყვარელს შვილებს და ერთს წამს თვალს არ აშორებდა; ძილი ხომ არც-კი აგონდებოდა. ცხენებმაც უკვე იგრძნეს განთიადის მოახლოება, ბალახზედ წამოგორდნენ და ჭამა შესწყვიტეს; აგერა ბზის ზემო ფოთლებმაც შრიალი იწყეს და ნელ-ნელა ტალღა შრიალისა ძირთამდის დავიდა. ასე იჯდა უძრავად მთელს ღამეს გათენებამდის, მაგრამ დაღლა სრულიადაც არ უგრძენია; პირ-იქით, უნდოდა, ღამე არ გაღეულიყო, ზედ მეორე მოჰბმოდა. მინდვრიდან კვიცის ჭიხვინი მოისმა; ცაზედ წითელი ზოლები გამოჩნდა.

ბუღბას უცბად გამოეღვიძა, წამოვარდა. გუშინდელი ნაბრძანები, ყველა კარგად ახსოვდა. „აბა, ბიჭებო, გეყრუათ ძილი! დროა ადექით! ცხენებს წყალი დააღვეინეთ! იბებერი სადღაა (ასე ეძახდა ჩვეულებრივ თავის ცოლს)? მარდათ, ბებერო, საქმელი მოგვიმზადე: გზა დიდი გვაქვს!“

უკანასკნელს იმედს გამოთხოვებულმა საბრალო ბებერმა წელმოწყვეტილმა გასწია ქოხისაკენ. იმ დროს, როდესაც იგი თვალ-ცრემლიანი ამზადებდა საუზმეს, ბუღბა მარჯვნივ და მარცხნივ ბრძანებას აძლევდა, საჯინბოში ტრიალებდა და შვილებისათვის საუკეთესო შეკახმულობას არჩევდა.

ბურსაკები უცბად მთლად გამოიცივალნენ: წინანდელ გათხუნულ ჩექმების მაგივრად ვერცხლის ნალებიანი, წითელრ

კემუხტის წაღები ეცვათ; შარვალი ათას-ნაოქიანი და ისეთი განიერი, რომ შავ ზღვას გადაეფინებოდა, ოქრომკვდით ნაკერ ხვანჯრით გაქანჩული; ხვანჯარს ზედ ეკიდა გრძელი ფოჩებიანი თასმები, რომლებზედაც ჩიბუხის სხვა-და-სხვა მოწყობილობა იყო ასხმული. ზევიდან ეცვათ აღისფერი ყაზახური კაბა და შემოჭერილი ჰქონდათ ზოლებიანი აბრეშუმის სარტყელი; ოსმალური, ხრახნილი დამბაჩები წელში ჰქონდათ გარკობილი, ხმალი ფეხებში სცემდათ. ჯერ არ გარუყული იმათი სახე ახლა თითქოს უფრო დამშვენდა, გათეთრდა; ოდნავ აბუსუსებულმა შავმა უღვაშებმა სალი, ახალგაზღობის ძალუმში ფერი ახლა თითქოს უფრო ნათლად აღნიშნა და გამოარკვია; ოქროს-ფერ ყვითელ ციანი შავი ტყავის ფაფახები ხომ სულ მთლად ჰხატავდა: საბრალო დედა! როგორც-კი დაინახა, ხმა ჩაუწყდა, ცრემლები თვალებზე შეეყინა.

„აბა, შვილებო, ყველაფერი მზად არის! ნულარ ჰზოზინობთ!“ დაიძახა ბულობამ. „ახლა, ქრისტეანულის წესით, ვიდრე გზას გავუდგებოდეთ, ყველანი უნდა დავსხდეთ“.

ყველანი დასხდნენ, ბიჭებიც-კი, რომლებიც მოკრძალებით იდგნენ კარებთან.

„ახლა, დედა, შვილები დალოცე!“ მიჰმართა ბულობამ ცოლს: „სთხოვე უფალს, რომ მამაცად იბრძოდნენ, რომ რაინდის პატიოსნება მუდამ დაიცვან, რომ ქრისტეს რჯულის ემსახურონ, ფორემ უამისოდ—წყალსაც წაუღია ორივე, დეე, ამათი ხსენებაც-კი ნულარ იქნება! მიდი, შვილებო, დედასთან: დედის ლოცვა ხმელზედ თუ წყალში ყველგანა ჰშველის კაცსა!“

საბრალო, დასუსტებულმა დედამ გულში მხურვალედ ჩაიკრა, მერე ამოიღო ორი პატარა ხატი და ქვითინით ჩამოჰკიდა ყელზედ: „ღვთის მშობელი იყოს... თქვენი მფარველი... ნუ დაივიწყებთ, შვილნო, დედასა... ათასში ერთხელ

ამბავი მაინც გამაგებინეთ ხოლმე...“ მეტი ლაპარაკი აღარ შეეძლო.

„აბა, წავიდეთ, შეიღებო!“ შესძახა ბუღბამ.

კარებ წინ შექმახული ცხენები ელოდნენ. ბუღბა თავისს ეშმაკას (ცხენია) მარდად მოახტა, მაგრამ ეშმაკა დამფრთხალი გახტა უკან, რადგანაც ოც-ფუთიანი სიმძიმე ჩასუქებულის, ზორბა ბუღბასი ეუცხოვა.

დედამ რომ შეიღებიც ცხენზედ დაინახა, უცბად გაექანა უმცროსისაკენ, რომელსაც თითქოს მეტი ნაზი გამომეტყველება ეხატებოდა სახეზედ; წაავლო ხელი უზანგოს, მიეკრა უნაგირს და სასოწარკვეთილი თვალს აღარ აშორებდა. ორმა ზორბა ყაზახმა ფრთხილად ასწია იგი და ქობში შეიყვანა. მაგრამ, როგორც-კი კიშკარს გასცილდნენ მხედარნი, იგი მშველივით გამოვარდა გარეთ, ეცა ერთს შეიღს, შეაყენე ცხენი და გაგიჟებულმა როგორღაც უგრძნობლად ჩაიკრა გულში. ისევ წაიყვანეს კაცებმა.

ახალგაზრდა ყაზახები მიდიოდნენ შემკრთალნი და მამის შიშით ცრემლს ძლივს იმაგრებდნენ, რომელიც იმათსაებ ცოტა არ იყოს არეული და შემკრთალი იყო, მაგრამ სკდილობდა არავისთვის ეჩვენებინა. დღე ცოტა ღრუბლიანი იყო; მწვანეს ბიბინი გაჰქონდა; ფრინველთ როგორღაც ხმაშეუწყობლად გაჰქონდათ კიკიკი და ჟივილი. გაიარეს მცირე გზა და მოიხედეს უკან: თითქოს მიწამ გადაყლაპაო, მათი სახლი აღარსად იყო, მოჩანდა მოლოდ ორი ბუხარი და ხის წვეროები, რომლის ტოტებზედაც ციყვებივით დახტოდნენ ხოლმე ისინი. ჯერ კიდევ წინ ჰქონდათ გაშლილი მინდორი, რომელიც წარსულ ცხოვრებას მოაგონებდა ახალგაზრდებს—იმ დროისას, როცა ბავშვები ნამიან ბალახში ეყარნენ ხოლმე, ან როცა შეეწარბა „კაზაჩკას“ (ყაზახის ქალს) ელოდნენ ხოლმე, რომელიც ფრთხილად და შიშით გადმოირბენდა ხოლმე თვისის სწრაფის ფეხებით. აგერ მხოლოდ ერთი სარი-ლა მოჩანს ჰის თავზედ, რომელსაც ზედ ურმის თვალი აბია და მარტოდ-მარტოა აშვე-

რილი ცაში; მინდორი, რომელიც მათ უკვე გავლეს, შორიდან ახლა გორასავით მოსჩანს, ყველაფერი მოფარა.—მშვიდობით, ბავშვობავ, ცელქობა-თამაშობავ, მშვიდობით, ყველაფერო!

ინ-ანი.

(შემდეგი იქნება).



ჰ ა მ ლ ე ტ

გერვინუსისა *)

ჰამლეტის შესახებ გადმოცემა აწერილი იყო პირველად საქსონ გრამატიკოსის მიერ; შემდეგ უკეთესის, დალაგებულის-ენით ნაამბობი—„ბელლეფორესტის“ ნოველებში (1564 წ.), აქედან გადაკეთებული იყო ინგლისურ ენაზედ, რომლის უძველესი გამოცემა შენახულა 1608 წლისა. ამ გადმოცემაში ნაამბობია, რომ ფენგომ მოკლა თვისი ძმა გორვენდილი და წაართვა სამეფოც და ცოლიც. მოგონებული სიგიჟე ჰამლეტისა საგის ცენტრალურ ადგილია; სკანდინაველითაგან უველაზედ უფრო სასიამოვნო მთელს გადმოცემაში იყო ჰამლეტის ორ აზროვანი, ღრმა და მასთან უაზრო გამოცანები; მოთხრობა თავდებოდა ჰამლეტის მოხერხებულის შურისძიებით და მისის ტახტზედ ასვლით, იმ სცენის, სადაც ჰამლეტი ცდილობს კეთილ გზაზე დააყენოს დედა და ჰკლავს ჯაშუსს და აგრეთვე იმ სცენის, სადაც იგი მახეს უგებს მღევართ, რომლებიც ბროტანიაში იყვნენ გაგზავნილნი,—ამ ადგილების შემწეობით შეეძლო მხოლოდ შექსპირს მიეცა საგისათვის სხვანაირი განმარტება და გადმოცემა სხვა სახით. ძველ გადმოცემაში არ არის არც ლაერტი, არც ოფელია; გამოყვანილია სრულიად უმიზ-

*) გერვინუსი (1805-71 წ.) გერმანელი ისტორიკოსია, დასწერა ცნობილი „XIX საუკუნის ისტორია“ (8 ტომი) და სხ. მის კალამს ეკუთვნის საუკეთესო გარჩევა შექსპირის ღრამებისა—„შექსპირი“ (4 ტომი). ჩვენ გავაცნობთ მკითხველებს შექსპირის უმთავრესი პიესების ვარჩევას—„ჰამლეტის“, „მაკბეტის“, „მეფე ლირის“, „ოტელოს“ და „რიჩარდ III-ისას“.

ნოდ ერთი ახალგაზდა ქალი, რომელიც ჰამლეტთან იყო აღზრდილი და მისი მეგობარია; ჰამლეტი შეაყვარებს ამ ქალს თავის თავს და ჩამოართმევს ფიცს, რომ დიდ საიღუმლოთ დაიცვას მათი სიყვარული. საზოგადოთ საგა ღარიბია შინაარსით და დაუღაგებლად არის ნაამბობი. არც ერთ პიესისათვის არ ჰქონია შექსპირს ასეთი დაუმუშავებელი მასალა და ამ მასალიდან შექმნა მან ის პიესა, რომელიც მოაგონდება ყველას, ვინც კი ახსენებს შექსპირის სახელს; ის პიესა, რომელშიაც, თითქოს მოთავსებულია ყველა ერთმანეთის მოწინააღმდეგე თვისება პოეტის შემოქმედებითი ძალისა და სულისა; პიესა, რომელიც პოეტის ყველა ღრამაზედ მალლა სდგას თავისი ორიგინალურობით და მასთან მეტად ხალხურია და სრულიად მოკლებული არა-ბუნებრივობას; პიესა, რომელიც ერთ და იმავე დროს არის სურათი უბრალო, მარტივის ცხოვრებისა და მასთან წყარო ღრმა სიბრძნისა; პიესა, რომელიც, ჰენრიხ IV-თან ერთად, წარმოადგენს უდიდეს წყაროს შექსპირის ხასიათის და არსების გასაგებად; პიესა, რომელსაც რალაც წინასწარმეტყველობითი ხასიათი აქვს, იცქირება შორს მომავალში და სულით წინ უსწრებს თავის საუკუნეს; პიესა, რომელიც მხოლოდ ორი საუკუნის შემდეგ იქმნა გაგებული; პიესა, რომელსაც ასეთი გულითადი ღრმა გავლენა ჰქონდა ჩვენ, გერმანელების, ეხლანდელ, ახალ ცხოვრებაზედ, ისე შეესისხლხორცა და შეეთვისა მას, როგორც არ შეთვისებია არც ერთი ნაწარმოები გარდა—ჯაუსტისა.

შექსპირის დროს არსებობდა განსაკუთრებული ისტორიული და ლიტერატურული გარემოებანი, რომელთაც შეეძლოთ ძლიერად გაეცხოველებინათ პოეტისათვის ეს მოუხეშავი საგა და რომელთა ზედგავლენით პოეტი იძულებული იყო სულით და გულით ჩაჰკვირებოდა გადმოცემის შინაარსს. ეს გარემოებაა—ლორდ დარნლეის მოკვლა და მისი ქვრივის—მარიამ სტუარტის ჯვარის დაწერა ლორდ ბოსველზე (შოტლანდიაში 1567 წ.), რომელ გარემოებასაც მსგავსება აქვს ჰამლეტის შინაარსთან. გარდა ამისა, იყო ერთი უძველესი დრა-

მა ჰამლეტის შესახებ, რომელიც შემაერთებელია შექსპირის პიესისა და პირვანდელი გადმოცემისა. XVI საუკ. მეოთხე მოცე წლებში, როდესაც ბრავალი ტრაგედია დაიწერა „შურის ძიების“ ტემაზე, რასაკვირველია, არ დაივიწყებდნენ ჰამლეტის ისტორიასაც. ტომას ნაშის წერილიდან სჩანს, რომ ჯერ კიდევ 1589 წ., შეიძლება 1587 წელსაც, არსებობდა დრამა ჰამლეტის შესახებ. 1594 წ. ნიუვინგტონ—ბეტტის თეატრში ითამაშეს ამ სათაურის პიესა და შეიძლება ეს იყო ის უძველესი ჰამლეტი. ზოგიერთი ინგლისელები იმასაც-კი ფიქრობენ, რომ ეს ძველი პიესა ეკუთვნის ახალგაზდა შექსპირის კალამს, მართლაც უეჭველია, რომ ჰამლეტის შინაარსი, ისე როგორც რომეო და ჯულიეტა, ადრევე აინტერესებდა შექსპირს. ის სახე, რომლითაც ამ პიესას ვიცნობთ ჩვენ 1604 წლის გამოცემაში, მან მიიღო 1601-1602 წ., როდესაც თითქმის „ორჯერ მეტად გადიდებული იქმნა“. მარტო იულიოს კეისარის სახელის ხშირად ხსენება, გვეუბნება, რომ ჰამლეტი შექსპირის მიერ უკანასკნელად გადაკეთებული იყო მაშინ, როდესაც სწერდა ამ სახელის ისტორიულ დრამას. პიესა რამდენჯერმე იყო გადაკეთებული.

ჩვენ გვაქვს 1603 წ. გამოცემა in 4^o, რომელსაც კოლლჭერი, დეისი და მომსენ სთვლიან დამთავრებულ პიესიდან ცუდად გადმობეჭდილ ეგზემპლიარად და ნაიტი, დელიუსი და სტაუნტონი კი, უფრო სამართლიანად, აღიარებენ პირვანდელ შეუმუშავებელ და დაუმთავრებელ დედანად (მასთანვე დამახინჯებულად). თუ შევუდარებთ ამ გამოცემას მერენდელ შემუშავებულ პიესას, აშკარათ დავინახავთ, თუ როგორ მალღდება თანდათან ავტორის პოეტური ნიჭი და ირკვევა და ვითარდება პიესის დედა-აზრი. რომ 1603 წლის გამოცემა არ არის დამთავრებულის პიესიდან ქურდულად გადმობეჭდილი ეგზემპლიარი, ეს იქიდანაც სჩანს, რომ პოლონიუსს და მის მოსამსახურეს აქ სხვა სახელები აქვთ—კორამბისი და მონტანო. ეს გამოცემა ყველაზედ უფრო იმას გვიმტკიცებს, რომ შექსპირის პიესაში ფაქტიური მხარე მაშინაც იგივე იყო, მხო-

ლოდ შინაგანი აზრი არ იყო ისე გამოაშკარავებული, როგორც შემდეგ. უძველეს ტექსტში არ არის ის მეტად მნიშვნელობიანი დაპირდაპირება ჰამლეტის და ჰორაციოს ხასიათებისა, რომელსაც გამოსთქვამს ჰამლეტი „გონზაგოს მკვლელობის“ წარმოდგენის წინად. იქ არ არის ის გადაკვრითი სიტყვები პიესის მნიშვნელობის შესახებ, რომლებსაც ამბობს გონზაგო. იქ არაა ის პატარა მონოლოგიც (III, 2), სადაც განმარტებულია ჰამლეტის აღელვებული სულის მდგომარეობა, რაიც გასაგებად ხდის ჰამლეტის საქციელს დედის შესახებ და პოლონიუსის მოკვლას. მას აკლია მეფის ლოცვის მონოლოგის ანტითეზები (III, 3), რომლებიც აადვილებენ პიესის გაგებას. იქ არ არის მთელი სცენა, სადაც ჰამლეტი შეხვდება ფორტინბრასის ჯარებს, არაა მთელი მონოლოგი, რომელიც არის კლიტე მთელი პიესის გასაგებად. არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ყველაფერი ეს შემთხვევით არის გამოტოვებული. უფრო დასაჯერებელია, რომ შექსპირს უნდოდა გაკვრით გამოეთქვა აქა-იქ აზრები დრამის შინაარსისა გასაგებად, რომელიც წინად გაუგებარი იყო და რომელიც დღესაც საიდუმლოა ბევრისათვის პირველ გაცნობისას.

მას შემდეგ, რაც გეტემ აგვიხსნა ეს გამოცანა თავის ვილჰელმ მეისტერში, არავინ არ ფიქრობს უკვე; რომ აქ რაიმე გამოცანაა და არც ცდილობს რაიმე მიუმატოს გეტეს განმარტებას. სწორედ რომა ვსთქვათ, შექსპირს არა აქვს არც ერთი პიესა, ჰამლეტზე უფრო აშკარა და ადვილად გასაგები დედა-აზრის მხრივ, და მასთან არც ერთი მისი ნაწარმოები, გარდა სონეტებისა, არა ყოფილა ისე მრავალნაირად ცუდად გაგებული, როგორც ჰამლეტი. ვოლტერის აზრი ვიცით. მაგგვარადვე არც მელიონმა იცოდა, როგორ გოგო ეს პიესა: იგი ფიქრობდა, რომ მოგონებული სიგიჟე ვერავითარ მიზანს ვერ მიაღწევს. სხვები, როგორც, მაგალითად, აკენსგილი, ფიქრობდნენ, რომ შექსპირს უნდოდა ჰამლეტი ნამდვილ გიჟად დაეხატათ. ყველამ იცის, რომ ტიკიც ცდილობდა განეახლებინა ეს ძველი ამბები. ჯონსონისათვის გაუგებარი იყო

ჰამლეტის სიგიჟე; იგი სთვლიდა ჰამლეტს იარაღად და არა თავისუფლად მომქმედ არსებად, რადგან არ იღონა არავითარი ღონე მეფის დასასჯელად და ბოლოს მეფე ჰკვდება შემთხვევით და არა იმ შვილის ხელით, რომლის მოვალეობა იყო შურისძიება.

მაგრამ რაც ვოლტერის აზრით პიესის პლანის ნაკლოვანებას შეადგენდა, თავისთავად დაირღვა, როდესაც გეტემ დაამტკიცა პიესის სრული თანდათანობა. რაც ჯონსონის და მელონის სიტყვებში დამტკიცება იყო, ის ყველა ქებად გაადაიქცა, როდესაც დამტკიცდა, რომ შექსპირს სწორედ იმის დახატვა უნდოდა, რომ მისი გმირისეთი კაცია, რომელშიაც ძალთა თანასწორობა დარღვეულია; რომ პოეტს უნდოდა დაეხატა სული, რომელიც გრძნობს, რომ მას არ ძალუძს მონდობილი საქმის შესრულება.

რომ აგეთი იყო, ნამდვილად, პოეტის განზრახვა, ეს თავისთავად სჩანს ფაქტიურის შინაარსიდან და აქა-იქ გამოთქმულ აშკარა აზრებიდან. ასეთს სიცხადეს ჩვენ არ ვხედავთ არც რომეოში და არც შექსპირის სხვა პიესაში. ეხლა კიდევ ერთხელ, საზოგადო მიმოხილვისათვის, შევუფარდებთ ერთმანეთს ტრაგედიის ფაქტიურ მხარეს და მის განმამარტებელს აზრებს.

მეფე დანიისა, ნამდვილი გმირი, ადამიანი, რომელსაც არ ჰყავდა ტოლი, ღვთაება სახით და დიდებულებით, მოკლულ იქმნა ძმის ხელით, რომელმაც განდევნა ტახტიდან განსვენებულის მეფის შვილი და ჯერ კიდევ მისი სიცოცხლის დროს შეაცდინა მისი მეუღლე ალერსით და საჩუქრებით. პატივმოყვარეობის, ბატონობის წყურვილის და ავხორცობის გამო ჩაიდინა მკვლელობა ეს ბუნების წინაამდგვი დანაშაულობა; წყნარის სახით და ქველის საქციელებით ისე „მოშაქრა“ თავისი ბოროტი სული, რომ დედოფალმა, მისმა ცოლმა სრულიად არაფერი არ იცის დღეს მკვლელობის შესახებ. გარეგანი სახე კლავდიუსისა სრულებით არ ლაპარაკობს მის სასარგებლოდ, რომელსაც ჰამლეტი გინების (ჯოჯო, კატა, ლამურა) სიტყვებით ახასიათებს,

როგორც გარყვნილს, გემოთ-მოყვარეს, მოუსვენარს და რომელიც მუდამ დღე ქეიფსა და თამაშში ატარებს დროს. არც ერთი სულიერი ღირსება არა აქვს ამ თვარისეველს და „პირით მლიმარე გაიძვერას“, თუ არ მივ-ღებთ ასეთ ღირსებად მის გონების და უწმინდურ სინილისის გამჭრიახობას, რომელიც აიძულებს მას გულდადებით ყური უგდაოს ყოველსავე განსაცდელს და მუქარას, რომლის გამო იგი ცდილობს ახსნას და განმარტოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე სიტყვა, ყოველივე სულთქმა და შემოიკრებს გარშემო ჯაშუშებს და სხვა თავის ნებას მოკლებულ იარაღებს.

და აი სული მოკლულის გმირისა სდგება საფლავიდან და აფიცებს შვილს, თუ კაცი გქვიან, შური აგე ჩემს მკვლელს და არ იქმნე უმოქმედო და უგრძნობელი ასეთის უბუნებო დანაშაულობის წინაშე, როგორც ბალახი „რაც ქვესკნელს ლეთის ნაპირებზედ სიმსუქნით ღებებო“. განგების მსახური, ცეცხლში ტანჯული სული ასეთის ხვეწნით მიჰმართავს ჰამლეტის გულს. შურისძიება მაშინდელის დროის შეხედულებით არის მოვალეობა, რომელიც უნდა აასრულოს ადამიანმა უთხოვნელადაც; გარდა ამისა, ჰამლეტმა არამც თუ შური უნდა აგოს, არამედ უნდა დასაჯოს დამნაშავე, რადგან იგი ტახტის უკანონოდ განდევნილი მემკვიდრეა და თავის ქვეყნის მსაჯული. ამ ძლიერ შურის საძიებელ მიზეზთა გარდა არის სხვა წამქეზებელი გარემოებანიც. ყველას ცხადად ახსოვს მოკლული მეთე (ყოველმა სულელმა იცის, მესაფლავეს სიტყვით, დღე და წელიწადი, როდესაც მეთემ დაამარცხა მოხუცი ნორვეგიელი!); პოლონიუსის სიკვდილის შემდეგ ხალხი აღელვებულია ახლის მეფის წინააღმდეგ და უნდა ლაერტი აირჩიოს ახალ ბატონად. აქედან სჩანს, რომ მეთე არ არის საშიში მოწინააღმდეგე და თუ სჩანს ასეთად, მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ მუდამ შიშშია და ფრთხილობს და დარაჯობს. ახლგაზდა ჰამლეტისკენაა ხალხის თანაგრძნობა, რომელიც მის სისუსტესაც ღირსებად სთვლის; ბოლოს თვითონ დედაც, რომელსაც თითქმის გაგიჟებით უყვარს შვილი, გაჭირვე-

ბის დროს იქნებოდა უფრო ჰამლეტის მომხრე, ვიდრე ქმრისა. ამ გარეგან გარამოებათ ემატება ჰამლეტის პირადი ღირსებები, რომელიც, ოფელიას შეხედულობით, სასახლის თვალია, ენა-მჭევრი და ვაჟკაცი-სრული, რომელსაც კარგად შეუძლიან იხმაროს გონების და საბრძოლველი იარაღი, რომელიც 30 წლისაა, როდესაც ადამიანის ფიზიკური და გონებრივი ძალები ყველაზედ უფრო სავსებით და ზომიერად არის განვითარებული. არის მართალი საქმე, საბაზი, საშუალება და ძალა, არ არის მხოლოდ კეთილი-სურვილი, ნება. თუმცა ჰამლეტს აქვს სურვილიც: იგი შეჰფიცავს ძვირფასის მამის სულს, რომ ყველაფერს წაეშლი ჩემის ხსოვნის ფურცელზე გარდა შენის ბრძანებისა და გავფრინდები შურის საძიებლად.

მაგრამ ამ პირველ მონოლოგშივე ვხედავთ, რომ ის ადამიანი, რომელმაც ასე მტკიცედ გადასწყვიტა, საქმეს შეუდგეს, იძულებულია უთხრას თავის გულს: „დამშვიდდი!“ და ძარღვებს; „ნუ მიჩლონდებით, ერთიან წელში ნუ მომღუნავთო!“ რომ ეს უმეტად აღელვებული ადამიანი მწარედ ამოიოხრებს: „დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა!“ ჩვენ გვეუცხოება, რომ ჰამლეტი მაშინათვე არ აცნობებს თავის საიდუმლოს მეგობრებს, რომლებს რამდენჯერმე გამოეცხადა მამა მისი, და მხოლოდ ჰორაციოს ეტყვის შემდეგში; რომ იგი ასეთ ახლობელი საქმისათვის მიმართავს რაღაც შორებელ საშუალებას და ბრუტოსავეთ მოიგონებს სიგიჟეს, თუმცა არავითარის ძლიერის მტარვალობის დამხობა არ მოელოდა წინ; რომ უფროსის და ერიდება მათ, რომელთაც თვითონ ეშინოდათ მისი, და ამგვარად აჩენს ჯაშუშებს და თვალყურის მგდებელთ და აიძულებს მეფეს, რომელსაც წინათაც აწუხებდა ჰამლეტის მოწყენილობა, კიდევ უფრო უნდობლად მოეპყრას მას. ჩვენ ვხედავთ, რომ ჰამლეტი თავის მოგონებულის სიგიჟით იწვევს უფოთს სასახლეში, შეიქნება გამოცანათ ჯაშუშებისათვის, სტანჯავს საყვარელს ქალს და ივიწყებს თავის მოვალეობას. გადის ორი თვე და ჰამლეტი

არც-კი ფიქრობს საქმის შესახებ, ვიდრე აქტიორი თავის საუცხოვო თამაშით და კითხვით (II, 2) არ მოაგონებს მას მოვალეობას. მაშინ გაჯავრებული მივარდება თავის თავს და დაუწყებს ლანძღვას: უწოდებს უმსგავსს, უგრძნობელს, მაწანწალას, მონას, მხდალს, რომელიც ყოველგვარ შეურაცხყოფას აიტანს, რომელსაც მტრედის გულ-ღვიძლი უძევს და არ გააჩინა ნაღველი. მაგრამ ახლაც ეს სამართლიანი თავის განკიცხვა არ აქეზებს მას შურის საძიებლად. აქტიორის თამაშმა ის გავლენა იქონია, რომ ჰამლეტი ფიქრობს, გამოსცადოს მეფის სინილისი სასცენო წარმოდგენით. დროთა მსვლელობამ იმ გვარად იმოქმედა მულამ გაუბედავ ადამიანზე, რომ ახლა ჰამლეტს ეჭვიც კი შეეპარა, შეიძლება ის სული, რომელსაც წინად მეგობრების წინაშე „პატიოსანის სულის“ სახელი უწოდა, მამის კი არა, ეშმაკის სულია, რომელმაც განიზრახა ჩემი დაღუპვა, „რადგან ჩემებრივს სევდიან და სუსტ ქმნილებაზედ მავნედ მოქმედობს ძლიერება ავის სულისაო“.

პიესას არდგენენ სცენაზე. პოეტი სარგებლობს ამით, რომ ჯერ მიმართოს თვითონ ჰამლეტის სინილისს და მერე შეფისას. ამავე საშუალებას ხმარობს შექსპირი იმისთვისაც, რომ გავგავებინოს თავის დრამის აზრიც. როგორც კი იგრძნო ჰამლეტმა წარმოდგენის დედოფლის სიტყვებში თავის დედის განკიცხვა, იმავე დროს ვაიგონა თავისთვისაც მწარე სიტყვები, რომელსაც ამბობს გონზავო თითქოს აჩრდილის ხმით: „მაგრამ ვივიწყებთ ხშირად ჩვენვე ჩვენგან განზრახულს, განზრახვა არის ხსოვნისათვის მონა მორჩილი, იშვის ძლიერი და დაჰკარგავს ბოლოს ძლიერს სულს, როგორც რომ ხეზედ მაგრად ებას ჯერ მკვახე ხილი და მერე მწიფე მოსწყდეს ხესა არც კი შერხეულს. ძნელი ეს არის, სამწუხადოდ, რომ გვავიწყდება, ის გადაუხადოთ ჩვენსავ თავსა, რაცა გვდევს ვალად და რასაც ვაზრობთ, როცა გული აგვიღელდება, მღელვარებისა შემდეგ იგი გაჰქრება კვალად. კმუნვა და ღზინი მით იჩენენ თვის ძლიერებას, რომ თვისთან ერთად სპობენ მყისვე თავიანთ ნაყოფს“.

წარმოდგენის საშუალებით გამოცდამ კარგად ჩაიარა. ჰამლეტმა წინდაწინვე დაავალა ჰორაციოს, თვალი ადევნე მეფესაო, რომ თვითონ ჰამლეტს უსაქმურად ეჩვენებინა თავი. ეხლა ორივე რწმუნდებიან, რომ მეფე დამნაშავეა. აქ პოეტი გვიხატავს მკვლელს მარტოდ, როდესაც იგი ცდილობს ილოცოს და ცოდვები მოინანოს (III, 3). თითქმის ყოველი ფრაზა მისი მონოლოგისა შეგვიძლია შევუთანხმოთ ჰამლეტის სულის მდგომარეობას, რომელსაც აწევს იმგვარივე მოვალეობა შურის ძიებისა, როგორც მეფეს—მოვალეობა მონანებისა. ფარისეველი—მკვლელი ისე ყოყმანობს დანაშაულობასა და მონანებას შუა, როგორც ჰამლეტი დანაშაულობასა და შურისძიებას შუა. მეფეს აქვს სურვილი ილოცოს, როგორც ჰამლეტს აქვს სურვილი დასაჯოს დამნაშავე, მაგრამ არც ერთის ბუნება არ ეთანხმება მათ მოვალეობას და საქმეს: უზომოდ—დიდის დანაშაულობის შეგნება ნებას არ აძლევს მეფეს ილოცოს, ამგვარადვე ნამეტანი კეთილსინილსიერობა ჰბორკავს შურის მაძიებელის ვნებას და წადილს სწორედ იმ დროს, როდესაც იგი (ვნება) ესეც არის აღიძრა მასში. ასე ორთავე შესახებ შეიძლება ვსთქვათ ის, რასაც ამბობს კლავდიუსი თავის თავზე: ვალად სძევთ ორი საქმე, მაგრამ უძრავად სდგანან მაშინ, როდესაც უნდა დაიწყონ მოქმედება, და არ აკეთებენ არც ერთს, არც მეორე საქმეს. მეფემ იცის, რომ ზეცა მდიდარია მადლით, მაგრამ ვერ ჰპოვებს გზას ცისკენ; ჰამლეტს თვითონ ზეცამ უჩვენა გზა შურისძიებისა, მაგრამ მისი ჩხვილი გული ვერ ბედავს გაყვეს ამ გზას. რის მაქნისია სასჯელი, შეუძლიან იკითხოვს ჰამლეტმა, თუ იგი არ მოეველინება თვითონ დანაშაულობას! ლოცვის ორ გვარი ძალა ის არის, რომ დაგვიფაროს ცოდვის ჩადენისაგან და მოგვიპოვოს მიტევება უკვე ჩადენილის ცოდვისათვის. ამ გვარადვე ჰამლეტს შეეძლო ეთქვა თავის-თავის შესახებ, რომ შურის ძიების ორ გვარი ძალა მდგომარეობს იმაში, რომ დასაჯოს უკვე ჩადენილი დანაშაულობა და მოსპოს მისი ხელ-ახლა განმეორება. მეფეს უნდა სინანულის ლოცვის თქმა, მაგრამ ვერ ჰპოვებს ნამდვილს სი-

ნანულს, რომლის გავლენით ყველაზედ უწინარეს მას უნდა დაეტოვებინა ტახტიც და ცოლიც. ჰამლეტსაც უნდა შურისძიება, მაგრამ კეთილ-სინილისიანობის გამო ვერ შესდგომია საქმეს. სინანულს ყველაფერი შეუძლია, ეუბნება თავის თავს კლავდიუსი; მაგრამ რას იქნის სინანული, თუ თვითონ ცოდვილს არ ძალუძს მონანება? აგრეთვე ჰამლეტს სრული და თავისუფალი ასპარეზი აქვს შურის საძიებლად, მაგრამ რომ არ არის შურის მაძიებელი? მეფე გაება ცოდვის მახეში და ცდრლობს განთავისუფლებას, მაგრამ უფრო და უფრო იხლართება შიგ, ჰამლეტის გამბედაობას უნდა ფრთები გაშალოს, მაგრამ უფრო და უფრო ღრმად იფლტება გვიანობაში.

სწორედ იმ დროს, როდესაც მეფე ამ ფიქრებით არის გატაცებული, ჰამლეტი გაჩერდება მის უკან და შეუძლია სულ აღვილად შური აგოს. თანაც ახლა ღამეა, როდესაც გამოცხადდებიან სულები და ჰამლეტი იმდენად აღელვებულია, რომ შეუძლია აასრულოს განზრახული საქმე. მაგრამ ყოველთვის გაუბედავი, ახლაც გამონახავს ახალს, რაღაცა შორებულს მიზეზს, რომ გადადვას შურისძიება: არ უნდა ამ ლოცვის დროს გაგზავნოს ზეცას მკვლელი, რომელმაც განცხრომაში მოჰკლა მამა მისი. არ სარგებლობს ამ მოხერხებულ შემთხვევით და ელოდება უფრო საშინელს გარემოებას; ჰამლეტი მიდის, გადარჩენილი ცოდვილი კი გვეუბნება, რომ ვერ შევიძელი ლოცვაო. ჰამლეტი ისევ აღელვებულია და, ყველაფერის ამადამ ნახულის და გაგონილის ზედგავლენით, დანასავით მჭრელის სიტყვებით უნდა სინილისი გაუღვიძოს დედას. როგორც კი დაუწყებს დედას ლაპარაკს და გაიგონებს ხმაურობას, წარმოიდგენს, რომ ფარდის უკან მეფეა დამალულიო, ჩაჰკრავს მახვილს, მაგრამ მეფის მაგიერ ჰკლავს საყვარელის ქალის მამას! აღამიანი, რომელსაც მეტად ეძნელებოდა შურისძიება მამის მოკვლისათვის, მოულოდნელად შეიქმნა მკვლელი. ამ უბედურ შეცდომაში ჰამლეტი ხედავს. სასჯელს არა მარტო პოლონიუსისათვის, არამედ თავისთვისაც. მაგრამ უფრო სასტიკი სასჯელი მოელოის მას აჩრდილის მეორედ გამოცხადებით. აჩრ-

დიდი გამოცეხადება იმიტომ, რომ მოაგონოს, ნუ სდევნი დედასაო და მეორედ შეაგულიანოს შურის საძიებლად. ჰამლეტს ტყვიასავით მოხვდება სულის სიტყვები, გრძობს, რომ მამა აყვედრის საქმის დაგვიანებას მას, რომელიც ხენ მეტად გვიანობს, ხან-კი ძალიან აჩქარებული და აღელვებულია და ამგვარად პირს უჩლოუნგებს თავის მკაცრს გადაწყვეტილებას.

იმ შეცდომას, რომელიც მოუვიდა ჰამლეტს შურის ძიების საქმეში, კიდევ უფრო მეტად უნდა წაექეზებინა, რათა სერიოზულად შესდგომოდა საქმეს; მაგრამ, პირ-იქით, ჰამლეტი მეტს გვიანობს და გერაფერს აკეთებს. ამ დროს შეხვდება ახალგაზნდა ფორტინბრასს, რომელიც წინამდებ ჰამლეტისა არის ძლიერი და მომქმედი ადამიანი. ფორტინბრას შური უნდა ეგოდანიის მიერ მამა მისის დამარცხებისათვის და არა რაიმე მკვლელობისათვის, ხელში აიღო იარაღი, მაგრამ რადგან ბიძისაგან აკრძალული ჰქონდა დანიასთან ბრძოლა, ამიტომ თავის ყმაწვილურ გმირობის და რაინდობის წყურვილის მოსაკლავათ მიდის საომრად პოლონდში, რომელსაც უნდა წაართვას მცირე ნაჭერი მიწა. ჰამლეტი იძულებულია აღიაროს, რომ ამ მხურვალე მეომარს ასულდგმულებს ღვთაებრივი პატივმოყვარეობა, თუმცა იმასაც კი ფიქრობს, რომ ყმაწვილი სცდება თავის პატივმოყვარეობის საგნის შესახებ, რადგან თავს დებს რაღაც „ფუყე ჩალის ნაფასევისთვის“; თვითონ-კი არას აკეთებს, თუმცა მას უფრო დიდი მიზეზი აქვს სამოქმედოთ, აქვს ნება, საშუალება და ძალა საქმისათვის. ამ გარემოებითაც სარგებლობს, რომ პირი მოულოესოს თავის დაჩლოუნგებულ გამბედაობას; ხედავს, რომ „ქვეყნის ოდენნი მაგალითნი მას აქეზებენ“. და ხელახლად დაუწყებს თავის თავს კიცხვას: „რა არის კაცი, თუ იგი თავის კმაყოფილებას ჭამას და ძილში ჰპოებს მხოლოდ? მხეცია, სხვა რა? ვინც მოგვანიჭა ჭკვა-გონების შორს მხედველობა, ჩაგვახვედინა ჩვენს წარსულსა და მომავალში, — ის არ მოგვცემდა ამ ღვთაებრივ ნიჭიერებას, თუ სასარგებლოდ მოხმარებას ვერ შევიძლებდით.“ თავის თავს ემუქრება: „ამ დღიდან ჩემს ფიქრს სისხლს გამოვრწყობ, ან მოვსპობ

სრულად.“ მიუხედავად ყველაფერის ამისა, ჰამლეტი კიდევ მაინც ნებას აძლევს თავის თავს, წავიდეს ინგლისში და განშორდეს შურისძიების საგანსაც. მოხდება ერთი შემთხვევა, რომელიც ჰამლეტისაგან არ-ყო დამოკიდებული (ყაჩაღების თავს-დასხმა), რის გამოც იგი მალე ბრუნდება დანიაში.

მაგრამ ახლაც სრულებით არაფერს აკეთებს თავის მიზნის მისაღწევად, თუმცა ისიც გაიგო, რომ მეფემ მისი მოკვლა განიზრახა. მეორე მხრით რადგან ყოველ წუთში შეიძლება მოვიდეს ინგლისიდან ამბავი, რომ მის მაგიერ ელჩები მოჰკლეს, და ეს ამბავი უთუოდ გამოიწვევს შეტაკებას მის და მეფეს შუა, ეს გარემოება და შიში ვერაგობისა მეფის მხრივ ძალაუფლებურად აიძულებს მას, დაუჩქაროს, და სწორედ აქ ყველაზედ უფრო აშკარა ხდება მისი სისუსტე, აქ ეცემა სულით, აქ უსუსტდება გული. აქ ჩაიგდება ბიძის ვერაგობა მას თავის კლანჭებში უფრო ადრე, ვიდრე თვითონ მოასწრებდეს შურისძიებას, და ჩვენ გვგონია, რომ ვერც კანონიერი მოვალეობა სამართლიანად დასჯისა, ვერც საკუთარის თავის დაცვის აუცილებლობა ვერ გააბედვინებდა ჰამლეტს შურისძიებას. მხოლოდ სასიკვდილოდ დაჭრილი ჰამლეტი აღსდგება მომწამვლელის მეფის წინააღმდეგ, რომელმაც დიდხანია მოკლა სულით დედოფალი და ეხლა ხორცითაც გახადა იგი შემთხვევით თავის ვერაგობის მსხვერპლად.

ამ გვარად თუმცა სრულიად ნათელია უმთავრესი მოქმედება პიესისა და გმირის საქციელი, მაგრამ ყველაფერი ეს უფრო აშკარა და ცხადი ხდება იმ დაპირდაპირებიდან, რომლითაც დაუპირდაპირა შექსპირმა ერთმანეთს ჰამლეტი და ლაერტი; თავად ჰამლეტი ხედავს ლაერტის ისტორიასა და ყოფა-ქცევაში თავის საქმის კონტრასტს. შეიძლება არც ერთს პიესაში არ ეტყობა პოეტს წინასწარ-განზრახულობა პირების დახასიათებაში, როგორც აქ. ჰამლეტმა მოჰკლა პოლონიუსი. მისი შვილი ლაერტი, რომელიც ცოტათი „მოდის“ გმირს მოგვაგონებს, მშვენიერ-შებრძოლი დაშნით, საფრანგეთში აღზრდილი რაინდი, ტემპერამენტით იმდენად ხოლერაიკი, რამდენად

ჰამლეტი მელანხოლიკია, ადამიანი, რომელიც სრულებით არ არის შემკული ჰამლეტსავით გულის და სულის ღირსებებით,—ეს ლაერტი გამოექანება პარიზიდან დანიაში, რათა შური აგოს დაუყონებლივ მამის მკვლელს; მამის დარღვიდან, ეტყობა, ერთი რამ ჩანერგია მას ყველაზედ უფრო გულში: „შფოთს მოერიდე; მაგრამ თუ კი მოგიხდა სადმე, ისე მოიქეც, რომ სხვანი გერიდებოდნენ“. მთელი მისი არსება ახლა ერთის შურისძიების აზრით არის შეპყრობილი, ყოველი მისი ძარღვი მომართულია სამოქმედოთ ჯერ კიდევ მანამდის, ვიდრე დაბეჯითებით გაიგებდეს, თუ ვინ არის მკვლელი. მეფემ ჩუმად დაამარხვინა პოლონიუსის გვამი, ამიტომ ბევრს ეჭვი დაებადა, ვითომც იგი იყოს მკვლელი. ლაერტს-შურისმაძიებელს არ აჩერებს ის გარემოება, რომ დამნაშავე დიდებული და ძლიერი ვინმეა. უბრალო ხმები, ჩამჩურჩულებელნი და ცილისმწამებელნი,—აი ვისგან შეკრიბა ლაერტმა ცნობები და არა საფლავით აღმდგარ „პატიოსან აჩრდილისაგან“. მას არა აქვს ის ძლიერება და საშუალება, რომელიც აქვს ჰამლეტს, მაგრამ ისე მოიხმარს თავის „მცირე ღონე-შეძლებას, რომ დიდსა საქმეს მოიქმედებს მის შემწეობით“.

იგი არ არის ტახტის კანონიერი მემკვიდრე, პატივისცემით და სიყვარულით არ უყურებს მას ხალხი, არ არის პრინცი, უბრალო ქვეშევრდომია, მაგრამ აჯანყებს ხალხს და მეფეს ტახტიდან ჩამოგდებს უქადის. შეუვარდება მეფეს და ჰყვირის: „ერთი წვეთიც ჩემის სისხლისა რომ მშვიდი იყოს, ჩემს ბუშობას დაამტკიცებდა, შუურაცხ-ყოფდა მამაჩემსა და თვით დედა-ჩემს“. ჯანდაბას ჰგზავნის წყევლით ქვეშოვრდომულ გრძობასაც, ფიცსაც და სინიღისს, არ ეშინია საიქიოს სასჯელისა. ჰამლეტი კი ფიქრობს და ეჭვობს მაშინაც, როდესაც საქმე ნათელია, როგორც მზე. ლაერტი მზად არის თვით ეკლესიაშიც გამოსჭრას ყელი მამის მკვლელს; ჰამლეტმა კი სინიღისიერად ხელი არ ახლო მეფეს, როდესაც იგი ლოცულობდა. ლაერტმა თავის დაშნაც კი მოსწამლა, რომ ბრძოლის დროს აუცილებლივ მოეკლა ჰამლეტი. ამით შეურაცხყო რაინდუ-

ლი პატიოსნება, მაგრამ ის მხოლოდ შურისძიებაზე ფიქრობს; ჰამლეტის გაუბედაობისა და გვიანობისა გამო კი ჰკვდება უბრალო პოლონიუსი, ჰკუიდან იშლება ოფელია, იღუპებიან როზენკრანცი და გილდენსტერნი; ბოლოს იღუპება დედა მისი და თვითონაც. ლაერტს სრულებით არ ესაჭიროებოდა წაქეზება მეფის მხრით, რომელიც უფრო გამოადგებოდა ჰამლეტს, სახელდობრ: „რაკი საქმესა რომელსამე გულს განვიზრახავთ, მაშინვე უნდა შევასრულოთ; თორემ განზრახვა ანუ უქმდება, ან იმდენ-გზის სახესა ცვლილობს, რამდენს გზასა, ხელს, შემთხვევას იგი შეხვდება“. ლაერტისათვის არ იყო საჭირო არც გაფრთხილება, რომ გაცხარებულის შურიძიების დროს არ აენოს უბრალოებს, რადგან ლაერტი ისეთი კაცია, რომელიც გამსჭვალულია კანონიერის ვნებით და მასთან საუცხოვო ზომიერების პატრონია. ლაერტი მზად არის, მკერდზე მიიკრას თავის მამის მეგობრები და აწოვოს მათ თავის სისხლი. მაგრამ მამის მკვლელი კი უნდა იპოვოს, შური აგოს, მარტო ეს ერთი მიზანი აქვს თვალ წინ, ერთი მისწრაფება, ამ მისწრაფებას ვერ უარაყოფინებს „მთელის ქვეყნის სურვილი“. მერე ეს ყველაფერი როგორის მამისათვის! ჰამლეტის მამის შესახებ ჩვენ გვესმის ის ამაყი სიტყვები, რომელნიც საუცხოვო ეპიტაფიაა ყოველის დიდებულის ადამიანისათვის:

ის კაცი იყო, ვით შეჭფერის კაცსა კაცობა...
მე ველარ ვნახავ იმის მზავსსა ჩემ სიცოცხლეში!

და ასეთის კაცის მოპირდაპირება—პოლონიუსი!

ის კრიტიკოსები, რომლებიც ცდილობდნენ პოლონიუსის კეთილის სახით დახატვას, ალბად, არ გრძნობდნენ შექსპირის განზრახვას, რომელსაც უნდოდა ეს ორი ხასიათი დაეპირდაპირებინა ერთმანეთისათვის. პოლონიუსის ცუდის მხარეების ნახევრად მაინც რომ შეიძლებოდეს მისის კარგის თვისებებით დაფარვა, განა ჰამლეტი ეტყოდა აქტიორებს, როდესაც მათ სტოვებს საყვარელის ქალის მამასთან—პოლონიუსთან, სასაცილოდ არ აიგდოთ იგიო? განა ეტყოდა პირში ქალს, რომ

მამა მისი სულელია? განა მიმართავდა სიტყვებით მის გვამს: „შე საცოდავო, მეტიჩარა, უჭკვო მასხარა?“ მართალია, ჩვენ არ ვხედავთ, რომ პოლონიუსი რამე გაიძვერობას ჩადიოდეს, მაგრამ იმნაირად მოქმედობს და იმდენად უზომოდ თავაზიანია, რომ ეს ცუდათ ახასიათებს მის პატიოსნებას. უყვარს ბრუნდის გზით სიარული, პირდაპირ არავისთან არ მივა, მუდმივი მიდრეკილება აქვს ჯაშუშობისადმი, რის მსხვერპლი შეიქნება ბოლოს. იგი ყველაფერში ერევა: პარიზშიც-კი აღევნებს თვალყურს ლაერტის ყოფა-ცხოვრებას; იმდენად შეილების სათნოებაზე არა ზრუნავს, რამდენად მათ ზრდილობიანობასა და გარეგან სახელის დაცვაზედ, მასთან არაფერში არ ენდობა არც ოფელიას და არც ლაერტს. ყველაფრის გამოძიება და გაგება შეუძლიან ამ ადამიანს, ჯოჯოხეთიდანაც-კი დაგვიბრდება ამბავის მოტანას, თუ რამე ხელმოსაკიდებელ ნიშანს მივსცემთ. მაგრამ ამავე დროს მან არაფერი არ იცის ჰამლეტის მამის მოკვლის შესახებ, თუმცა კიდევ რომ იცოდეს, არაფერს გამოამყლავნებს, როგორც ნამდვილი კარის კაცი.

სწორედ ასეთი შინა-კაცებია საჭირო ისეთის მეფისათვის, როგორიც არის კლავდიუსი. სახელმწიფო საქმეების შესახებ ბევრს არ ელაპარაკება იგი პოლონიუსს, მაგრამ დიდის სიამოვნებით უსმენს სასახლის ქორებს, ყურს უგდებს მის უაზრო მჭერმეტყველობასაც და გულ-დაჯერებულ აზრებს. რასაკვირველია, ამ მოხუცებულს კარისკაცს კარგი სკოლა აქვს გავლილი, ბევრი დაკვირვება და გამოცდილება აქვს შეძენილი და სიხარულით საუბრობს ყველაფრის შესახებ: პირველი შენედვისთანავე, შეატყობთ პოლონიუსს თავთხელა კაცის თავმომწონეობას, რომელმაც უმაღლეს ხარისხამდის მიაღწია, და ახლა ერთნაირის კმაყოფილებით აძლევს შვილს დარიგებას, მეფეს-რჩევას და მოსამსახურეს ასწავლის ადამიანების ცნობას. ყველაფრის მცოდნეა და თავის თავს სთვლის ბრძენ და მეტად წინ დახედულ ადამიანად, რომელიც არასოდეს არ შესცდება. ყველამ ვიცით უსინიდისობა თავმომწონე ადამიანებისა, რომელთაც ყოველთვის მართლად უნდათ დარჩნენ და რომელიმე გარე-

მოვბამ რომ უარჰყოს მათი წინასწარმეტველობა, ისინი მაინც მოურიდებლად იტყვიან, ჩვენ სწორედ ამას ვამბობდით, რომ ასე მოხდებოდაო; ყველა ვიცნობთ ამ სულელებს, რომელთაც დაზეპირებული აქვთ ბრძნული აზრები, ორატორებს, რომლებიც ლაპარაკობენ უფრო ჭკვიანურად, ვიდრე ნამდვილად არიან, მაგრამ დროებით, სანამ მათდა უნებურად არ გამომყლავნდება მათი უცოდინარობა. აგეთია პოლონიუსი, მას ადვილად შეუძლიან იცრუოს, რომ შენიშნა ჰამლეტის სიყვარული ოფელიასადმი ჯერ კიდევ მანამდის, ვიდრე რასმე ეტყოდნენ ამის შესახებ. იგი დარწმუნებულია, რომ საკვირველის სისწორით ამჩნევს ჰამლეტის სიგიჟის განვითარებას, თუმცა ჰამლეტი სრულიად არ არის შეშლილი. მისის აზრით, მან ყველაფერი იცის, ყველაფერი გაეგება, ყველაფერი გამოუვლიან თავს სიცოცხლეში: ყოფილა ხელოვანი აქტიორი; ყოფილა სიყვარულისაგან გაგიჟებული და სხ. უნდა ყველასთან კარგი განწყობილება ჰქონდეს, რადგან თუმცა დავობა უყვარს, მაგრამ ხანდახან სხვისი აზრების განმეორება არ ეზარება; თუ დასცილიან მას, ისე გვაჩვენებს თავს, თითქოს ვერაფერს ამჩნევდეს, მაგრამ შეიძლება ხშირად მართლაც ვერაფერს ამჩნევდეს. ამგვარად ყველასთან კარგი განწყობილება აქვს, მხოლოდ ერთს ჰამლეტს ვერ შეეგუა: ჰამლეტის ღრმა ბუნების სრულებით არაფერი გაეგება და მასთან ყოველად უღონოა. ვერც თვითონ ჰამლეტი შეთვისებია ამ ადამიანს. ჰამლეტს ვერ აუტანია ამ ხასიათის საძაგლობა და მატყუარობა და თავისი სიძულვილი ვერ დაუფარავს მაშინაც, როდესაც ამას მოითხოვს ზრდილობა და ოფელიას პატივისცემა. აი ასეთია ის კაცი, რომლის შურის საძიებლად ლაერტი მზადაა, გადააბრუნოს მთელი ქვეყანა; ჰამლეტი კი ივიწყებს გმირს, რომელიც საფლავიდანაც აღსდგა მის შესაგულიანებლად.

ამგვარად ეს პიესა წარმოადგენს ერთს, მჭიდროდ შეკავშირებულს, მთელს: ყოველი მოქმედება ერთი მიზნისაკენაა მიმართული, ყოველს პირს ახლო და არსებითი დამოკიდებუ-

ლება აქვს პიესის დედა-აზრთან. სიმართლის მოყვარეს, სასტიკის ზნეობის გმირს გარს ახვევია ისეთი ფარისეველი, თვალთმაქცი და მატყუარა ადამიანები, რომლებიც არასოდეს არ დადიან სწორის გზით. მის გონიერს, კეთილ-სინილისიან, ყველაფრის ამწონ ბუნებას პოეტმა დაუპირდაპირა დანარჩენების უსინილისო მოქმედება, მათი უგულო და უაზრო მოუფიქრებლობა საკუთარის საქციელის შესახებ. მეფის და დედოფლის, პოლონიუსის და ოფელიის, თითქმის მეორე ხარისხოვან პირების (თვით ჰორაციოსი, რომელიც საქმეს თვალ-ყურს ადევნებს და არ მოქმედობს), ფორტინბრასის, როზენკრანცის, ოსრიკის—ყველას შესახებ, ცოტად თუ ბევრად, მართალია ეს აზრი. ამასთანავე ერთმანეთის მოპირდაპირე ჰამლეტის და ლაერტის ხასიათების განსხვავება მეტად ხელოვნურად და აშკარად არის გატარებული პიესაში: ლაერტი, რომელიც ძლიერ სინილისიერად ეკიდება თავის მიზანს (რაც არ ითქმის ჰამლეტზე), არის ამავე დროს უსინილისო საშუალებების ამორჩევაში, და ეს გარემოება საჭიროა იმისათვის, რომ პიესამ ჩვენში არ აღძრას მეტი თანაგრძნობა მეორე ხარისხის გმირისადმი, ვიდრე უმთავრეს გმირისადმი.

თუ რა საუცხოვოდ არის განზრახული და სისრულეში მოყვანილი მთელი ეს მოქმედება, ეს სჩანს იქიდან, რომ არც ერთს პიესაში არ ვგრძნობთ ასეთნაირად იმას, რაც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ვენეციელი ვაჭრის გარჩევის დროს, სახელდობრ: რომ შექსპირის დრამებში მოქმედება არის ყოველთვის რაღაც წარმოშობილი, შედეგი, შექმნილი, რომ მისი ყოველ პიესის ცენტრს აქვს ერთი წყარო—მომქმედი პირები და ფარული საფუძვლები, რომლებიდანაც წარმოსდგება მათი მოქმედება. ჩვენ არ მივიღებდით მონაწილეობას პიესის ისეთ მხარეებში, როგორცაა საქმის დაგვიანება, გარეგან შემთხვევების სიმცირე და უქონლობა შინაგანს ენერჯისა და სამოქმედო ძალებისა. მაგრამ ნამდვილად მხურვალე მონაწილეობას ვღებულობთ ამ ჰამლეტის ცხოვრებაში: ეს იმას ამტკიცებს, რომ ჰემმარტის ინტერესს წარმოსდგენს სწორედ მისი ხასიათი. და მხოლოდ მაშინ, როდესაც

კარგად გავიგებთ ამ ხასიათს, გავიგებთ ყოველსავე მოქმედებას. ეგ ცოტაა: ჩვენ გვეცოდინება ისიც, თუ როგორ იმოქმედებდა, რას გააკეთებდა, რას იფიქრებდა ჩვენი გმირი სხვა გარემოებასა და მდგომარეობაშიაც. ამიტომ დიდათ საჭიროა გამოვიკვლიოთ, რა არის ეს ხასიათი, როგორის ელემენტებისაგან შესდგა, როგორმა საქმემ და ვითარებამ აღზარდა იგი ისეთად, რომ ამ გვარად გაუბედავია და მოკლებული მოქმედების ნიქს.

დედა ჰამლეტს აგვიწერს მსუქან, ქოშინით ავადმყოფ ადამიანად; ამნაირად თამაშობდა ჰამლეტს ბურბუჯი, რაიც ეწინააღმდეგება იმ ახალგაზდა და კობტა ჰამლეტს, რომელსაც ჩვენ ვხედავთ სცენაზე გარრიკის შემდეგ. ეს უფრო მეტი შეცდომაა, ვიდრე კლავდიუსის სქელ წვერა მტარვალად წარმოდგენა. დედის სიტყვებს თანახმად თვითონ ჰამლეტიც ამბობს, რომ ბიძაჩემი ისე ჰგავს მამაჩემსო, ვით მე ჰერკულესსო. ამის გამო, როგორც გეტე ამბობს, მას აკლია ფიზიკური ღონე გმირისა. ჩვენ ვიტყვით უფრო მარტივად: იგი მოკლებულია პრაქტიკულ, სამოქმედო ბუნებას. მისი ტემპერამენტი წყნარია, მშვიდი, ფლეგმატიური, უნაღვლო; დედა მის მომთმინო სიმშვიდეს აღარებს იმ გვრიტის სიმშვიდეს, რომელიც თავზედ აზის თავის ბარტყებს. ლაფრტიან გაცხარებულ შეტაკების დროს ჰამლეტი ამბობს თავის თავის შესახებ, რომ არაა ავი და ცხარე, მაგრამ მასში არის ისეთი რამე, რასაც უნდა ერიდონ. და ეს რამ არის მისი გულმოსულობა და ჩქარა-აღელვება, რომელიც დამკვიდრებულია მის ფიცხს ფანტაზიაში და აძლევს მას იარაღს თავის დასაცველად და ზედ-დასხმისათვის, მაგრამ მხოლოდ უკიდურესის საჭიროების დროს. ეს იმიტომ, რომ ამ ფანტაზიაშივეა დაბუდებული მისი სიძაბუნე, გაუბედავი მზრუნველობა და სისუსტე: ეს ფსიხიური წრეა (ფარგალი), რომელსაც ღრმა საფუძველი აქვს ადამიანის ბუნებაში. მარტო აქედან წარმოსდგება ზოგიერთი ხალხების, მაგალითად ძველის, იბერიელების (ისპანიის) და ინდიელების (ამას ჯერ კიდევ მონტესქიემ მიაქცია ყურადღება) ერთის მხრით მშვიდობის მოყვარეობა და

მეორეს მხრით საშინელი ენერგია აღელვების და გულმოსულობის დროს: ორგანიზმის სინაზისა გამო. მათ ეშინიათ სიკვდილის და ათას სხვა რისამე, მაგრამ ამგვარივე გრძნობიერობის გამო გაუბრუნდნენ ისინი ყოველსავე ხიფათს და ეწინააღმდეგებიან გაჭირვების დროს. ამასვე ვხედავთ ჰამლეტში. ცოცხალი ფანტაზია დაუხატავს მას წინ რომელსამე მდგომარეობას ყოველგვარის შედეგებით; იგი ხედავს თავის თავს ხიფათსა და ვერაგობას შორის, განსაცდელში და ეძებს ამის წინაამდევ საშუალებას. მას სწამს სულები და ამიტომაც ხედავს მათ; ამ მხრივ სრულიად განსხვავდება ჰამლეტისაგან მისი მეგობარი რაციონალისტი ჰორაციო, რომელიც იძულებულია იწამოს სული, მხოლოდ შემდეგ რაც საკუთარს თვალთ ნახა, რომელიც ამ „ნივთს“ — ჰამლეტის მამის სულს ეძახის მოჩვენებას და მახვილიც კი უნდა დაჰკრას, რომელსაც ქრისტიანების გადმოცემა სულის შესახებ სჯერა მხოლოდ „ცოტათი“. როდესაც ჰამლეტს გამოეცხადება სული, როდესაც მას ეძახის მისი ბედი, იგი საშინლად აღელვებულია, არ ეშინია სიკვდილის და ყოველი მისი ნერვი ისე მაგარია, როგორც ძარღვი ნემის ლომისა; მაგრამ ამავე დროს იგი, ჰორაციოს სიტყვით, „სასოწარკვეთილებაშია ჩაყარდნილი მისი წარმოდგენითი ნიჭის შემწეობით“. პიესის თამაშის შემდეგ, როდესაც კვლავ მოველინება სული, ჰამლეტი უზომოდ გაცხარებულია, სისხლი სწყურია, მზად არის ჩაიდინოს ისეთი საქმეები, რომლებისაგან დღეც-კი შეძრწუნდება; მაშინ გრძნობს შეუკავებელ წყურვილს, უმაღლეს ხარისხამდის მიიყვანოს შურისძიება და რაკი დრო არა აქვს მოსაფიქრებლად და ასაწონ-დასაწონად, ახერხებს ისეთს საქმეს (პოლონიუსის მოკვლა), რასაც დამშვიდების დროს არ გააბედინებდა მას გონიერება და ეჭვები. ამას შემდეგაც მალე არ წყნარდება ჰამლეტი, თუმცა ხედავს, რომ შეცდა და მოჰკლა არა ვინც უნდოდა; მკაცრად ეპყრობა დედას, უფრო სასტიკად, ვიდრე ამის ნება მისცა მამამ; მწარედ დასცინის პოლონიუსის გვამს; მხოლოდ მერე დასტირის ზედ: მტრედის გული კვლავ უბრუნდება მწუხარებასთან ერთად.

ამგვარადვე, როდესაც თავ-ზარ დაცემულია ოფელიას სიკვდილით და ესმის ლაერტის კვეხნით წუხილი მის საფლავზე, ნამეტანი აღელვება და უარესის ტრაბახით უპასუხებს ლაერტს. ასეთის უზომო გრძნობიერობით (სიფიცხით) ჰამლეტი თვითონ აჩლუნგებს თავის განზრახვას და საქმეს და გვიანობით შეუძლებელად ხდის მის განხორციელებას. იგი ხან ერთს გვიმტკიცებს ხან მეორეს ამ ორ აზრთაგან, რომელიც პიესაშია გამოთქმული: 1) განზრახვა, რომელიც იბადება ვნება-აღელვების დროს, ჰქრება ამ აღელვებასთან ერთად და 2) ადამიანის ნება-სურვილი) ცვალებადია და სხვა და სხვა გარემოების გავლენით გვიანდება და სუსტდება. ამ თავის ბუნების რყევას, ამ ერთი მხრით გაუბედაობას, სისუსტეს, მეორეს მხრით ვნებიანობას, უზომო აღელვებას, თვითონ ჰამლეტი კარგად ჰგრძნობს, ხედავს და იტანჯება; ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მისმა გულმა, რა მოიპოვა კაცთა გარჩევის თავისუფლება, შეითვისა ჰორაციო და „დაბეჭდა თავის ბეჭდით“ და იმის სხვა გვარის ხასიათის თვისებებში ჰპოვა თავისთვის დარიგება და ნუგეში. მართალია, ჰორაციო, როგორც ჰამლეტიც, არ არის მოქმედების მოყვარული, მაგრამ ფორტანბრასისთანა ადამიანიც ვერ უმეგობრებდა ჰამლეტს, რადგან ამ ორის ხასიათები ძლიერ ეწინააღმდეგებიან ერთმანერთს. ჰორაციო არის ისეთი ადამიანი, რომელსაც მოუპოვებია სრული სიმშვიდე ხასიათისა, რომელიც შეეჩვია ცხოვრების სკოლაში ტანჯვის ატანას და არ იმჩნევს ბედის წყრომას: იგი გმირია მოთმინებისა, ერთი იმ ბედნიერთაგანი, რომელთაც შურით უყურებს ჰამლეტი, ერთი იმ ადამიანთაგანი, რომელნიც ისე თანაბრად არის შეზავებული გრძნობით და გონებით, რომ არ ემორჩილებიან ძალათ თავის ბედს და არც ხდებიან თავიანთ ვნებათა-აღელვის მონად.

ეს ელასტიური ბუნება ჰამლეტისა, რომლის გამო იგი ვერ ფლუგმატიკია, მერე ფიცხი, ვერ გაცხარებული, მერე გაუბედავი და ძაბუნნი, გამოიხიტება მის ცუდის და კარგის გუნების კონტრასტებში, სპლინსა და იუმორში, მისი ტემპე-

რამენტის სანგვინურ და მელანხოლიურ თვისებათა შორის ბრძოლაში. პოეტმა დაგვიხატა სატირულ-მკერმეტყველური თვისებები, რომლებიც გვიჩვენებენ ჰამლეტის მხიარულს და ცოცხალს ბუნებას, და ამასთანვე დაგვიხატა ელეგიური სანტიმენტალური თვისებები, რომლებიც გვიმტკიცებენ ჰამლეტის ღრმა მელანხოლიას: ერთნიც და მეორენიც გამოიხატებიან ჰამლეტის სულის მდგომარეობაში არა ცალკე-ცალკე, არამედ შერეულად, ერთად, რის შედეგია ჰამლეტის სარკაზმები—მისი ლაპარაკის აუცილებელი თვისება. ჰამლეტს რომ ბედნიერი ცხოვრება ჰქონოდა, მასში განვითარდებოდა მხიარული მხარე და მაშინ მელანხოლიური, თვისებები მიიღებდა გონიერ-ელეგიურს ხასიათს; ალბად, მაშინაც ეყვარებოდა სასაფლაოებსა და განმარტოებულ ადგილებში სიარული, წყნარი ცხოვრება, საამო გრძნობები, მხოლოდ მასში არ იქნებოდა დღევანდელი მელანხოლია, ხშირად ქმუნვარებად გადაქცეული. მაგრამ ჯერ კიდევ გაცნობამდის ჰამლეტს შეემთხვევა ერთი დიდი უბედურება, რომლის გამო სრულიად დატაკდება, რომელმაც წაართვა მას ის საამო და დამამშვიდებელი წარმოდგენა, რომელიც ჰქონდა მშობლების შესახებ. ამ უბედურებამ გადააბრუნა მისი სულის მდგომარეობა და ჩანერგა შიგ ჯაფრი, მწუხარეობა, მწარე წინასწარ-გრძნობანი და მთლად აურ-დაურია ყველაფერი; როდესაც წინასწარ გრძნობანი ასრულდა, მისი სული სასოწმ-წარკვეთილებაში ვარდება. რა-კი ჰამლეტი სუსტად შეხვდა უბედურებას, აქედან საზოგადოთ ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ იგი ისეთი ადამიანია, რომელიც განსაკუთრებით ბედნიერებისათვის არის შექმნილი; რომ ბედნიერ ცხოვრებით მასში განვითარდებოდა მხიარული ხასიათი, რაიც თითქოს განგებ ასაკუთრა მას ბუნებამაც და აღზრდამაც. ჰამლეტი იმ მკერმეტყველ და მახვილ ორატორთაგანია, რომლებიც ძალიან მოსწონდათ შჩს დროში, ისეთი ადამიანია, რომელიც კომედიისთვის უფრო ვარგა, ვიდრე ტრაგედიისათვის, რადგან ის ენა-მახვილობა, რომელიც ასე ნაძალადევად ემსახურება მას მოგონებულ ტრაგიკულ სიგიჟის დროს, სრულიად ბუნებრივს სამსახურს გაუწე-

ვდა კომიკურ სიგიჟეში. ჯერ კიდევ ბავშობისას სიამოვნებით უღებდა ყურს მასხარა იორიკს; ეხლაც, დარდების დროსაც, განაგრძობს სატირების კითხვას, სიტყვას უსწორებს ყველას; იუმორისტული მასხარაობა, სიმახვილე, სიტყვების თამაში (მაეგობა),—მისი ნამდვილი ბუნებაა; გაჭირვებულ მდგომარეობაშიც, შავ სამგლოვიარო ტანისამოსშიც მძიმედ დაჯავრიანებული—ობუნჯობს და ამ ობუნჯობაში ჰპოებს სიამოვნებას. ეს ხუმრობა და მაეგობა, იმიტომ რომ სრულიად შეთვისებია მის ბუნებას, უნებურად, თავისთავად არის ჩარეული იმ სიტყვებში, რომლებსაც ჰამლეტი ამბობს ტრაგიკულის სულისმდგომარეობის ზედგავლენით. ამისათვის აქტიორმა მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა არ უნდა მისცეს ობუნჯობას და ხუმრობას, მთლად წინ არ წამოაყენეს იგი, არ უნდა ეცადოს აცინოს მაყურებელი და ძლიერ არ უნდა ემჩნეოდეს სიხარულის ჭმუნვარებით შეცვლა. იუმორისტული და სარკასტიული სურათები, შედარებანი და სიტყვები შეუგნებლად ამოდის ჰამლეტს პირიდან, როდესაც აღელვებულია. ახირებულმა სიტყვამ არ უნდა შეასუსტოს ის საშინელება, შეუწყვეტელი შიში, რომლითაც გამსჭვალულია ფიცის სცენა და ერთს წუთსაც არ უნდა შესცვალოს ელეგიური სულის მდგომარეობა სასაფლაოზე. ღრმა მწუხარებაში მამის სიკვდილის და დედის ჭკუა-თხელობის გამო ჩართულია მწარე სიტყვები, რომლებიც გულის უკლავენ ადამიანს, მაგრამ რომლებიც სხვა გარემოებაში სიცილს მოგვირიდენ მას. როგორც რიჩარდ მეორის მწუხარება და უბედურებისაგან შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იქნებოდა მისი მხიარულება ბედნიერების დროს, ეგვე შეგვიძლია ჰამლეტის შესახებაც, ორივეს შეეხება გონზავოს სიტყვა: სადაც ძლიერია სიხარული, იქ ძლიერია მწუხარებაც. ჰამლეტის მჭრელი სიმახვილე და გესლიანი ნადველი ორივე ერთნაირად ნაყოფია მისი ღრმა ნიჭისა; რომელიც უბედურ მდგომარეობაში გამონახავს ცხოვრების მწარე თვისებებს, ჩვეულებრივ გარემოებაში—კი სასაცილო კანტრასტებს თავის მჭერმეტყველობისათვის. ბუნების

ამ ორგვარობის მხრივ ჰამლეტი შეგვიძლია შევადაროთ პრინც ჰენრიხს. ჰენრიხიც არ არის მოკლებული მელანხოლიას, ამას ვამჩნევთ მამის ავადმყოფობის და სიკვდილის დროს; მაგრამ გარემოება ხელს უშლის მისი ბელანხოლიის განვითარებას. იგი მხიარულად ატარებს დროს, ვიდრე საჭიროება არ მოუწოდებს დიდებულ საქმისათვის. მაშინ ჰენრიხი ჰპოვებს ხასიათის სიმშვიდეს და მრავალ გვარ თვისებიან და ზომიერს ნიქს, რის შემწეობით სეროიზულად ასრულებს თავის მოვალეობას. ჰამლეტიც არ არის მოკლებული მხიარულების ნიქს, ისეთი გარემოებანი, რომლებშიაც იყო ჰენრიხი, მასაც შექმნიდა კოცხალ და მხიარულ ადამიანად; თუმცა მისი მხიარული ცხოვრება არსებითად სხვანაირი იქნებოდა.

ფილოსოფია, ზნეობრივი პრინციპები, მეცნიერება, უფროა მორცხვი და ჩაფიქრებული ხასიათი,—ყველაფრის ამის გამო მალე აუტანელი შეიქნებოდა ჰამლეტისათვის ის წრე, რომელშიაც სცხოვრობდა ჰენრიხი. თავის წყნარის, ქალურის მანერის გამო იგი არ ჩაიდენდა ჰენრიხსავით ყმაწვილურ შეცდომებს, მაგრამ ვერ შეიძენდა მის გმირულის თვისებებსაც.

(შემდეგი იქნება)

უცხოეთის მიმოხილვა

პოლონელები პოზნანში.—საფრანკეთის საქმეები.

პრუსიის პოლონეთის ეროვნული ბრძოლა პრუსიის მთავრობის წინააღმდეგ ჯერ კიდევ დიდ ყურადღებას იქცევს მთელ ევროპაში. ამიტომ მეტი არ იქნება ერთხელ კიდევ მოველაპარაკოთ მკითხველს ამ მეტად საინტერესო საგანზე.

მკითხველს ეცოდინება, რომ პოლონეთის ყოფილ სამეფოს ერთი ნაწილი, სახელდობრ—პოზნანი და დასავლეთი პრუსია—ვენის ტრაქტატმა (1815 წელს) საბოლოოდ აკუთვნა პრუსიის სამეფოს; რაც შეეხება ზემო სილეზიას, რომელიც პოლონელებითვე არის დასახლებული, იგი თითქმის მეცამეტე საუკუნიდან მოშორებული იყო პოლონეთის სამეფოს და გერმანელების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ გვარად ეხლა პრუსიის სამეფოს კუთვნილებას შეადგენს პოლონეთის შემდეგი ნაწილები—პოზნანი, დასავლეთი პრუსია და ზემო-სილეზია. პოზნანი და დასავლეთი პრუსია, როგორც უფრო გვიან შემოერთებული, იმ თავითვე პოლონურ ეროვნულ ტრადიციის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ—მათ არ გაუწყვეტიათ კავშირი პოლონეთის დანარჩენ ნაწილებთან და ამა თუ იმ მონაწილეობას იღებდნენ საერთო ეროვნულ ცხოვრებაში. ზემო-სილეზიაკი მოწყვეტილი იყო სრულებით დანარჩენ პოლონეთს, არავითარ მონაწილეობას არ იღებდა საერთო ეროვნულ ცხოვრებაში, ერთის სიტყვით, იგი მხოლოდ პრუსიის სამეფოს

პროვინცია იყო და მეტი არაფერი. ადგილობრივი თავადაზნაურობა სრულებით გადაგვარებული იყო, სასულიერო წოდებაც გერმანული იყო და არის. პოლონური ენა შერჩენილი ჰქონდა მხოლოდ გლეხობას, რომელიც პოლიტიკურად სრულებით განუვითარებელი იყო და სამღვდელოების სრული მონა და მორჩილი.

გერმანიის იმპერიის შექმნამდე პრუსიის მთავრობა ლმობიერად ეპყრობოდა თავის პოლონელ ქვეშევრდომებს, არ არჩევდა გერმანელ ქვეშევრდომებში და არ ავიწროვებდა მათ. პოლონური ენა თანასწორი იყო უფლებით გერმანულ ენასთან, როგორც სასამართლოში, ისე სკოლაშიაც. ერთის სიტყვით, ეროვნული დევნა და ძალ-მომრეობა შორს იყო პრუსიის მთავრობის პოლიტიკიდან. ასეთ ლმობიერ პოლიტიკას შედეგიც შესაფერი მოჰყვა: გერმანული კულტურა მშვიდობიანად ვერცელდებოდა პოლონელებ შორის. იქ, სადაც გერმანელები სჭარბობდნენ, პოლონელები გერმანულ კულტურასთან გერმანულ ენასაც ითვისებდნენ. პირიქით, სადაც პოლონელები სჭარბობდნენ, იქ კულტურას კი ითვისებდნენ, მაგრამ ენას არ ივიწყებდნენ, ეროვნულ თავისებურობა რჩებოდა და ხშირად გერმანელი პოლონელდებოდა. ზემო-სილეზიაში ვინც კი დაბალ წრეს ასცილდებოდა და გერმანულს ისწავლიდა, თავს გერმანელად სთვლიდა და თუ ვინმე პოლონელს დაუძახებდა, შეურაცხყოფად მიიღებდა.

გაძლიერდა პრუსია, გაერთიანდა გერმანია და დაარსდა იმპერია, ბისმარკი შეიქნა მბრძანებელი ახალის იმპერიისა და პრუსიის მთავრობის პოლიტიკა პოლონელ ქვეშევრდომების შესახებ ძირიანად შეიცვალა. ლმობიერების მაგიერ ძალმომრეობა, მშვიდობიან მეზობლურ ცხოვრების მაგიერ სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლა. პოლონური ენა რათ არ დაივიწყეს, ადგილ-მამული რათ შეირჩინეს, რატომ ყველგან გერმანულ ენაზე მოლაპარაკე გერმანელები არ სცხოვრობენო და მისდგნენ საწყალ პოლონელებს. მოსპეს სკოლაში და სა-

სამართლოში პოლონური ენა; გერმანელი შევირდები, რომელიც პოლონელებთან ერთად სწავლობენ, ჯაშუშებად გაიხადეს სკოლის უფროსებმა—ვინც პოლონურად ილაპარაკოს, შეგვატყობინეთ და დავსჯითო. სასამართლოში სამართალი არ არის—მოსამართლეს მომჩივან-მოპასუხის არა ესმის რა. პოლონელ მოხელეს პოლონეთში არ აყენებენ, სხვაგან გადაჰყავთ. სამაგიეროდ ნიშნავენ გერმანელ მოხელეებს, რომელთაც ამაყად უჭირავთ თავი—რა განათლება შემოგვაქვს ველურ ხალხშიო; ამ კულტუროსან მოხელეთაგან შევიწროვებული ხალხი სულ ტყუილად ეძებს სამართალს—ხალხი ყოველთვის მტყუანი გამოდის.

ეს კიდევ ცოტაა.

პოლონელებს რომ ბოლო მოუღონ სრულებით, გერმანელები შემდეგ გზას დაადგინენ—დააარსეს „საკოლონიზაციო კომისია“, რომელსაც სახელმწიფო ხაზინიდან ორასი მილიონი მარკა მიეცა. მიზანი ამდენ ფულის გადადებისა, როგორც არა ერთხელ გვქონდა მოყვანილი, იყო პოლონელების ადგილ-მამულების შესყიდვა და ზედ გერმანელ გადმოსახლებულების დასახლება—რაა გერმანელი ელემენტი გავაძლიეროთ და პოლონელები გავაგერმანელოთო. გადმოსახლებულებს ყოველგვარ შეღავათს აძლევდნენ—ეწეოდნენ ფულით მოსახლეობის დაწყებისას, დაუარსეს იაფი კრედიტი, სკოლა, სამეურნეო იარაღების საწყობები და სხვ. „საკოლონიზაციო კომისიისაგან“ ვერც ერთი პოლონელი ვერ იყიდიდა მამულს. პრუსიის მთავრობას დიდ დახმარებას უწევს გერმანელების ერთი ფერაინი (სახოგადობა, წრე), რომელსაც „Ostmakerverein“-ი ჰქვია (დაარსდა 1894 წ.). ფერაინის დაარსების მიზანია—პოლონელებთან ბრძოლა და პრუსიის პოლონეთში გერმანულ ელემენტის გაძლიერება და მერე როგორ მოქმედებენ ამ მიზნის მისაღწევად? ყოველგვარ საზიზღარ საშუალებით, როგორც მაგალითად, მთავრობასთან დაბეზლებაა. პოლონელს ისე ფეხი ვერ გადუდგამს, ისე სიტყვა ვერ უთქვამს, რომ ამ ფეხის გადადგმასა და სიტყვის თქმაში მთავრობის „ლალატი“ არ დაი-

ნახონ და „განსაკუთრებული“ ღონისძიება არ მიიღონ მის წინააღმდეგ.

რა შედეგი მოჰყვა პრუსიის მთავრობისა და ფერაინის ასეთ ძალმომრეობასა და უნამუსო მოქმედებას?

პოლონელი, რომელიც წინად მეზობლურად და მეგობრულად უცქეროდა გერმანელს, ებლა, რაკი დარწმუნდა, რომ მისი მოსპობა განუზრახავთ, მძულვარებით აღივსო მისდამი და ყოველ ღონეს ღონობს თავის დასაცველად. არა თუ პოზნანში და დასავლეთ პრუსიაში, სადაც ისტორიული ტრადიცია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ზემო-სილეზიაშიაც, სადაც თითქმის არავითარი პოლონური ისტორიული ტრადიცია არა ყოფილა, გერმანელების ძალმომრეობამ ხალხი ფეხზე დააყენა, თავის თავი შეაგნებინა და ეროვნულ ბრძოლის ველზე გამოიყვანა.

გათვითცნობიერებული ერი ამ ბრძოლის ველზე ჯერ მაინც გამარჯვებული გამოდის და სრულად იმეღია, რომ შემდეგშიც ეგრე იქნება.

„საკოლონიზაციო კომისია“ შეუდგა პოლონელ მამულეების გამალეხულ სყიდვას, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ადგილების ფასებმა საშინლად აიწია, სულ უვარგისი მამულეები დიდ ფასებში იყიდება. ხშირად მომხდარა, რომ პოლონელ მემამულეს დიდ ფასში გაუყიდია თვისი უვარგისი მამული და აღებულ ფულით კარგი უყიდნია და ისიც გერმანელ მემამულისაგან.

პოლონელებმა დაიარსეს თვისი საკუთარი „საადგილ მამულო ბანკი“, ბანკს ისეთი თანხა არა აქვს, როგორც „საკოლონიზაციო კომისიას“, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ბანკის მოქმედება ბევრად უფრო ნაყოფიერია, ვიდრე კომისიისა. 1897—1900 წლებში გერმანელებმა იყიდეს პოლონელებისაგან 16,263 ჰექტარი მიწა; ამავე დროს პოლონელებს უყიდნიათ გერმანელებისაგან 32,260 ჰექტარი, ეს მოხდა პოზნანში. დასავ-

ლეთ პრუსიაში გერმანელების ხელში გადავიდა 16,434 ჰექტარი, პოლონელებმა კი შეიძინეს 31,054 ჰექტარი, ამ გვარად სამის წლის განმავლობაში გერმანელებმა დაჰკარგეს 30,617 ჰექტარი მიწა. ამასთანავე ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ გერმანელების შეძენილი მამული ბევრად ჩამოუვარდება თვის ღირსებით პოლონელების შეძენილ მამულს.

შეძენილ მამულს პოლონური ბანკი ჰყოფს ნაწილ-ნაწილ და პოლონელ გლეხებზე ჰყიდის ხოლმე, რადგანაც დარწმუნებულია, რომ გლეხი საუკეთესო დამცველია ეროვნულ ტერიტორიისა.

ბანკის მოქმედების ასეთმა შედეგმა მეტად გაამხნევა პოლონელები და სხვა და სხვა ადგილას რამდენიმე „პარცელიაციონური“ წრე დააარსეს. პარცელიაცია დიდ მამულის პატარა ნაჭრებად დაჰყოფას ჰქვია. ეს წრეები იძენენ მამულებს, ჰყოფენ პატარა ნაჭრებად და გლეხებს მიჰყიდიან ხოლმე.

ბანკისა და ამ წრეების მოქმედებას მეტად ხელს უწყობს პრესა. ის პოლონელი მემამულე, რომელიც გერმანულ კომისიას მიჰყიდის თავის მამულს, გაზეთშია ხოლმე გამოცხადებული პირველ გვერდზე დიდის ზიზლითა და შერცხვენით. გაჭირვებული პოლონელიც კი უფროსის ასეთ შერცხვენას და სცდილობს მამული ისევ თავისიანს მიჰყიდოს. გერმანული კომისია თან-და-დან უფრო ხშირად იძულებული ხდება გერმანელი მემამულისაგანვე იყიდოს მიწა.

გერმანელებს კიდევ ის გარემოება უჭირვებს საქმეს, რომ პოლონელები მეტად მრავლდებიან გერმანელებთან შედარებით. ამათის წლის განმავლობაში პოლონელებს შეემატა 10⁰/0 (ზოგან 13⁰/0-იც), გერმანელების შემატება კი 3¹/₂⁰/0-ს არ გადასცილება. გარდა ამისა, უფრო კულტურული გერმანელი მიდის პოლონეთიდან გერმანიის ისეთ ნაწილებში, სადაც შრომის ფასი მეტია, ერთხელ წასული გერმანელი უკან აღარ ბრუნდება, რადგან იგი მთელ იმპერიაში ყველგან თავისიანებთან გრძნობს თავს. პოლონელიც მიდის სამშობლოდან, მაგ-

რამ მეტ წილად იგი უკანვე ბრუნდება ეკონომიურად და გონებრივად უფრო გაღონიერებული. ასეთ ბუნებრივ მოვლენის წინააღმდეგ ერთი კი არა, ათასი კომისიაც ვერას გააწყობს.

გერმანიის პოლონეთის ქალაქებს წინად, პოლონეთის დამოუკიდებლობის დროსაც, წმინდა გერმანული ხასიათი ჰქონდა: პოლონეთის მეფეები იწვევდნენ გერმანელ ვაჭრებსა და ხელოსნებს და ასახლებდნენ ქალაქებში, რადგან თვით პოლონელები მარტო სასოფლო მეურნეობას მისდევდნენ. ამიტომ მოხდა, რომ ყოველ ქალაქში გერმანელები მეტად სჭარბობდნენ პოლონელებს. ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში კი პოლონური ელემენტი მეტად გაძლიერდა ქალაქებში. ქ. პოზნანში 1831 წელს იყო 25,300 პოლონელი და 31,000 გერმანელი; 1899-ში კი პოლონელების რიცხვი 40,000-მდე ავიდა და გერმანელებისა კი მხოლოდ 34,000.

წინად ხელოსნები სულ გერმანელები იყვნენ, ეხლა კი პოლონელები სჯობნიან. ქ. პოზნანში გერმანელი ოსტატები 715-ია, პოლონელი—1528, გერმანელი შეგირდები—1528, პოლონელი—3686.

ეგვევ ითქმის ვაჭრებზედაც: ამ უკანასკნელ დროს პოზნანში პოლონელ სავაჭრო ფირმებს მიემატა 10, გერმანელებს დააკლდათ 7. ქ. ინოვსაცლაფში 1875-ში იყო 16 გერმანული საწყობი და 2 პოლონური, ეხლა გერმანულია 7, პოლონური 10. ქ. სრემში ეხლა სულ პოლონური ფირმებია. 1890-ში პოზნანში გერმანელებს ჰქონდათ 98 აფთეკა, პოლონელებს—27, ეხლა პოლონელებისა—49, გერმანელების 85.

პრუსიის მთავრობისა და გერმანელ შოვინისტების ძალმომრეობით პოლიტიკამ გამოიწვია პოლონელების მხრივ ბოიკოტი ყოველივე გერმანულისა. მომხდარა ასეთი, მაგალითი: პოლონურ გაზეთს გამოუცხადებია —ესა და ეს გერმანელი ვაჭარი მთავრობის პოლიტიკის მომხრეა და ეკუთვნის ჰაკატისტების წრესო. არც ერთი პოლონელი მყიდველი არ მიჰ

კარებია ასეთ ვაჭარს. ვაჭარი იძულებული გამხდარა გამოეცხადებინა—არ ვარ ჰაკატისტი და არ თანაფუგრძობ პრუსიის პოლიტიკასო. ამას ჰაკატისტები გაუჯავრებია და ეხლა ამათ გამოეცხადებიათ ბაიკოტი ვაჭრისათვის. მოგებული კი პოლონელი რჩებოდა.

ეროვნულ პოლიტიკის საქმედ გახდა ეკონომიური თავის დაცვა.

პოლონელებმა დაიარსეს მთელი წყება წვრილი კრედიტის დაწესებულებითა პოლონელ ხელოსნების და ვაჭრების დასახმარებლად გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლაში. პოლონელი ექიმი, ინჟინერი, ადვოკატი, არხიტექტორი ყოველთვის დიდ დახმარებას პოულობს პოლონურ საზოგადოებაში.

პოლონისმის ასეთი გაძლიერება შედეგია გერმანელების ძალმომრეობით პოლიტიკისა (ჰაკატისმისა) და პოლონურ სახალხო ეროვნულ პრესის ზედ-გავლენისა.

ბრძოლის ასეთი შედეგი, რასაკვირველია, გულს უხეთქს და აბრაზებს გერმანელებს. იმის მაგიერ, რომ შეიგნონ თავიანთ პოლიტიკის შეცდომა და უსამართლობა და თავი დაანებონ მას, ამავე პოლიტიკის გაორკეცებას სცდილობენ: ორასი მილიონი მარკა ხომ თითქმის სრულებით უნაყოფოთ დახარჯეს პოლონელებთან ბრძოლაში, ეხლა კიდევ 250 მილიონი გადასდეს ამავე მიზნისათვის და განზრახვა აქვთ კიდევ მეტი გადადონ. შედეგი უეჭველად იგივე მოჰყვება, რაც პირველად იყო, რადგან პოლონელების მხრივ ბრძოლაში ჩაერივნენ ისეთი ელემენტებიც კი, რომელნიც აქამდე დიდად თავს არ იტკიებდნენ ეროვნულ საქმისათვის.

აი რას იწერება რუსულ გაზეთ „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი ბერლინიდან: „გერმანულ საკოლონიზაციო ფონდის გაძლიერების (250 მილიონით) პირველ სერიოზულ პასუხად პოლონელების მხრივ გრაფინია ამალია პოტულიცკას მოქმედებას სთვლიან. ამ მდიდარმა ქალმა, რომელსაც დიდ ძალი მამულები აქვს პოზნანში, გადასწყვიტა დაუყოვნებლივ გაჰყოს

ერთი ნაწილი თავის მამულისა სწორედ ისევე, როგორც ამას გერმანელი საკოლონიზაციო კომისია შვრება გერმანელების დასასახლებლად. გრაფინიას მიზანია, მოიწვიოს პოლონელი გლეხები იმ ადგილებიდან, სადაც ისინი რიცხვით მცირენი არიან და გერმანელებისაგან გარს შემორტყმული. და ეს მარტო განზრახვა ან გეგმა როდია, არამედ აზრის ერთბაშად საქმედ გარდაქცევა. გრაფინია პოტოლიცკა უკვე შეუდგა მამულის განაწილებას და შეღავათიანის პირობებით გაცემას. ეხლა უკვე ორასზე მეტი გლეხი დასახლებულა გრაფინიას მიწებზე“...

მეორე დემონსტრაცია პოლონელებისა აღვირ-წახნილი გერმანიზაციის წინააღმდეგ ისე რეალური არ არის, მაგრამ მაინც დიდ მნიშვნელოვანია: პოზნანის პროვინციალურ სეიმმა (რუსულ ზემსტვოს მსგავსი დაწესებულება) ერთხმად გადასწყვიტა არ მიღონ არავითარი მონაწილეობა ამ დღესასწაულებში, რომელსაც იმპერატორ ვილჰელმს გაუმართავენ პოზნანში ყოფნის დროს (სექტემბერში). თავად-აზნაურობაც გონს მოღის...

მართალია, გრაფინია პოტოლიცკასთან პატოცკებიც ჰყავთ პოლონელებს (ერთ ღამეს პატოცკიმ ორი მილიონი წააგო ქალაქის თამაშში), მაგრამ ეს მათ საქმეს არ შეაფერხებს. იკითხონ იმათ, ვისაც მარტო პატოცკები ჰყავთ, თორემ პოლონელებს რა უშავთ.

*
* *

სულ ორი თვეა, რაც ახალი სამინისტრო შეუდგა საფრანგეთის საქმეების მართვას და ამ მოკლე ხანში მისი სახე და მოქმედების საზოგადო ხასიათი უკვე საკმაოდ გამოირკვა. კომბის რადიკალური კაბინეტი, რომელსაც საკმაოდ დიდი უმრავლესობა ამოუჩნდა პალატაში, როგორც მოსალოდნელი იყო, არ გადაუდგა ვალდეკ-რუსოს მიერ გარკვეულ გზას და ცდილობს მის მიერ დაწყებული საქმეები ბოლომდე მიიყვანოს და კეთილად დაასრულოს. თავისი ინიციატივით კი ჯერ

ჯერობით არაფერი არც დაუწყვია, არც არა გაუკეთებიარა. ან კი რა უნდა მოვთხოვოთ? ორი თვე ისე მოკლე ვადაა, რომ დიდი საქმის დასაწყებადაც არა კმარა, არამც თუ ასაღსრულებლად. მით უმეტეს, რომ ახალ პარლამენტს ბევრი წმინდა ფორმალური მოვალეობა უნდა მოეშორებინა თავიდან, რომელიც მას კარგა დროს დააკარგვინებდა. გავიხსენოთ თუნდ ახალი დებუტატების არჩევნების განხილვა და დამტკიცება და სხვ.

ფრანგების პარლამენტს ყოველთვის უკიჟინებდნენ სამინისტროების მოკლე-დღეობას. მართლაც, ხშირად სამინისტრო ჯერ წელში არ გამართულიყო, რომ უეცრივ ვინმე კლემანსო, ან მისი მსგავსი სამინისტროების „დამცემი“ წამოაყენებდა რამე სახიფათო კითხვას, კაბინეტი ნდობის გამოცხადებას მოითხოვდა და თუ პარლამენტი ამ ნდობას არ მიანიჭებდა, სამინისტრო ეცემოდა. ჩვენ არ შევვებით, რამდენად უსაფუძვლო არის ასეთი საყვედური საფრანგეთის პარლამენტისადმი, რამდენად მოუხერხებელია მისი შედარება, როგორც ამას ხშირად შეხვდებით ინგლისის ან გერმანიის პარლამენტებთან. ინგლისის და გერმანიის სამინისტროების ხანგრძლივობა სრულიადაც არ წარმოადგინეს რაიმე უპირატესობას საფრანგეთან შედარებით, იგი შედგება მათი კონსტიტუციებისა; ისე, როგორც ხშირი ცვლა საფრანგეთის სამინისტროებისა დამოკიდებულია, ანუ შესაძლებელია, მხოლოდ საფრანგეთის დღევანდელ კონსტიტუციის მიზეზით. ყოველ შემთხვევაში უნდა აღვნიშნოთ შემდეგი მოვლენა. უკანასკნელ წლებში საფრანგეთის სამინისტროებიც ისე ხშირად აღარ იცვლებიან და მათ შორის არსდება ერთგვარი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მემკვიდრეობითი კავშირი. ამ ორ უკანასკნელ სამინისტროს შესახებ მაინც ეს ცხადად სჩანს. საფრანგეთის საბედნიეროდ, დემოკრატიული ელემენტი თანდათან უფრო მაგრდება, და დიდი ხნის არისტოკრატიული ელფერიანი რესპუბლიკა ნელ-ნელა იგონებს დიდი რევოლუციის დიდებულ პრინციპებს. დემოკრატიის გამარჯვება გარეგანად ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის მართვა დემოკრატიულ

სამინისტროებს მიენდობა და როგორც უნდა იყოს კერძო მიზეზი მათი გადადგომისა, მათ შორის რჩება შემაერთებელ ხიდათ პრინციპიალური შეხედულობა საზოგადო და სახელმწიფო პროგრესზე. დღემდის ერთი სამინისტროს „აღმა ხნულს“ მისი მოადგილე „დაღმა ხნავდა“, ან სულ უყურადღებოდ სტოვებდა. დღეს კი სულ სხვას ვხედავთ. დღეს კომბის სამინისტრო ცდილობს შეასრულოს ის, რაც საგნად ჰქონდა ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს; და როდესაც მას შეასრულებს, უეჭველია, იგი არ შეჩერდება და განაგრძობს შრომას იმავე ნიადაგზე და იმავე პრინციპებით იხელმძღვანელებს. ვალდეკ-რუსსოს უმთავრესი და უდიდესი საქმე რესპუბლიკის გამაგრება იყო; ნაციონალისტები და როიალისტები ამაოდ ეცადნენ კლერიკალების დახმარებით რესპუბლიკის დაცემას. დღეს ეს საქმე შესრულებულია, რესპუბლიკა უზრუნველ ყოფილია და გვეგონია, საფრანგეთს მოუახლოვდა ის ხანა, როცა მას უცრო თავისუფლად შეუძლია შეუდგეს თავისი დემოკრატიის განვითარებას, რომელიც სხვა არა არის-რა, თუ არ თანასწორობის დამყარება, რამდენადაც შესაძლებელია დღევანდელ ისტორიულ პირობებში, ესე იგი ყოველგვარი პრივილეგიების მოსპობა, და ნელ-ნელა მოამზადოს ნიადაგი სრული სოციალური თანასწორობის და სამართლიანობის განსახორციელებლად. სამწუხაროდ, უნდა აღენიშნოთ, რომ დღევანდელ სამინისტროს არ ეტყობა საჭირო ერთგვარობა; მისი წევრების საზოგადოებრივი იდეალი არამც თუ ერთი და იგივე არ არის, ძირითადად განსხვავდებიან. ამიტომ მოსალოდნელია, რომ „ციხე შიგნიდან გატყდეს“. უპირველესი ალაგი ფინანსთა მინისტრს, რუვიეს ჩააბარა კომბმა. რუვიე ცნობილია, როგორც საუკეთესო ფინანსისტი, და მიზეზიც სწორედ ეს იყო მისი მოწვევისა, რადგან ამ ჟამად საფრანგეთის ფინანსებს მოწყობა ესაჭიროება და ბიუჯეტს გასწორება, თორემ როგორც პოლიტიკური მოღვაწე რუვიე რეპორტიუნისტია, ზომიერი რესპუბლიკელი, და არაფერი საერთოდ არა აქვს არა თუ პელტანთან, რომელიც ძალიან ახლოსდგას სოციალისტებთან, არამედ თვით კომბთან, გენერალ

ანდრესთან და კაბინეტის სხვა წევრებთან. ერთ ხანს მისმა სიტყვამ დიდი უთანხმოება გამოიწვია და პელტანმა თავისებური გულახდილობით და პირდაპირობით უპასუხა საჯარო ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვაში.

მაგრამ თვალი გადავაგლოთ სამინისტროს დეკლარაციას, რომელიც მთელ სამინისტროს შეთანხმებულ საზოგადო პროგრამას უნდა წარმოადგენდეს. „მივმართავთ რესპულიკელთა უმრავლესობას; მათი ერთობა ისე არასდროს არა ყოფილა საჭირო, როგორც დღეს, რომ დავამთავროთ რესპუბლიკის დაცვის საქმე და მოქმედება, ასე საუცხოვოდ დაწყებული ჩვენი წინამოადგილესაგან, რათა ხალხს მივანიჭოთ რეფორმები, რომელსაც იგი მოელის“. იმავე დეკლარაციაში ნათქვამია: „სამღვდელოების ერთ ნაწილს (მარცხნივ: ყველა ნაწილს) სურდა კათოლიკეთა ეკლესიის საქმე კონგრეგაციებისათ გადაექცია და წინააღმდეგ კანონმდებლობისა საარჩევნო ასპარეზზე გამოვიდა. ასეთი საქციელი აუტანელია! ასსოციაციების შესახებ კანონი ახლა აღსრულებაშია და ჩვენ თვალი გვიჭირავს, რომ არც ერთი მუხლი არ დარჩეს აუსრულებელი .

განათლების შესახებ დეკლარაცია უმაღლესი კონტროლის უფლებას ითხოვს.

ფინანსების კითხვა ყველაზე რთული და მძიმე კითხვაა დღევანდელი სამინისტროსთვის. „ფინანსიური მდგომარეობა ამ ჟამად მძიმეა და პარტიები კიდევ ეცადნენ თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ ეს მდგომარეობა მით, რომ აზვიადებდნენ ან სიცრუეს ავრცელებდნენ ამის შესახებ. ჩვენ გვგონია, რომ უმეტესად ეს მდგომარეობა შედეგია საზოგადო კრიზისის და ხარჯის, რომელიც დააწვა ყველა ევროპის სახელმწიფოებს. მადლობელი უნდა ვიყოთ თავისუფალი კონტროლის რეჟიმისა, რომელიც ჩვენში მეფობს, და რომლის წყალობით ამ თხუთმეტი წლის წინად ვძლიეთ დიდი გაჭირვება და მალე ისეთ მდგომარეობაში მოვიყვანეთ ჩვენი ფინანსები, რომ შემოსავალი გასავალს შეეფარდა, რაც აგერ სამი მეოთხედი საუკუნისა აღარ გვინახავს.

ჩვენ არაფერს არ დავტოვებთ უყურადღებოდ და ვეცდებით ყველგან დავიცაოთ სასტიკი ეკონომია სახელმწიფოს გასაფალში, რომ საბოლოოდ ავირიდოთ ყოველივე, რასაც კი შეუძლია სახელი გაუტეხოს ჩვენ ნაციონალურ კრედიტს, რომელიც მიუხედავად წუთიერი შეფერხებისა, მაინც ერთი საუკეთესოა მთელ ქვეყანაზე. იმ რეფორმათა შორის, რომელთა განხორციელება დაგვავალია საყოველთაო არჩევნებმა, უპირველესი ადგილი უკავია იმას, რომელმაც უნდა შეიტანოს ჩვენ სახანო სისტემაში მეტი სიმართლე და დემოკრატიული ხასიათი, სახელდობრ: რამდენიმე დაძველებული გადასახადის მაგიერ უნდა დაარსდეს საზოგადო გადასახადი შემოსავალზე. ეს საზოგადო გადასახადი შეძლებისამებრ დიდს შელავათს მისცემს ქალაქების და სოფლების დემოკრატიას“.

„ხალხი მოუთმენლად მოელოის სამხედრო ბეგარის შემცირებას ორ წლამდე, რაც არაფერ ვნებას არ მოუტანს ჩვენი ჯარის სიმტკიცეს და სამართლიანად გაანაწილებს ტვირთს, რომელსაც ვალად სდებს საფრანგეთს მისი დაცვის და სახელზე ზრუნვა. ეს კანონი სენატს აქვს განსახილველად. მთავრობა სრული მომხრეა ამ კანონის და პალატას მოსთხოვს მის მიღებას.“

„საზოგადოების აზრი ენერგიულად ითხოვს, რომ სამხედრო სამართალი შეთანხმებულ იქმნას თანამედროვე უფლების პრინციპებთან. წარსულმა ლევისლატურამ (პარლამენტმა) ბოლომდის ვერ მიიყვანა ეს საქმე. გიწვევთ, დავასრულოთ იგი და იმავე დროს მოვახდინოთ იმავე აზრის რეფორმა სადისციპლინო რაზმებში და სასჯელის მოსახდელ დაწესებულებებში“.

შემდეგ დეკლარაცია შეეხება კომპანიებისაგან რკინის გზის გამოყიდვას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სახელმწიფოსთვის შემოსავლის მხრივ, ისე საზოგადოებისთვის.

კომბი შეეხო აგრეთვე მუშების პენსიონს. ყველა დღევანდელი დემოკრატიის ვალია, რომ უზრუნველ ჰყოს ფაბ-

რიკის თუ სოფლის მუშა სიბერის დროს, როდესაც იგი ჯან-
გატეხილი ულუკმა პუროდ რჩება. წარსულმა პარლამენტმა
ამ კითხვის გადაწყვეტა ვერ მოასწრო, ჩვენ უნდა კვლავ და-
უბრუნდეთ მას“.

დეკლარაციაში გამოთქმული იყო აგრეთვე ის აზრიც,
რომ რეაქციის მოქმედება ყოველ დღიურ ფაქტებში გამოი-
ხატება, რასაც ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ადმინის-
ტრაციაში და საზოგადოთ სამსახურში ბევრი არა რესპუბ-
ლიკელი მოხელეა და ამ გარემოებას ყურადღება უნდა მივაქ-
ციოთო.

ამ პროგრამით, რომელიც ცოტა ზომიერი კილოთი იყო
დაწერილი და ზოგჯერ ბუნდოვანად, მემარცხნე ჯგუფები
მანც დაკმაყოფილდნენ, თუმცა კრიტიკა არ დაუკლიათ მის-
თვის. მაგრამ მემარჯვენე და ცენტრი საშინლად გააბრაზა-
კომბის დემოკრატიულმა ენამ. სამაგიეროთ, როდესაც რუვიემ
თავისი სიტყვა წარმოსთქვა შემდეგ სხდომაზე, მემარცხნენი
მეტად უკმაყოფილონი დარჩნენ და რეაქციონერებს თითქო
სიხარულის დღე დაუდგათ. საქმე ის არის, რომ რუვიეს
სიტყვაში სხვათა შორის პასუხი იყო ჟორესისა, რომელმაც
კაბინეტის საზოგადო პოლიტიკის განხილვის დროს წარ-
მოსთქვა, რომ დროა რევანშის იდეიას თავი დავანებოთო. „დროა
თავი დავანებოთ ორპირობას და ოინბაზობას. გამბეტას გან-
თქმულმა ფორმულამ: „ყოველ წუთს უნდა მაზე ფიქრობდეთ
(ალზას-ლორენზე) და თავის დღეში კი ხმა მალლა არა ვლა-
პარაკობდეთო“ მავენე თესლი დათესა. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ
რალაც საშინელი პარადოქსის, „შეიარაღებულ მშვიდობიანო-
ბის“ კალთის ქვეშ, და არა ვართ დარწმუნებული არც მშვიდო-
ბიანობაზე და არც ომზე. ნუ თუ დიდი რევოლიუციის საფ-
რანგეთი პირველი არ წამოდგება, რომ უარჰყოს შეიარაღება?
დადგა ის საათი, როდესაც საფრანგეთმა წინადადება უნდა
მისცეს სხვებს საზოგადო და ერთბაში იარაღის დაყრისა. თუ
არა და რილასთვის მივდიოდით ჰააგის კონფერენციაზე?

— კომედის სათამაშოდ! (მარცხნივ).

„კონფერენციამ გამოაცხადა, — განაცხადა ჟორესმა, — რომ სამხედრო ხარჯის შემცირება სასურველია ყველა სახელმწიფოებისთვის“, და სხ.

ამ გვარად, ჟორესის აზრით, ფინანსების შესწორებისთვის საჭიროა ნაკლები ფული იხარჯებოდეს ჯარზე და ფლოტზე. რუვიემ კი I მ ინისს პალატაში შემდეგი პასუხი მისცა ჟორესს და საზოგადოთ რადიკალურ ჯგუფებს: „კარგი ფინანსებისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, რომ საფრანგეთი იყოს ძლიერი. მე აქ უნდა მივმართო უკიდურეს მემარცხნეთ და ვუთხრა შემდეგი: „თუ გინდათ, რომ საფრანგეთს კარგი ფინანსები ჰქონდეს, აუცილებლად საჭიროა, რომ მას პატივის სცემდნენ საზღვარ-გარედ, რომ იგი უარს არ ჰყოფდეს თავის იმედებს (აღზას-ლორენის დაბრუნებაზე) და დამყარებული იყოს ძლიერ და მრავალრიცხოვან ჯარზე“.

ამაზე ჟორესმა უპასუხა, რომ თუ საფრანგეთს უნდა, რომ ძლიერი იყოს, იგი უნდა იყოს პროგრესიულიო. რუვიეს და ჟორესის შეხედულობათა შორის ძირითადი განსხვავებაა თვით ფინანსების გაუმჯობესების კითხვაშიც. ერთი იქ ხედავს წამალს, სადაც მეორე მხოლოდ უბედურების მიზეზს. რომ საზღვარ-გარეთ „შიშით და პატივისცემით გვიყურებდნენ“, ამბობს სუვიე. მაგრამ ყველამ ვიცით ისეთი სახელმწიფოები, რომელთაც ჯარიც ბევრი ჰყავთ, შიშიც აქვთ მათი, — პატივისცემისა რა მოგახსენოთ, — მაგრამ ფინანსები კი მუდამ ცუდ მდგომარეობაში არიან.

რუვიეს სიტყვა, რასაკვირველია, თითქმის პირდაპირ შეეხებოდა სამხედრო ბეგარის კანონ-პროექტს, რომელიც სენატს აქვს განსახილველად; ოცი წლის ვადის სამსახური გერმანიაში უკვე მიღებულია და გენერალი ანდრე, სამხედრო მინისტრი, სრულიად თანაუგრძობს ამ რეფორმას. გარდა ვადის შემოკლებისა, ახალი კანონი ყველას ერთს და იმავე ბეგარას ადებს

და შეღავათს და პრივილეგიებს, რომლითაც სარგებლობდნენ მდიდარი წრეები, სპობს.

კამილ პელტანი, რომელიც ერთი საუკეთესო მკოდნეა საფრანგეთის საქმეებისა, ისე არ აზვიადებს საფრანგეთის ფინანსების უნუგეშობას, როგორც რუვიე. შემოსავალზე გადასახადის შემოღება ძირითადი რეფორმაა, რომელსაც დიდი ხანი საფრანგეთი თხოულობს, და რომლისაგანაც მოელიან არა მარტო გადასახადის სამართლიან განაწილებას, არამედ მეტ შემოსავალსაც. პელტანი აი რას ამბობს საფრანგეთის ფინანსების შესახებ: „თქმა არ უნდა, საქმეს ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ. ასეთი მდგომარეობა ჩვენი ფინანსებისა გამოწვეულია ერთი მხრივ საყოველთაო კრიზისით, და მეორე მხრივ შეცდომებით. მაგრამ საფრანგეთის ხალხი ისე არც სულელი და არც უმეცარია, როგორც ნაციონალისტებს ჰგონიათ და აშინებენ, ფინანსების საქმე დალუპულიაო და თან ბრალს ჩვენ, რესპუბლიკელებს, გვდებენ. მაგ., მელინის გაზეთი, აცხადებს რა, რომ 1876 წლის ბიუჯეტს, რომელიც 2,600 მილიონი იყო, ახლა ერთი მილიარდი მომატებია, ამ გარემოებას ჩვენ ფინანსიურ გაქირვების ნიშნად სთვლის. ჯერ ერთი, რომ ეს მილიარდი 26 წლის განმავლობაში კი ერ მიემატა ბიუჯეტს, არამედ 7—8 წელში. 1883 და 1884 წწ. გასავალი დაახლოვებით დღევანდელს უდრიდა. მაგრამ თუ მელინის გაზეთს სურს იპოვოს პასუხის მგებელნი, მან უნდა მიმართოს მელინის საუკეთესო მეგობრებს. უდიდესი ბიუჯეტი, რომელიც საფრანგეთში ცნობილია და რომელსაც მე „ბიუჯეტის ჰიმალაია“ ვუწოდებ, შედეგი იყო ბ. ლეონ სეის და რიბოს თანამშრომელობისა. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ეს ასე არ იყო: ეს დიდი ხნის საქმეა. ყველას, ვინც კი საფინანსო კითხვების ანბანი იცის, კარგათ ესმის, რომ დროთა განმავლობაში ბიუჯეტის მატერიალური ციფრები თავის თავად იზრდებიან. რომ დღეს იმაზე მეტი არ დაგვეხარჯა, რაც 1876 წელს დავხარჯეთ, ჩვენ არ უნდა გვქონოდა არც მეტი ფოსტის ბიუროები, არც მეტი სკოლები, არც მეტი გზები, რაც მაშინ

გეკონდა და რაც მეტად სამწუხარო იქნებოდა. მაგრამ განა ერთი მილიარდის მომატება 25 წლის განმავლობაში ბევრია? მაშ რაღა უნდა ვთქვათ სხვა ქვეყნებზე? ინგლისის ბიუჯეტი, რომელიც 1876 წ. სულ ორი მილიარდი ფრანკი იყო, ერთი სამად იქცა. ამასვე ვხედავთ სხვაგანაც. მაგრამ მივიხედოთ უკან: აიღეთ ივლისის მონარქია. 1830 წ. 1847-მდე ჩვენ ბიუჯეტს ნახევარ მიემატა. მეორე იმპერიის (ნაპოლეონ III) დროს კიდევ უფრო სწრაფად იმატა ბიუჯეტმა—58% 1852-დან 1869-მდე! მაგრამ მე მაინც მოგაგონებთ, რომ უმეტესი ნაწილი ამ წამატებისა წმინდა გარეგანია. ბევრ ხარჯს სრულად აკმაყოფილებს შემოსავალი. მაგ., თუთუნის წვეამ, რომელიც დიდ შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს, რადგან იგი მონოპოლიას შეადგენს, შესამჩნევად იმატა ამ 26 წელში. სახელმწიფო იძულებულია უფრო მეტი იყიდოს დაუმუშავებელი თუთუნი, რომ მერე უფრო ძვირად გაჰყიდოს. ეს იყო ვლასარაკობდი ფოსტის და ტელეგრაფის კანტორაზე: ყოველთვის, როდესაც ახალს აღებენ, მოხელეებზე და მოწყობაზე ხარჯია საჭირო. მაგრამ ეს ხარჯი გვიბრუნდება წერილების და დებეშების შემოსავლისგან. მაშასადამე, ჩვენი მტრებისგან გავრცელებული ხმა ძალიან შორს არის სიმართლესე, ჩვენ სრულიადაც არ მივექანებით გაკოტრების დაღმართზე.“

დაახლოვებით ასეთივეა ყველა სხვა დარბაისელი და მკოდნე პირების აზრი შესახებ ფინანსებისა.

უდიდესი საქმე, რომელიც ბევრ ენერჯიას და სიმტკიცეს ითხოვს ახლანდელი სამინისტროსაგან, კონგრეგაციების კანონის განხორციელებაა. ეს პარაზიტები გასაოცარ ძალას იჩენენ და საოცრად ეწინააღმდეგებიან მთავრობას, რადგან ყველგან მრავალი მომხრე ჰყავთ, პარლამენტიდან დაწყებული. მთელი სამინისტროები, სახელმწიფო საბჭო, სენატი, სამსჯავროები, ადვოკატთა წოდება, უნივერსიტეტი, ყველგან, ყველგან შეუტანიათ განხრწნილების საწამლაფი. ამიტომ არის, რომ ასე ძნელდება ბრძოლა. ჯერ იყო და პარლამენტში დენი კოშენ-

მა და რიბომ საშინელი სკანდალი მოახდინეს, მთავრობას ნება არა აქვს პოლიციას დაახურვინოს სასულიერო სკოლებიო. ეს კითხვა მათ უნდოდათ სასამართლოში გასარჩევად გაეხადათ, რომ მერე იქა ცდილიყვნენ საქმის მოგებას. მაგრამ სამინისტრომ აქ ჭეშმარიტი სიმტკიცე გამოიჩინა და არ დაუთმო, მით უმეტეს, რომ კანონი მართლა მისკენ იყო. კლერიკალები, ცოტა არ იყოს, მოსტყუებდნენ. კანონის მცოდნე და ყოველ საქმეში სიმრუდის მიმდევარმა პირებმა ჩააგონეს მონაზვნებს და ბერებს, ნუ დაემორჩილებით მთავრობას, ვერას გახდებიან რესპუბლიკელებიო. მათაც არა თუ ნებართვა აღარ აიღეს, როგორც კანონი ითხოვდა, პირიქით, კიდევ ახალი სკოლები გახსნეს ნება დაურთველად. ისე წაქეზდნენ რიბოს და სხვა ამ გვარ სერთუკიან კლერიკალების იმედით, რომ 2000 თხოვნა, ნებართვის მოსაპოვებლად შეტანილი, ერთ დღეს ისევ უკან გაიტანეს.

მე-13 მუხლის უკანასკნელი პარაგრაფი ამ კანონისა მინისტრთა საბჭოს უფლებას ანიჭებს, დაშალოს ყოველი კონგრეგაცია და დახუროს მისგან დაარსებული სკოლა იქნება, თუ თავშესაფარი. მართალია, სახელმწიფო ხურავს მათ სკოლებს, რომელნიც რესპუბლიკის სიძულვილს და გარყვნილობის მეტს არაფერს სთესავს მოსწავლეთა გულში, მართალია, ობოლთა და ავადმყოფთ თავშესაფარები, რომელთაც მხოლოდ ერთად ერთი აზრი აქვთ — ექპლოატაცია, უნდა დაიხუროს, მაგრამ, თუ სახელმწიფომ სამაგიერო არა მისცა-რა ხალხს, უეჭველია, იგი დრტვინვას დაიწყებს, მით უმეტეს, რომ კლერიკალები და სამღვდელთა ეცდება ამიერიდან უფრო ენერგიულად სთესონ უკმაყოფილება. დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მოვალეობაა იზრუნოს ხალხზე და მისცეს მას განათლების საშუალება, მით უმეტეს, რომ ჯერ-ჯერობით მთავრობა მხოლოდ სკოლებს ხურავს. პარიზში სენ-ჟერმენის ბუღვარზე დანტონის ძეგლს ერთ გვერდზე აწერია: „ხალხის პირველი საქროება პურის შემდეგ სწავლა“.

უკანასკნელი დეპეშები გვაცნობებენ, რომ პარიზში, სადაც ოთხმოცამდე სკოლა უნდა დაეხურა პოლიციას, თურმე მონაზვნებს წინააღმდეგობა გაუწევიათ. დაჭრილია პოლიციის კომისარი, ენდარმი და 12 სხვა. უეჭველია, მონაწილეობას მიიღებდა დაბალი ხალხის ერთი ნაწილი, რომელიც სულ გამოტყენებულია სამღვდლოების გავლენით. იგი ნამდვილი ფანატიკოსია და რეაქციონერების და ანტისემიტების საუკეთესო ჯარს შეადგენს. ბრძოლა მოთავეებთან იმდენად ძნელი არ არის, როგორც ამ ბრბოსთან, გაუგებარ და ეგოისტ ბრბოსთან. მის ფანატიკოსობას მხოლოდ განათლება მოუღებს ბოლოს და მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. სხვა წამალი არ არსებობს ასეთი სენისთვის. დღეს ბრძოლა კლერიკალიზმთან მართლა ქრისტიანობასთან ბრძოლა კი არ არის, როგორც ამას წინად ღია წერლში უსაყვედურებდნენ კომბს კლერიკალები,—ეს არის ბრძოლა მთელი რეაქციის კოალიციასთან, ეს არის ნამდვილი პოლიტიკური ბრძოლა და არა რელიგიოზური.

ბრძოლის მომენტი ძალიან მარჯვეთ არის ამორჩეული. ახალი პარლამენტი ეს არის შესდგა; ამავე თავით შეჯახება კლერიკალებთან იმით არის უფრო მოხერხებულთ, რომ დღევანდელი გამწვავებული ბრძოლა ოთხი წლის განმავლობაში დასცხრება, და პარლამენტს შეძლება მიეცემა თავისუფლად იმუშაოს; მომავალი არჩევნებიც უფრო ნორმალურ პირობებში მოხდება, რაკი ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგება და ეს მწვავე მომენტი თუ დავიწყებულნი არა, მონელებული მაინც ექნებათ. ზოგნი შიშობენ—ვაი თუ კლერიკალების ასეთმა დენამ ისინი უფრო გააძლიეროს, უფრო მეტი სიმპატია მოუპოვოს ხალხში და ეს პოლიტიკა შემცდარი გამოდგესო. მაგრამ ეს შიშოტყუილი შიშია, თუ სამინისტრო არ დაკმაყოფილდება მარტო დანგრევით და აშენებას მიჰყოფს ხელსა. დრეიფუსის საქმის დროსაც იგივე შიში ისმოდა: საფრანგეთი რეაქციონერებს ჩაუვარდება ხელშიო. მაგრამ სწორედ მაშინ იყო საფრანგეთი რეაქციონერების ხელში და დრეიფუსის საქმემ გამოჰგლიჯა

ხელიდან მით, რომ ნათელი მოჰფინა ყველაფერს და ყველას
თავის ალაგი უჩვენა. გენერალი მერსიე და მისი კლიკა დღეს
უკვე წარსულს ეკუთვნიან; რიბო და მელინი მხოლოდ ხავს
ეკიდებიან, როგორც ნამდვილი წყალ-წადებულნი. *Saluez-les:
vous ne les reverrez plus!*

მამ ვერ გაიმეტა თავისი შვილი დასაკლავად და ქალითურა სპარტაში გაიქცა. ქვეყანას მაინც ხსნა ეჭვირებოდა. აგამემნონმა ერთ დროს გასწირა თავისი ქალი, რათა ღმერთებს მიეცათ ბერძენებისათვის საჭირო ქარები და დახმარებოდნენ ტროას დაპყრობაში; ნუ თუ მესენიელთა შორის არ აღმოჩნდებოდა მეორე აგამემნონი? არისტოდემოსმა, ეპიტოსის ჩამომავალმა, რომლის სახელი და მხურვალე მამულიშვილობა განთქმული იყო, წარმოადგინა თავისი ქალი ღმერთების სამსხვერპლოდ. მაგრამ როცა მემსხვერპლე ქურუმმა დანა მიუღირა გაფითრებულ მსხვერპლს, ერთმა მესენიელმა ხელი დაუჭირა მას და უთხრა არისტოდემოსს: „შენ უფლება არ გაქვს ამ ახალგაზდა ქალზედ: იგი შენ არ გეკუთვნის, რადგანაც ჩემი დანიშნულია; გარდა ამისა არ იქნება შესრულებული მისნის მიერ მოთხოვნილი პირობა, რადგანაც ეს ქალი ორსულია“. შეტრაცყოფისაგან ბრაზ-მორეულმა და გონება დაბნეულმა არისტოდემოსმა მუცელი გამოუფატრა საბრალო ქალს და ყველას დაუმტკიცა რომ მისი ქალი ორსული არ ყოფილა, როგორც ამას ზოგიერთები ფიქრობდნენ. ჩაითვლებოდა თუ არა ეს მკვლევლობა მსხვერპლად? ბევრს ეკვი ჰქონდა, მაგრამ ყველამ, ვისაც ქალის დაკარგვის ეშინოდა, დააჯერა ხალხი, რომ ღმერთი დაკმაყოფილებულია. საქმის უბედურათ დატრიღებამ წინააღმდეგი დაუმტკიცა მესენიელებს. ომიანობის მეოცე წელს არისტოდემოსი, მიკრული ითომეს მთაზედ, ლომებრ მრისხანედ იცავდა მას; ერთხელ კიდევ შეეკითხნენ პითიას და აი რა პასუხი მოუვიდათ: „ძევსმა სთქვა და აი მისი გადაწყვეტილება: ვინც პირველი მოასწრობს და ძლიერ ითომეზე ჩემ საკურთხევლის ირგვლივ შემოაწყობს ას სამფებს, იგი გამოვა გამარჯვებული ამ საშინელ ბრძოლისაგან“. რადგანაც ითომე მათ ხელში იყო, მესენიელები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი საქმე კარგად წავა და ნელ-ნელა შეუდგნენ ხის სამფეების კეთებას. სპარტანელები, რომელთაც გაიგეს ეს წინასწარმეტყველება, უფრო მოხერხებით მოიქცნენ. ერთმა მათგანმა, სახელით ებალოსმა, გააკეთა თიხის პატარა სამფეები, ჩააწყო ტომარაში

და, მონადირის ტანისამოსში გამოწყობილი, შეიპარა ითომეს ციხეში; აქ ისარგებლა ღამის სიბნელით, შემოაწყო საკურთხეველს მოტანილი თიხის სამფეხები და მშვიდობიანად დაბრუნდა სპარტაში. მოტყვილებულ მესენიელების მწუხრებას საზღვარი არ ჰქონდა; ამას მოემატა ბევრი სხვა ცუდი ნიშნები: ერთს მკითხავს, რომელიც დაბადებით ბრმა იყო, უცებ თვალები აეხილა, მაგრამ მალე ისევ დაბრმავდა. არტემიდის ძეგლის ფარი თავისით მიწაზედ ჩამოვარდა. სხვა ნიშნები პირდაპირ არისტოდემოსს ეხებოდა და მისი მტკიცე გულიც გატყდა. ვერძები, რომლებიც ძევსისტვის სამსხვერპლოდ მიჰყავდა არისტოდემოსს, ისეთის სისწრაფით გაიქცნენ და დაეტაკნენ საკურთხეველს, რომ იქვე სული დალიეს. ერთმა სიზმარმა ხომ სრულებით მოუსპო არისტოდემოსს სასოება: იგი ფეხზედ იდგა, თავის საომარ იარაღში გამოწყობილი, და ბრძოლაში აპირებდა გასვლას; შიგნეულობა მსხვერპლებისა, რომელთაც ყოველ ბრძოლის წინ კლავდნენ, იქვე სუფრაზე ეწყო; უცხად გამოჩნდა გვერდით მისი საყვარელი ქალი, რომელიც მან სამშობლოს მსხვერპლად შესწირა; მას ეცვა გრძელი სამგლოვიარო ტანისამოსი და მწუხარებით თითოთ უჩვენებდა მამას იმ ადგილს, სადაც მან საზარელის გულადობით ხანჯალი ჩასცა. შემდეგ ქალმა წააქცია მაგიდა, სადაც შიგნეულობა ეწყო, მიუახლოვდა მამას, შეხსნა იარაღი, სამაგიეროდ თავზე გვირგვინი დაადგა და ტანზე ჩააცვა თეთრი ტანისამოსი, რომლითაც დამარხვის დღეს რთავდნენ ხოლმე დიდებულ მესენიელს. არისტოდემოსის ტვინმა, რომელიც ისედაც დატანჯული იყო სინანულით, ველარ აიტანა ეს საშინელი სიკვდილის შომასწავებელი მოჩვენება და თავი მოიკლა თავის ქალის საფლავზე; მასთან ერთად გაჰქრა მესენიის დამოუკიდებლობაც. შიმშილით შეწუხებულმა მესენიელებმა თავი დაანებეს სიმაგრეს (723); ზოგმა სრულებით მიატოვა სამშობლო და სხვაგან გადასახლდა, ზოგი მონობის პურს შეურიგდა და სახლში დარჩა. ტირტეოსი თავის ლექსში შეურაცხყოფით იხსენიებს ამათ და აგვიწერს, თუ რა მღვდლმარეობაში ჩააყენეს ისინი გამპარჯვებულ-

მა სპარტანელებმა. „როგორც ვირს, დატვირთულს მძიმე ტვირთით, ამ ხალხს ეშინია სახრესი, რომელიც მის ზურგზე წვიმასავით ხშირად ხედება; დაგლახაკებული და მხდალი, იგი მოვალეა მიუტანოს ბატონს ნახევარი შემოსავლისა, რომელიც მის შრომის ნაყოფია; იგი მიჰყვება სპარტაში ბატონის კუბოს, როცა იგი კვდება, თვალ-ცრემლიანი, გულში კი ბრაზ-მორეული“.

3. მესენიის აჯანყება. არისტომენესის მოდგაწკობა. დიდ ხანს იყვნენ მესენიელები ქედ-მოხრილი სპარტას წინაშე, მაგრამ ბოლოს (762). მათ მხსნელი გამოუჩნდა. ეს იყო არისტომენესი, ისიც ეპიტოსის ჩამომავალი, რომლის მამა, ლეგენდით, ერთ-ერთი ღმერთი უნდა ყოფილიყო. არავის უნახავს გმირი არისტომენესზე უმამაცესი და უსაყვარლესი. იგი იყო კიდევ უფრო მეტი პატრიოტი, ვიდრე მისი წინამორბედი. ამასთან ხალხის ოცნებამ შეამკო არისტომენესი ისეთის თვისებებით, რომლებზედაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ პირვანდელ ხანის ბერძნებს. მისი ასტორია ნამდვილი რაინდული რომანია, ჩვენთვისაც ისევე საინტერესო, როგორც ძველ ბერძნებისათვის, რადგანაც არისტომენესი ყოველ დროისა და ადგილის ზალხის საყვარელ გმირის იდეალური ტიპია: ახალგაზდა, მშვენიერი, დაუღალავი, შესანიშნავი ძალის პატრონი და ყოველთვის გამარჯვებული; ერთსა და იმავე დროს იგი ოც ადგილას არის; დრო და სივრცე მისთვის არა არის რა; მოულოდნელი და თავხედობამდე გაბედული თავდასხმა, უმაღლეს კედლებზე ღამით ასვლა, უფსკრულებში ჩახტომა და იქიდან უვნებლად ამოსვლა და სხვა ამისთანები არისტომენესისათვის თამაშობაა, ერთ ღამეს, არისტომენესი თვით სპარტაში შევიდა და მეორე დღეს განკვიფრებული სპარტანელები ხედავენ ათინას ტაძარში ჩამოკიდებულ სპილენძის ფარს შემდეგის წარწერით: „არისტომენესი სწირავს ათინას ამ ფარს, რომელიც სპარტანელებს წაართვა“. მეორეჯელ, იგი თავს დაესხა სპარტანელ ქალებს, რომელნიც დემეტრას დღესასწაულისათვის მოსულიყვენ ეგილაში; მაგრამ აქ მას, ლეგენდით, ცუდი საქმე მო-

უვიდა: მამაცმა და ლონიერმა სპარტანელ მანდილოსნებმა შეიპყრეს და შეჰკრეს მესენიის გმირი; არისტომენესის საქმე ცუდათ გათავდებოდა, რომ იგი არ შეგბრალდებოდა დემეტრას ქურუმქალს და არ აეხსნა მისთვის თოკი. და ისევ დაიწყო მისი თარეშობა; მთა და ბარი აიესო მის საგმირო საქმეებით. ლაკედემონელებს საქმე გაუჭირდათ; მისნის რჩევით, ათინელებს სთხოვეს სარდალი თავის ჯარისთვის; მგოსანი ტირტეოსი თავის გმირულ ლექსებით აქეზებდა ჯარს; ბრძოლა სტენიკლაროსის მინდვრებში მოხდა და არისტომენესი ისევ გამარჯვებული დაბრუნდა თავის ქალაქ ინდანიში; ხალხი სიხარულის ყიჟინით შეხვდა მას; ქალები ყვავილებს აყრიდნენ და უმღერდნენ ლექსს, რომელსაც შემდეგში საუკუნოების განმავლობაში მღეროდა ხალხი: „არისტომენესმა სდია სპარტანელებს სტენიკლაროსის მინდვრებში მთის მწვერვალამდე“-ო, მღეროდნენ ქალები სხვათა შორის.

4. სპარტანელების გამაჯვება; ტირტეოსის სამხედრო სიმღერები; მესენიის საბოლოო დაპყრობა. ხალხის წარმოდგენით, ამისთანა გმირის დამარცხება ან დაჭრა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მოღალატე აღმოჩნდა. არისტომენესსაც ეს მოუვიდა. არკადიელების ღალატის გამო, იგი დაამარცხეს სპარტანელებმა და გმირი იძულებული შეიქნა შეფარებოდა ირას სიმაგრეს, რომელიც ლიკეოსის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობდა. სპარტანელები გამხნევდნენ ტირტეოსის მხურვალე და ძლიერ პოეზიის ზედგავლენით. ეს ომი, რომელიც მათ დაიწყეს არაპატიესადებ მიზეზების გამო, შეიქნა მათთვის სიკვდილ-სიცოცხლის საქმედ. „მამაცისათვისო, უმღერდა მათ ტირტეოსი, უმწვენიერესია ბრძოლის დროს პირველ რიგში სიკვდილი მამულის დაცვისათვის; იმაზედ სამარცხენო არა არის რა, როგორც სამშობლო ადგილების მიტოვება და მოხუც დედ-მამითა და ნორჩ ბავშვებით ო ადგილას მთხოვრებად წაწალი; მაშ ვიბრძოლოთ მამა-სამშობლო მიწისათვის და თავი შევაკლათ მტერს ჩვენის სისათვის. თავს ნუ დაიზოგავთ, ახალგაზდებო; იბრძო-

ლეთ მხნედ ერთად; შიში არ შეუშვათ თქვენ გულში და მტერს ზურგი არ უჩვენოთ; აღიძვრით გულში დიდი და ძლიერი სიმამაცე; ნუ ფიქრობთ თქვენ თავზედ, როცა მტერს ებრძვით“. გამხნეებული და გატაცებული სპარტანელები თან და თან იმარჯვებენ. მალე მესენიის გმირიც ხელში ჩაიგდეს და ჩააგდეს ღრმა ორმოში, სადაც სიკვდილით დასჯილებს აგდებდნენ ხოლმე. მაგრამ მფარველი ღმერთი აქაც არ მოშორებია არისტომენესს: არწივმა ფრთები მიაშველა და იგი მძიმედ არ დაცემია ორმოს ძირს. მის ხსნისათვის საჭირო იყო კიდევ მეორე სასწაული: სამი დღე ელოდებოდა სიკვდილს მოსასხამში გახვეული არისტომენესი; უცბად მას რაღაც ხმაურობა მოესმა: თურმე მელა შემოსულიყო ორმოში და მძოვრს შეექცეოდა; როცა მელა გავიდა, არისტომენესიც თან გაჰყვა, გაფართოვა ხერელი და გაჩნდა თავისიანებში, რომელნიც მის დაღუპვას ტიროდნენ. მან კი თავი იხსნა, მაგრამ ირას სიმაგრის დღეები დათვლილი იყო. მისანმა შემდეგი წინასწარმეტყველება წარმოსთქვა: „როცა ბოტი თხა ნედას წყალს დალევს, მესენია მეორედ დაიღუპება“. რასაკვირველია, მესენიელები თხას არ მიუშვებდნენ მდ. ნედასთან; მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა მათ: ნედას ნაპირზე ამოსულიყო ლედვის ხე, რომელსაც მესენიელები იმავე სახელს უწოდებდნენ, რასაც ბრტ თხას; ერთი ტოტი ისე დაბლა იყო გაშვერილი წყალზე, რომ ფოთლები წყალში დასველდა და ამ გვარად წინასწარმეტყველება უნდა აღსრულებულიყო. ერთ ბნელ ღამეს საშინელ ქარიშხლის დროს სპარტანელები ჩუმად შეიპარნენ ციხეში, რადგანაც ყველას ეძინა და არისტომენესს კრილობის გამო არ შეეძლო თვითონ ედარაჯნა თავის ციხისათვის; როცა სპარტანელების მოსვლა გაიგეს, გვიანდა იყო; მაგრამ მაინც ბრძოლა სამი დღე გაგრძელდა; თვით ქალებიც მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ბრძოლაში. ბოლოს არისტომენესი იძულებული შეიქნა ბრძოლა შეეწყვიტა: თავი მოუყარა ყველას, ვინც კი ვარგოდა, ჩაიყენა შუაში ქალები და ღაწვები და ანიშნა სპარტანელებს, რომ წასვლა უნდა; სპარტანელების ჩვეულება იყო, არ

დასდევნებოდნენ მტერს, როცა იგი უკან მიდიოდა. არისტო-
მენესი არკადიაში წავიდა. მას უნდოდა ხელ-ახლო დაეწყო
ბრძოლა, მაგრამ ერთხელ კიდევ უღალატეს და იგი გადასახ-
ლდა კუნძულ როდოსზე (ნნმ). ვინც მესენიაში დარჩა, ჰი-
ლოტები შეიქნენ. ბევრმა ვერ აიტანა ამმდგომარეობის მძიმე
უღელი და წავიდნენ იტალიაში მესენიელების ახალშენ რე-
გიუმში. ამათი ჩამომავალნი გადავიდნენ სიცილიაში და და-
სახლდნენ ქალაქში, რომელსაც დღესაც მესანა ჰქვია.

5. **ანკადიის ნაწილის დამორჩილება.** მესენიაში გაბატო-
ნების შემდეგ, სპარტამ იარაღით მიმართა არკადიას. პირველად
აქაც ძალიან გაუძნელდა საქმე. ჩვეულებისამებრ საქმის დაწ-
ყების წინ პითიას შეეკითხნენ და მიიღეს შემდეგი ორ-აზროვანი
პასუხი: „შენ, შურიანო კაცო, არკადია უინდა; საუბედუროთ
არ შემიძლია დავაკმაყოფილო შენი სურვილი; ეხლა ხან და-
კმაყოფილდი ტეგეათი, რომელიც გაყოფილი იქნება შენ შეი-
ლთა შორის, მათი ფეხები მაგრად მოხვდება მის ნიადაგს, მაგრამ
უფროთხილდი მეომრებს, რომელნიც რკოთაი სუქდებიან“. ტე-
გეა მაინც ჩვენი იქნებაო, იფიქრეს სპარტანელებმა და საქმეს
შეუდგნენ. მართლაც ტეგეა განაწილდა სპარტანელებ შორის,
მაგრამ ისე კი არა, როგორც მოელოდნენ: დატყვევებულ
სპარტანელებ შორის გაანაწილეს არკადიელებმა ტეგეა და
ამუშავებდ ენ მათ, როგორც მონებს. შემდეგ კი, როცა მისნის
მეორე წინასწარმეტყველების ყველა პირობები შეასრულეს,
გაიმარჯვეს არკადიელებზედ და ტეგეა მართლა ხელში ჩაიგდეს.

6. **დანანჩენ ჰელაზონეზის დამორჩილება.** არკადიის
შემდეგ, სპარტის გავლენის ქვეშ ჩავარდა ელიდაც; ამ მხრის
ოლიმპიელ ძევისის დღესასწაული შეიქნა როგორც სპარტასა-
თვის, ისე მთელ ფედერაციისათვის საერთო დღესასწაულად.
რამდენიმე ხნის შემდეგ აქაია და არგოლიდაც შეიქნენ ამ რე-
ლიგიურისა და პოლიტიკურ ფედერაციის წევრები. სპარტა
შეიქნა მთელ ნახევარ კუნძულის სატახტო ქალაქი. იგი იყო
მიჩნეული მთელ საბერძნეთის პირველ ქალაქად. უცხოელი
მეფეები, განსაკუთრებით კრეზი, სცდილობდნენ კავშირი შეე-

კრათ მასთან და მხოლოდ სპარსელებთან ომიანობამ დაანახვა საბერძნეთსა და უცხოელებს მეორე ქალაქის მნიშვნელობა და სიდიადე; ეს ქალაქი იყო ათინა—სრული წარმომადგენელი იონიელების ღირსება-ნაკლულევენებათა.

თავი მ-X-მ.

ატიკა და ათინა სოლონამდე.

საჩქევი: 1. ათინის მნიშვნელობა ცივილიზაციის ისტორიაში. 2. ათინის ბედნიერი გეოგრაფიული მდებარეობა. 3. უძველესი დროის ათინა და ატიკა. 4. ძველი ატიკის სოციალური და რელიგიური ორგანიზაცია. 5. ევპატრიდები, მეფობა და არხონტატი. 6. ევპატრიდების მართვა-გამგეობის უკიდურესობანი. 7. ღრაკონის კანონები; კილონის შეთქმულება.

1. ათინის მნიშვნელობა ცივილიზაციის ისტორიაში.
სპარტამ დასტოვა ისტორიაში სახელი მარტო შეუღარებელ სამხედრო სკოლისა; მის მეტოქის, ათინის, სახელი კი იწვევს ჩვენს გონებაში იდეას ადამიანის გონების უმშვენიერეს და უფაქიზეს ნაწარმოებთა. მიზეზი ამ განსხვავებისა არის ის გარემოება, რომ ეს ორი თემი ვითარდებოდნენ სულ სხვა და სხვა პირობებში. ღრაკონია იყო მხარე სრულებით კარჩაკეტილი; ატიკას კი ზღვისაკენ ურთობ განიერი კარები ჰქონდა. ღრაკონიის ნიადაგი იმდენად ნაყოფიერი იყო, რომ შეეძლო გამოეკვება თავისი მცხოვრებლები. ატიკაში კი არა იშოვებოდნენ გარდა ხახვის, ნივრის, თიმისა*) და ზეთის ხილისა, რომელიც ათინელ კომიკების ოხუნჯობის მუდმივ საგანს შეადგენდა. ამიტომაც სპარტანელები სახლიდან არ გამოდიოდნენ და თუ გამოდიოდნენ, ამისი მიზეზი გაჭირვება კი არ ყოფილა, არამედ სახელის მოხვეჭის სურვილი; ათინელები კი გაჭირვების გამო ვაჭრები და ზღვაოსნები შეიქნენ.

*) ერთგვარი მცენარეა.

მაგრამ ამასთან ისინი სხვაც იყვნენ და ეს გარემოება არის მათი ისტორიის უმთავრესი ფაქტი, მათი ტომის განსაკუთრებული თვისება და ხასიათი. შეიძლება ისტორიამ ვერც კი ნახოს ისეთი მაგალითი, რომ ერისათვის, რომელიც შესდგება ვაჭრებისა და ზღვაოსნებისაგან, ანგარებას, გამდიდრების სურვილს არ მოეკლას სულისა და გონების უმაღლესი თვისებები. პალადა—ათინას საყვარელი ქალაქი, იის გვირგვინით შემკული, როგორც მგოსნები ამბობდნენ, იყო ყველაზედ უწინ კაცობრიობის მასწავლებელი და აღმზრდელი, და ეს სასახელო როლი შეიძინა მან მთელ ძველ ისტორიის განმავლობაში; გამარჯვებულმა რომმაც კი ვერ შეიძლო წაერთმია ეს როლი მისთვის. ეხლაყო, ამბობს ელიზე რეკლიუ, ათინა თავის ისტორიით და მაგალითებით კაცობრიობის სკოლა არის. ოცი საუკუნეა ათინა დაეცა, მაგრამ იგი კიდევ გვინათებს ჩვენ, როგორც ის გამქრალი ვარსკვლავები, რომელთა სხვივები ჯერ კიდევ სინათლეს ჰფენენ მიწას“.

2. ათინას ბედნიანი გეოგრაფიული მდებარეობა. ათინა აშენებულია მდ. კეფისოსის ქალაში, რომელიც ატიკაში უგანიერესი და უნაყოფიერესია. მდებარეობა, რა მხრივაც უნდა გავსინჯოთ იგი, მეტად კარგი იყო. ქალა შეუვალი არ არის, მაგრამ მტრისაგან მისი დაცვა ადვილია; ჩრდილოეთით მას ფარავს პარნესის ფერდობები, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით პენტელიკონი, აღმოსავლეთით—სუნელოვან-ბალახიანი ჰიმეტესი. ქალა ნელ-ნელა ეშვება ზღვისაკენ, რომელსაც ზაფხულობით სიგრილე მოაქვს და ზამთრობით რბილი და სასიამოვნო ტემპერატურა. ქალის შუა ადგილას, პატარა გორაკების ზემოთ, ამართულია უზარმაზარი კლდე, რომელზედ ასვლა მხოლოდ დასავლეთიდან შეიძლება. ამ კლდის მწვერვალი იმდენად განიერია, რომ აქ აშენებულია ტაძრები და ციხე, აკროპოლისი. სწორედ ამ კლდის ძირში, ქალაზე, აშენებულია ათინის სახლები; როგორც ვხედავთ, ქალაქის მდებარეობა მეტად კარგი იყო; მაგრამ მას ჰქონდა კიდევ ერთი უპირატესობა, რომელიც აღემატებოდა ყველა ზემოდ ნაჩვენებს. ქალაქიდან 7^{1/2}

ვერსტზე ზღვის სწორ ნაპირზე ამართულია კლდე, რომელიც მიხვეულ-მოხვეულად შედის შორს ზღვაში, რის გამო აქ რამდენიმე ბუნებრივი ნავსადგურია. ამათში ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილი პირეა არის.

3. უძველესი დროის ათინა და ატიკა. ათინა (აშენების დრო არ ვიცით) ერთბაშად როდი გამხდარა ატიკის უმთავრეს ქალაქად. უძველეს დროში ატიკაში, სადაც წინეთ პელასგები სცხოვრობდნენ და შემდეგ ფინიკიელებისა და აღმოსავლეთის სხვა ხალხების ვაჭრები დადიოდნენ, იყო რამდენიმე პატარა ქალაქი და სოფელი, რომელნიც დიდის სიმტკიცით იცავდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას. პირველმა რევოლიუციამ, რომელსაც კეკროპსს აწერენ, დამოუკიდებელ თემთა რიცხვებში თორმეტამდე ჩამოიყვანა. თვითოვეულ ამათგანს საკუთარი ღმერთი, კერა და მეფე ჰყავდა. მეორე რევოლიუციამ, რომელსაც თეზეოსს აწერენ, ამ თორმეტ თემიდან შექნა ერთი, რომლის სატახტო ქალაქი ათინა იყო. გაჩნდა პალადა ათინას საერთო კულტი და პანათინელი დღესასწაული შეიქნა ატიკის ეროვნული დღესასწაული. ეს ცვლილება იმის ნიშანი იყო, რომ ატიკაში მცხოვრებ ბერძენთა შორის მეტი გავლენა და უპირატესობა იონიელებმა შეიძინეს და დანარჩენები დამორჩილდნენ მათ დორიელების დიდ გადასახლების დროს, გადმოცემით, ატიკას ააშორა ამათი შემოსევა მეფე კოდრის თავგანწირვამ; ამავე გადასახლების დროს ატიკას შემოეკედლა დიდძალი დორიელების მიერ დამარცხებული და განდევნილი ბერძენები ბეოტიიდან, არგოლიდიდან და მესენიიდან. ამდენ სხვა და სხვა გვარ სისხლის შერევას უნდა მიეწეროს ერთის მხრივ ათინელის მრავალმხრივობა, მისი მოქნილობა და ის გარემოება, რომ იგი დორიელივით მიუკარებელი და განკერძოებული არასოდეს არ ყოფილა.

4. ძველი ატიკის სოციალური და რეაგიური ორგანიზაცია. უძველესს დროს ატიკის ხალხი განიყოფებოდა სამ წოდებად: ა) ევპატრიდები, ანუ კეთილშობილნი, ბ) მიწის მუშები ანუ გლეხები და გ) ხელოსნები. ევპატრიდების ხელ-

შია მთელ თემის მართვა — გამგეობა და ადგილ-მამული. ისინი განიყოფებიან რამდენიმე დიდ ოჯახებად ან გვარებად. ოჯახი ან გვარი წარმოადგენს იმ პირთა კრებულს, რომელთაც ერთი საერთო წინაპარი ჰყავთ; ამ წინაპრის სახელს ატარებენ ისინი და მას სცემენ თაყვანს; მათ საერთო სასაფლაო აქვთ, აქ სხვა გვარის კაცი ან უგვარო (გლეხი, ხელოსანი) ვერ დაიმარხება. მემკვიდრეობაც მხოლოდ გვარში იყო (სხვა გვარში გათხოვილ ქალს არ შეეძლო თავის გვარის მემკვიდრე ყოფილიყო). ევპატრიდის რამდენიმე გვარი შეადგენდა „ფრატრიას“ (ძმობას); ფრატრიის წევრებსაც საერთო კულტი ჰქონდათ. დანამდვილებით არ იციან, გვარების რიცხვი ყველა ფრატრიაში ერთი და იგივე იყო, თუ არა (ტრადიციით, თვითეულ ფრატრიაში 30 გვარი იყო).

ევპატრიდების გვარები და ფრატრიები წარმოადგენენ ძველ ატიკის სოციალურ და რელიგიურ ორგანიზაციის. პოლიტიკურად კი ეს თემი იყო გაყოფილი ოთხ „ფილად“, რომელიც შესდგებდა 48 ნავკარარისაგან ან ოლქისაგან. თვითეულ ნავკარარის თავში უდგა ამორჩეული პირი (მაგისტრატ) — პრიტანისი, რომელიც უთუოდ ევპატრიდი იყო და რომელსაც მინდობილი ჰქონდა საპოლიციო საქმე. ამ დანაწილების მიხედვით ახდენდნენ ხოლმე ატიკაში ჯარში გაწვევას, გემების აშენებას და გადასახადის მოკრეფას, ასე რომ, ნავკარარია ემსგავსება ჩვენი დროის ადმინისტრაციულ განაწილებას; რაც შეეხება ძველ „გვარს“ და „ფრატრიას“ ანალოგიური ეხლა არა გვაქვს რა.

5. ევპატრიდები, მეფობა და ანტიკატი. ევპატრიდები დიდხანს იყვნენ ატიკის სრული ბატონები. მარტო ამათ ჰქონდათ უფლება ღმერთების მსხვერპლის შეწირვისა, კანონის ცოდნისა და მოსამართლეობისა, მართვა-გამგეობისა და მამულის მტრისაგან დაცვისა (ესე იგი ჯარში სამსახურისა). მეფე მათი თავი იყო და არა მბრძანებელი; მეფე სარგებლობდა მათის რჩევით, მათთან ერთად ქმნიდა სამართალს არესის გორაკზე; ამ გორაკის სახელი დაერქვა ათინის უდიდესს სასამართლოს —

არეოპაგს. კოდრის სიკვდილის შემდეგ მეფობა მოისპო, რადგანაცაო, ამბობდნენ ფრთხილი ევპატრიდები, ამისთანა შესანიშნავ მეფის შემდეგ არავინ არ არის მეფობის ღირსიო. მეფის მოვალეობანი და უფლებები გადაეცა არხონტს, რომელსაც ირჩევდნენ მეფის გვარში, ჯერ სიკვდილამდე, შემდეგ კი ათის წლით. ევპატრიდებმა ესეც საშიშად ჩასთვალეს მათი მდგომარეობისათვის და მოსპეს ამ თანამდებობის მემკვიდრეობითი ხასიათი, ესე იგი არხონტის ამორჩევა შესაძლებელი შეიქნა სხვა გვარებშიაც; გარდა ამისა ათი წლის მაგიერ არხონტობა გრძელდებოდა მხოლოდ ერთი წელი; ბოლოს ერთი არხონტის მაგიერ ცხრას ირჩევდნენ და ამ ცხრა კაც შორის გაჰყვეს ის უფლებანი და მოვალეობანი, რომელიც ძველად მეფეს ჰქონდა. ვადის გასვლის შემდეგ, არხონტები მოვალენი იყვნენ თავიანთი მოღვაწეობის ანგარიში მიეცათ არეოპაგისათვის.

6. ევპატრიდების ძანთვა-გამკეობის უკიდურესობანი.

სრულ გაბატონებისთანავე ევპატრიდებმა ცუდათ დაიწყეს თავიანთ მდგომარეობის მოხმარება. მათი საკუთრება იყო მდ. კეფისის ქალა, ეს ატიკის უნაყოფიერესი ადგილი. კარგინავსადგურების სიახლოვე და ზღვით ვაჭრობის სიადვილე კიდევ უფრო ამდიდრებდა მათ. ეს სიმდიდრე მათ მოიხმარეს მწყემს მთიულების, მეთევზეების და მენავეების ხელში ჩასაგდებად: ისინი ფულებს ასესხებდნენ გადასახადისაგან გაღარიბებულ წვრილ მესაკუთრეებს, და როცა ესენი ვალს ვერ გადიხდინდნენ, ქონებას წაართმევდნენ; საწყალი გლეხი იძულებული ხდებოდა ემუშავებინა ერთ დროს მისი საკუთარი მიწა ევპატრიდის სასარგებლოდ.

7. დრაკონის კანონები; კილონის შეთქმულება. ამ ისედაც მწარე მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებდა ის გარემოება, რომ კანონის მცოდნენი მარტო ევპატრიდები იყვნენ და, რასაკვირველია, სარგებლობდნენ კიდევ ამ ცოდნით თავის სასარგებლოდ. ამიტომაც პირველი, რაც მოითხოვა დაბეჩავებულმა ხალხმა, იყო დაწერილი კანონები, რათა ყველას

შესძლებოდა მათი ცოდნა. ევპატრიდები, უთუოთ ხალხის აჯანყების შემდეგ, დასთანხმდნენ და მიანდვეს არსებულ კანონების დაწერა არხონტ დრაკონს (621). რადგანაც ახლად ჩაწერილი კანონები მეტად სასტიკი იყო და მათის ძალით უბრალო დანაშაულობისთვისაც კი სიკვდილით უნდა დასჯილიყო დამნაშავე, დრაკონს ცუდი სახელი დარჩა, რაც მას არ დაუმსახურებია: დრაკონს ახალი არა შემოუღია რა, მან მხოლოდ ჩასწერა ის ჩვეულებები, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ წინანდელი არხონტები. ამის შემდეგ ყველას შეეძლო სცოდნოდა კანონები, მაგრამ ხალხის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, რადგანაც ევპატრიდები უფრო მეტის სისასტიკით ხმარობდნენ ამ კანონებს. ხალხი მეტად უკმაყოფილო იყო და დრტვინავდა. რადგანაც მეზობელ სახელმწიფოებში—მეგარაში, კორინთში, სიკიონში უკმაყოფილო ხალხმა ტირანებს მიმართა გაჭივრებისაგან თავის დახსნისათვის, მოსალოდნელი იყო, რომ ათინაშიაც თავს ღჩენდა ამ გვარი მოვლენა. მართლაც, ერთმა ევპატრიდმა, სახელით კილონმა, რომელმაც პირადი ინტერესებისათვის გადუდგა თავის წოდებას, სცადა ტირანიის ხელში ჩაბდება. ხალხი მას კარგად იცნობდა, როგორც ოლიმპიის დღეობაზე გამარჯვებულს; რამდენიმე თანამგრძნობი მან შეიძინა თავის პროგრამით, რომელშიაც პირველ ადგილას იყო ვაღების მოსპობა და მიწის განაწილება; თან მეგარელებიც ეხმარებოდნენ. ძვესის დიდ დღესასწაულის დღეს, კილონი და მისი მომხრეები ძალით შევიდნენ აკროპოლისში და უნდოდათ აქედან ქალაქიც ხელში ჩაეგდოთ, მაგრამ საქმე ცუდათ წაუვიდათ: პრიტანისებმა ალყა შემოარტყეს აკროპოლისს და გადაწყვიტეს შეთქმულების შიმშილით ხელში ჩაგდება. კილონმა გაპარვა მოახერხა. დარჩენილებმა, რომელთაც შიმშილი აწუხებდა, გააღეს ციხის კარები და თვითონ ტაძრებში შევიდნენ (რადგანაც ტაძარში მათ ხელს ვერვინ ახლებდა). არხონტმა მეგაკლესმა შეჰფიცა მათ, რომ ისინი ცოცხლები დარჩებიან, თუ გამოვლენ ტაძრებიდან; იმათაც დაიჯერეს და გამოვიდნენ, მაგრამ გამოსვლისთანავე უწყა-

ლოდ დაიხოცნენ (612?). ეს საშინელი ღვთისგმობა იყო; ხალხმა ამ საშინელ დანაშაულის პასუხის გება აკუთვნა ალკმეონიდების გვარს, რადგანაც მეგაკლესი ამ გვარიდან იყო. ყველგან არეულობა იყო; რევოლიუცია აუცილებელი შეიქნა; ორივე პარტიამ ცხადათ დაინახა, რომ სახელმწიფო საშიშ მდგომარეობაში იყო და, რადგანაც თვითონ ვერ შეთანხმდნენ, გადასწყვიტეს. მიანდონ საქმის მოგვარება ისეთ პირს, რომელიც შესძლებდა სახელმწიფო ინტერესებისათვის საუკეთესო საშუალებების გამოძებნას და ამ საშუალებებს მიაღებინებდა ყველას. ასეთი კაცი იყო სოლონი.

თავი მე-XI-მ.

სოლონის კონსტიტუცია. პიზისტრატეს ტირანია. კლისთენესის რეფორმები:

საჩუქევი: 1. სოლონის ბიოგრაფია. 2. სოლონის არხონტობა (594). 3. სოლონის რეფორმები: სეისახთეია ანუ ვალეპის შემსუბუქება. 4. ათინელების ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია. 5. არხონტატი, არეოპაგი, საერო კრება და სენატი (ბულე) 6. სოლონის სხვა ზომები. 7. ახალ კონსტიტუციის ხასიათი და შედეგი. 8. პიზისტრატე სკდილობს ხელში ჩაიგდოს ათინის ტირანია. 9. პიზისტრატეს მართვა-გამგეობა. 10. ჰიპიასის ტირანია. ჰარმოდოსის და არისტოგიტონის შეთქმულება. 11. კლისთენესის რეფორმები. პოლიტიკური და რელიგიური რევოლიუცია. 12. ქლაქის ძველ განაწილების მოსპობა და ახალის შემოღება. 13. ოსტრაკისმიან გაძევება.

1. **სოლონის ბიოგრაფია.** ლიკურგოსმა მისცა კონსტიტუცია სპარტას, სოლონიმა ათინას; მაგრამ აქ თავდება მათი მზგავსება: პირველი უფრო ღვეგნდას ეკუთვნის და ამიტომ ძნელია მისი ასეთისა თუ ისეთის ფიზიონომიის წარმოდგენა; იმ ცნობების საშუალებით კი, რომელნიც ხელთ

ჯვარქვეს სოლონის შესახებ, შეგვიძლია ცხადათ წარმოვიდ-
 გინოთ მისი თავისებური და შესანიშნავი პიროვნება. სოლო-
 ნი, ექსეკუტივის უფროსი, მეფის გვარისა იყო; მამით იგი
 იყო მეფე კოდრის ჩამომავალი, დედით—ბიძაშვილი პიზის-
 ტრატესი, რომელიც შემდეგში ტირანი შეიქნა. ასე რომ
 სოლონი ნამდვილი ევბატრიდი იყო და ამ ჩამომავლობამ
 მეტი ავტორიტეტი მისცა მის რეფორმებს. მამა მისი, რო-
 მელიც მეტად ხელ-გაშლილად სცხოვრებდა, გაღარიბდა.
 სიმდიდრის შესაძენად სოლონმა მოგზაურობა და ვაჭრობა
 დაიწყო. რამოდენიმე წლის შემდეგ იგი დაბრუნდა ათინაში
 გამდიდრებული როგორც ფულით, ისე გამოცდილებითაც;
 ამის გამო მან მალე მოიპოვა ქალაქში ის გავლენა, რომელი-
 ზედაც მას უფლება ჰქონდა. ამ დროს ათინა სამწუხარო მდგო-
 მარეობაში იყო. მისი ძველი მეტოქე მეგარა თავისუფლად
 დააკურებდა თავის გემებს სარონიკის უბეში; ათინელები
 პირვას იქეთ ცხვირსაც ვერ გაჰყოფდნენ; სალამინი მეგარელე-
 ბის ხელში იყო. ბევრჯერ სცადეს კუნძულის ისევ წართმე-
 ვა, მაგრამ ამაოდ; მაშინ ათინელებმა, იმ ავათემყოფსავით, რო-
 მელსაც არ უნდა გაიგონოს რამე თავის სწეულებათზე, აღკრძა-
 ლეს სალამინის ხსენებაც კი; ვინც ამ ბრძანებას დაარღვევდა,
 სიკვდილით დასჯა მოელოდა. სოლონმა მაინც მოახერხა თანა-
 მემამულეების სიამაყის გაღვივება, მაგრამ ისე კი, რომ სიკვდი-
 ლით დასჯა ასცდა. ერთ დღეს ის ავათემყოფსავით თავშეხვე-
 ული და უაზრო დაბნეულის თვალებით გამორბის სახლიდან
 და შირბის მოედანზე. ხალხიც თან მისდევს და როცა საკმაო
 რიცხვი შეიკრიბა, ვითომდა გიჟი სოლონი (გიჟს კანონი
 ვერ დასჯიდა) აღის მალალ ქვაზედ და მღერის მისგანვე შე-
 თხზულ მხურვალე მამულის-შვილურ გრძობით აღსავსე
 ლექსებს. „მე მოვდივარ სალამინიდან როგორც მოამბე, მოი-
 სმინეთ ის მშვენიერი ლექსები, რომელნიც თვით აპოლონმა
 მიკარნახა.“ სოლონი თითოთ უჩვენებს ხალხს ძვირფასს კუნ-
 ძულს, რომელიც მტრის ხელშია და იტანჯება; აღელვებული
 და გატაცებული ხალხი სპობს თავისავე დადგენილებას, უც-

ხადებს ომს მეგარას და სოლონის მხედარმთავრობით სალამინს იბრუნებს.

ამის შემდეგ სოლონი ხალხის საყვარელი გმირია: ომში გამარჯვებული და სამხედრო დიდებით შემკული პირი ყოველთვის საყვარელია ხალხისთვის. სოლონი ეხლა სხვა საქმეს შეუდგა: კილონის მომხრეების უკანონო მოკვლით გამოწვეული მღელვარება ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი. მორწმუნე ათინელები თხოულობდნენ დამნაშავეთ დასჯას და ამით ცოდვის გამოსყიდვას. სოლონის შეგონებით, აღკვეთილები სამართალში იქმნენ მიცემული. სასამართლომ დაადგინა მათი გაძევება, მათი წინაპრების ძვლების ამოთხრა და ატიკის საზღვრებს იქით გადაპყრა. ცოდვის გამოსყიდვის შემდეგ საჭირო იყო ქალაქის განწმენდა. ამ ცერემონიისათვის სოლონმა მოიწვია კრეტელი ეპიმენიდი, სახელ-განთქმული ბრძენი, რომელიც, ძველების წარმოდგენით, ღმერთის ჩამომავალი იყო და რომელსაც რაღაც იღუმალი ძალა ჰქონდა. ამან შეასრულა განწმენდისათვის ყველა საჭირო ცერომონიები, სხვა სახე მისცა შურის მაძიებელ ეგემნიდების კულტს და განწმინდა სახლები და თვით ათინელები დაფნის ტოტებით. ამბობენ, რომ ეპიმენიდმა, უძველეს ჩვეულების მიხედვით, ადამიანის მსხვერპლიც კი შესწირა ღმერთებსო, მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია, რადგან იმავე ეპიმენიდმა აუკრძალა ქალებს მიცვალებულის გასვენების დროს ტანზე ცემა და სახის დაკაწვრა.

2. სოლონის ანხანტობა. (594 წელი ქრისტეს დაბადებამდე). ქალაქის და სახელმწიფოს ცოდვათაგან განწმენდა კარგი საქმე იყო, მაგრამ საჭირო იყო აგრეთვე თემში შშვილობიანობის ჩამოგდება. ყველა სოლონს შესცქეროდა, მარტო მას შეეძლო ამ საქმის კარგად გაძლოლა. ატიკის წვრილ მესაკუთრეებს, რომელთაც აქ თეტებს ეძახდნენ, სილატაკისაგან სული ხდებოდათ. მაშინაც, როგორც ჩვენ დროში, გაქვივრებული გლეხი ფულს მამასისხლად სესხულობდა. ვალის გასტუმრების დღეს საწყალი გლეხი ვერას ახერხებდა და მოვალეს ხელში უვარდებოდა. ჩვენ დროში, თუ გლეხი მიწას

ჰკარგავს, თავისუფლება მაინც რჩება, ძველად კი უფრო სასტიკი კანონები იყო: მოვალეს მიწაც მიჰქონდა და თან მიჰყავდა მსესხებელიც მცირეწლოვან ვაჟებით და გაუთხოვარ ქალებით, რომელთა გაყიდვის ნებას კანონი მას აძლევდა. ადვილად მისახვედრია, თუ რა გრძნობებით იქნებოდა გამსჭვალული მონობაში ჩავარდნილი გლეხი, თუ რა უსაზღვრო მძულვარება იყო ლატაკთა და მდიდართ შორის. რომ სოლონი არა, შეიძლება, ამ მძულვარებას ათინის ცივილიზაცია აკვანშივე ჩაეკლა.

მართლაც ამ ხანაში რევოლიუცია აუცილებელი შეიქნა: მდიდარნი და ლატაკნი მზად იყვნენ დატაკებოდნენ ერთმანერთს და ეს შეტაკება ორივე მხრის დაღუპვით თუ გათავდებოდა. მაგრამ ათონელები ადრე მიხვდნენ ამ საშინელ ბოლოს და მხსნელს მიჰმართენ. ეს მხსნელი იყო სოლონი, რომელიც 594-ში არხონტად ამოირჩიეს და რომელსაც ნამდვილ დიკტატორის ძალა ჰქონდა ხელში. სხვა კაცის ხელში ამისთანა ძალის ჩაგდება მეტად საშიში იქნებოდა ატიკისათვის, რადგანაც მეუფება ისეთი რამ არის, რომ მისი ხელიდან გაშვებას იშვიათად თუ ვინმე მოინდომებს. ათინაში ბევრ იყო ისეთი პირი, რომელიც ურჩევდა კიდევ სოლონს, ესარგებლნა შემთხვევით და გაბატონებულიყო ატიკაში—ტირანია ხელში ჩაეგდო. სოლონმა თვითონ მოგვითხრო, თუ როგორ დასცინოდნენ, როდესაც მან ყურბ არ უგდო ამ გვარ მრეველებს და არ მოისურვა შემთხვევით სარგებლობა: „რა საბრალო ჭკუძს პატრონი ხარ შენ, სოლონ, რადგანაც უკუაგდე, რაც თავისით ხელში გივარდებოდა და ვერ მოახერხე ასეთი კარგის თევზის დაჭერა. რა საწყალი, სუსტი ტვინის პატრონი შენ ხარ! კაცმა შესძლოს თუნდ ერთის დღით ათინაზე გაბატონება, მხოლოდ ერთის დღით, და მერე თუნდ სრულებით დაილუპოს ოჯახით, ქონებით და შვილებით! ვინ იქნება ისეთი რომ ყოყმანი დაიწყოს, როცა მას უაღრესი მეუფება მოეღოს!“

3. **სოლონას რეფორმები.** სეასახეთეაჲ ან ვაღების შექმნის შესახებ. სოლონის პირველი ღონისძიება იყო სეისახთეია, რომელშიაც ორი ნაწილი იყო: 1) ვალში პირად თავისუფლების წართმევის მოსპობა და 2) შემსუბუქება ღარიბ ხალხის დავალიანებისა: სოლონმა ძველ დრაჰმის (25 კ.) მაგიერ, რომელიც იწონიდა ექვს გრამს, მოაჭრევინა ახალი დრაჰმი, რომლის წონა ოთხი გრამი იყო და ეს ახალ-მოჭრილი ფული მიაღებინა მოვალეებს, რომელთაც სესხი გაცემული ჰქონდათ ძველის ფულით; ასე რომ მოვალეებმა მიიღეს მხოლოდ ორი მესამედი*) გასესხებულ ფულისა. სხვა რა იყო სეისახთეიაში, ჯერაც გამოურკვეველია; თვითონ ძველი მწერლებიც არ იყვნენ თანახმა ამის შესახებ და ვერც ჩვენი დროის მკვლევარნი შეთანხმდნენ.

4. **ათინელების ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია.** სეისახთეიამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ბოლოს მაინც შეურიგდნენ მას, რადგანაც მიხედნენ რომ იგი არსებულ პირობებში საუკეთესო ღონისძიება იყო. სოლონს სახელი და გავლენა მოემატა და ფინანსიურ რეფორმის შემდეგ მას შეეძლო შესდგომოდა პოლიტიკურ რეფორმასაც. აქამდე ევზატრიდები ყველაფერი იყვნენ, დანარჩენები კი არაფერი: სოლონის სურვილი იყო პირველებიც და მეორეინიც რამე ყოფილიყვნენ. მან გახადა თემის წევრად ყველა თავისუფალი ათინელი: სოლონიდან ყოველ თავისუფალ ათინელს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო სათემო კრებაში, მიმდნარე საქმეებზედ მსჯელობაში და მაგისტრატების არჩევანში. სხვა პოლიტიკური უფლებები კი სოლონმა გაანაწილა ქონების მიხედვით (ცენზი).

ათინელები მან გაჰყო ოთხ-კლასად. პირველ კლასს ეკუთვნოდნენ ის ათინელები, რომელთა წლიური შემოსავალი იყო არა ნაკლებ 500 მელიმნა**) პურისა (პენტაკოსიომელიმნები), მეორე კლასს, ვისიც შემოსავალი 300 მელიმნაზე ნაკლები არ

*) ზოგიერთების ზრით 1/3. **) მელიმნა-- 52, 53 ლიტრი.

იყო (hippevs „შხედარი“); მესამეს, ვისიც შემოსავალი 200 მედინაზე ნაკლები არ იყო (ძვევიტები); მეოთხეს ყველა დანარჩენები (თეტი). არხონტად ყოფნა შეეძლოთ მხოლოდ პირველ კლასის მოქალაქეთ; მეორე კლასის მოქალაქენი ირჩეოდნენ სხვა უფრო დაბალ თანამდებობაზე და ჯარში კავალერიას შეადგენდნენ; მესამე კლასის წარმომადგენელნი მძიმედ შეიარაღებულ ქვეითა ჯარს (ჰოპლიტი) შეადგენდნენ; მეოთხე კლასის წარმომადგენელნი კი ვერც ამორჩეულ იქნებოდნენ და ვერც ჯარში იმსახურებდნენ. როგორც ვხედავთ, სამხედრო სამსახურის ტვირთი აწვა შეძლებულ მოქალაქეთ, სამაგიეროდ მაგისტრატებიც ესენი იყვნენ.

5. არხონტატი; არეოპაგი; სათემო კრება (თემის ყრილობა) და სენატი. სამი ძველი დაწესებულება—არხონტატი, არეოპაგი და სათემო კრება—ისევ დარჩა, სოლონმა მოუმატა მეოთხე—სენატი ან ბულე, რომელიც შესდგებოდა 400-ის წევრისაგან.

არხონტატი კანონის აღმასრულებელი დაწესებულება იყო, რომელიც შესდგებოდა ცხრა მაგისტრატისაგან. პირველი არხონტი, რომელსაც ეპონიმს ეძახდნენ, იყო თემის მეთვალყურე, მცირე წლოვან ობლების მზრუნველი და ოჯახის მემკვიდრეობის ყურისმგდებელი; მეორე არხონტი—მეფე—იყო ტაძრების და მსხვერპლის შეწირვის ყურისმგდებელი და ძველ, ტრადიციულ რელიგიურ წესების აღმასრულებელი; ეგვე არხონტი არეოპაგის თავმჯდომარეც იყო; მესამე არხონტს—პოლემარხს სამხედრო მოვალეობა აწვა; ამასთანავე იგი იყო ათინაში მცხოვრებ უცხოელების მსაჯული. დანარჩენ 6 არხონტს თესმოთეტებს ეძახდნენ და ამითი მოვალეობა იყო ყური ეგდოთ კანონები არ დარღვეულიყო და ძველი ჩვეულებები არვის შეეღახა. ამათი საქმე იყო აგრეთვე გამოძიება იმ საქმეებისა, რომელსაც არჩეული მსაჯულები—ჰელიასტები იხილავდნენ.

არეოპაგი პოლიტიკურიცა და სამოსამართლო დაწესებულებაც იყო. როგორც პოლიტიკური დაწესებულება, იგი

ზნეობისა და ჩვეულებების წმინდად დაცვის საქმეს ემსახურებოდა; მას ჰქონდა „ვეტო“-ს უფლება, ესე იგი მას შეეძლო ყველა სხვა დაწესებულების გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა შეეჩერებინა. და თუ თემი საშიშ მდგომარეობაში იყო, მას შეეძლო თავზე მიედო ყველა სათემო საქმეების გაძლოლა. როგორც სამოსამართლო დაწესებულებას, მას ექვემდებარებოდა ყველა მკვლელობისა და მოწამვლის საქმეები. ესხილოსს დიდი ქებათა-ქება აქვს ამ დაწესებულებისა თავის „ევემენიდებში“. აი სხვათა შორის რას ამბობს ათინელების მფარველი ღმერთი ათინა არეოპაგზე: „შეუსყიდველი, პატივსაცემი, სასტიკი, მუდამ ფხიზელი, მაშინაც კი, როცა მთელ თემს სძინავს,—ასეთი იქნება ეს ახალი ტრიბუნალი“ (მის დაარსებას ათინას მიაწერდნენ).

არეოპაგის წევრები იყვნენ ყოფილი არხონტები, რომელთაც პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობანი, და ცხრა სხვა წევრი, რომელთაც ირჩევდნენ; არეოპაგის წევრები სიკვდილამდე რჩებოდნენ წევრებად.

სათემო კრებას, ან უკეთ რომ ვთქვათ, თემის ყრილობას შეადგენდნენ ყველა თავისუფალი ათინელები. ყრილობას უფლება ჰქონდა მსჯელობა ჰქონოდა ყველა ახალ ზომებზე და მისი გადაწყვეტილება საბოლოო იყო (საკანონმდებლო დაწესებულება). სოლონმა კარგად იცოდა, რომ ბრბო ხშირად რომელიმე ძლიერ შთაბეჭდილების ქვეშ გატაცებით მოქმედობს და რომ მას შეუძლია წინდაუხედავად და მოუფიქრებლად იმოქმედოს; ამიტომ მან შემოიღო წესი, რომლის მიხედვით თემის ყრილობას შეეძლო ჰქონოდა მსჯელობა მხოლოდ იმ წინადადებათა შესახებ, რომელთაც სენატი ან ბულე წარმოადგენდა. ბულეს ანუ 400-სთა რჩევის წევრები ირჩევდნენ პირველ სამ კლასიდან. თვითეული „ფილა“ ირჩევდა ას წევრს; არჩევანი ყოველ წელს უნდა მომხდარიყო. ამ რჩევის მოვალეობა იყო, დაემზადებინა კანონ-პროექტები სათემო ყრილობისათვის წარსადგენად.

6. **სოლონის დანაწიქნი რეფორმები.** რაც უნდა კარგად იყოს შედგენილი სახელმწიფოს პოლიტიკური წესწყობილება, თუ მოხელეები პატიოსნები არ არიან და თუ მოქალაქეს არ ეინტერესება თავის ქვეყნის საქმეები, სახელმწიფო ვერ იხეირებს. სოლონმა ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და შემოიღო შემდეგი წესი: ყოველ მოქალაქის უფლება და მოვალეობა იყო პასუხის გებაში მიეცა მოხელე და უბრალო მოქალაქეც კი, თუ ამათი მოქმედება, მისი შეხედულებით, სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგი იყო. არც ერთ მოქალაქეს არ ჰქონდა უფლება განზე მდგარიყო რევოლიუციის დროს; ნეიტრალი მოქალაქე, რომელიც ფილოსოფიურად შესცქერის გარემოებათა მიმდინარეობას და ელის, რითი გათავდება საქმე, უთუოდ შეურაცხყოფილი და დასჯილი უნდა ყოფილიყო. სოლონს სურდა, ამ ღონისძიებით ეწამლა იმ რესპუბლიკებისათვის საშიშ მოვლენისათვის, რომელსაც პოლიტიკურ გულგრილობას ეძახიან.

სოლონმა მოქალაქობრივ ცხოვრების სხვა მხარეებსაც შეეხო 1) სამოქალაქო კანონმდებლობას: ანდერძის ნება მისცა უშვილო ათინელს; წინეთ კი იგი იძულებული იყო, დაეტოვებია თავისი სამკვიდრო გვარისათვის; წაართვა მამას შვილის დაგირავების და გაყიდვის უფლება; გარდა ამისა გახადა მამა მოვალე ესწავლებინა შვილისათვის რამე ხელობა, და თუ არ ასწავლიდა, შვილი მოვალე არ იყო ერჩინა მშობელი მის მოხუცებულებაში. 2) მიწად-მოქმედებას: აღკრძალა ატიკიდან გატანა ყველა მიწის ნაწარმოებისა, გარდა ზეთის ხილისა; 3) ვაჭრობას და მრეწველობას: იგი ხელს უწყობდა ატიკაში გადმოსახლებულთ, თუ ესენი სამუდამოთ დარჩებოდნენ ახალ სამშობლოში და აქ განავითარებდნენ თავიანთ მრეწველობას. ეს მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენაა, რომელმაც დიდი სარგებლობა მოუტანა ათინას. წინააღმდეგ ბერძენთა უმრავლესობის შეხედულებისა, სოლონი მუშაობას ადამიანის დამამცირებლად არ სთვლიდა. ჯერ კიდევ დრაკონი სჯიდა ზარმაც მოქალაქეთ. სოლონმა კი დაადგინა, რომ ყოველი

მოქალაქე, რომელსაც რამე მუდმივი საქმე არ ექნება ამორჩეული საცხოვრებლად, უნდა დაისაჯოს არეოპაგისაგან. მან შესცვალა სიმძიმისა და სიგძის საზომები და სიკვდილით დასჯა დაუნიშნა ყალბი ფულის მქნელს.


სოლონმა მოინდომა ზნეობის რეფორმაც, მაგრამ აქ ნაკლები შედეგი მოჰყვა მისგან შემოღებულ ღონისძიებათ, რადგანაც ზნეობა ისეთი რამ არის, რომ იგი რეგლამენტაციას ვერ დაექვემდებარება. მან აღკრძალა მიცვალებულის ცუდათ ხსენება, აღკრძალა აგრეთვე ცოცხლებისათვის შეურაცხყოფის მიყენება. სოლონმა სცადა საზღვარი დაედო ქალების მორთვა-მოკაზმვის სურვილისთვისაც; ქალს არ შეეძლო სამი კაბის მეტი წაეღო, როცა იგი ათინიდან სადმე მიემგზავრებოდა; მან განსაზღვრა იმ კალათების სიდიდე, რომლებშიაც ქალებს საგზაო და ნივთები უნდა ჰქონებოდათ ჩალაგებული; აიძულა ათინელი მანდილოსნები ისე არ გამოსულიყვნენ ღამე სახლიდან თუ არ ეტლით (ურმით), რომელსაც წინ ლამპარით მონა უნდა გაძლოლოდა. ამ გვარ ზომებს არსად თავის მიზნისათვის არ მიუღწევია და, უთუოდ, აქაც უშედეგოდ, ცალიერ კანონებად დარჩა.

7. ახალ კონსტიტუციის ხასიათი და შედეგი. სოლონის რეფორმა, ყველა თავისი ღირსებებით და ნაკლულევანებით, არის ძველ ზნე-ჩვეულებისა და ახალ მიმართულების გონიერი და წინდახედული შეთანხმება. რეფორმატორი ეცადა, უსარგებლოდ, უმიზეზოდ არ მოეშალა არსებული წესი, მაგრამ თან ისიც მოახერხა, რომ ეს არსებული წესი ხელს ვერ შეუშლიდა წინმსვლელობას, პროგრესს. პლუტარხოსი, როცა იგი ლიკურგოსსა და სოლონს ადარებს, ამბობს; რომ სპარტანელმა თავისი კანონები სინამდვილეზე გამოსჭრა, მას შეუგუა, მაშინ როდესაც სოლონმა სინამდვილე მოაწყო თავის შემოღებულ კანონების მიხედვითო. სოლონმა მეტი თავისუფლება მისცა პიროვნებას, მაგრამ იმდენი კი, რამდენიც ეს შესაძლებელია სახელმწიფოს არსებობასთან. იქ, სადაც ლიკურგოსმა შექმნა მანეკენი (უსიცოცხლო ფიგურა), სო-

ლონმა დამოუკიდებელ ადამიანს, ცოცხალსა და მომქმედ მოქალაქეს მისცა ადგილი. აი ეს არის თავი და თავი განსხვავება ამ ორ სისტემისა, და თუ ხე ნაყოფით დაიფასება, სპარტანელ რეფორმატორს უპირატესობას ვერ მივცემთ.

8. პიზისტრატე. ლიკურგოსსავით სოლონმაც მიატოვა სამშობლო და უცხოეთში გადაიხვეწა, მაგრამ წასვლამდე დააფიცა ათინელები, რომ ათის წლის განმავლობაში არ დაარღვევენ მისგან შემოღებულ წესს და დემორჩილებიან მას. სოლონმა ბევრი იმოგზაურა; იგი იყო ეგვიპტეში, კიპრზე, აზიაში, სადაც, გადმოცემით, იგი დიდის პატივით მიიღო ლიდის მეფემ კრეზმა, ცნობილმა თავის სიმდიდრით. როცა ხანგრძლივ მოგზაურობის შემდეგ სოლონი სამშობლოში დაბრუნდა, დაინახა, რომ ატიკაში საქმეთა მიმდინარეობა შეცვლილა. მისგან შემოღებულ კანონებს ვერ მოესპო სრულებით ძველ განხეთქილების მიზეზები; ისევ იჩინეს თავი დასებმა და ამათთან ერთად გაჩნდნენ დასების მეთაურებიც, რომელნიც მზად იყვნენ ესარგებლნათ ყოველ შემთხვევით ათინაში მეუფების ხელში ჩაგდებისათვის. ამ გვარ პირთა შორის ერთი თვითონ სოლონის ნათესავი—პიზისტრატე. ეს მეტად ხერხიანად შეუდგა თავის საქმეს: დიდი გვარიშვილი და მასთან მდიდარი იგი ისე ეპყრობოდა უბრალო ხალხს, როგორც თავის სწორს, ამასთან იგი იყო მეტად უხვი, როგორც გამასპინძლებში, ისე დახმარების აღმოჩენაში. როცა პიზისტრატემ საქმარისად შეაყვარა თავი პარნესელ გაუთლელ მთიულებს, მიხვდა, რომ ყველაფრის გაბედვა შეუძლია და გაბედა კიდევ ერთ დღეს ხალხი თავმოყრილი იყო აგორაზედ (მეიდანზედ); უცბად საშინელი ყვირილი და ხმაურობა მოისმა: გამოჩნდა ეტლში მჯდარი პიზისტრატე, ფერწასული, დაჭრილი და სისხლში მოსვრილი. ხალხი მაშინვე გარს შემოეხვია, უნდა გაიგოს, თუ რა ამბავია. პიზისტრატე, რომელსაც ვითომდა სულის თქმაც უჭირს, ეუბნება ხალხს, რომ ხალხისა და მისი მტრები ჩაუსაფრდნენ მას მოსაკლავად, რომ ეხლა მათ ვერ მიაღწიეს თავიანთ მიზანს, მაგრამ ვინ იცის, მეორეთ როგორ გათავდება

საქმე. ხალხი გულის ტკივილით უსმენს მეტად საყვარელ გმირს და თან ბრახდება. მხოლოდ ერთი მიხვდა, თუ რა მიზანი ჰქონდა პიზისტრატეს, ეს იყო სოლონი. „პიპოკრატის შვილო, უთხრა მან ცბიერ ნათესავს, შენ ცუდათ ბაძავ ჰომირო-



სოლონი

სის ულისს: ულისსმა დაიჭრა თავი მტრების მოსატყვევლებლად და შენ კი ამით გინდა შენი თანამემამულეები გააბრიყვო“. ეს ყველა მართალი იყო და კარგადაც ნათქვამი, მაგრამ ხალხი სოლონს ყურს არ უგდებდა; მას არც მაშინ გაუგონეს, როცა წინააღმდეგობა გაუწია სახალხო კრებას. იმ დადგენილების გამო, რომლის ძალით ხალხს მცველები უნდა მიეცა-

პიზისტრატესათვის მტრებისაგან თავის დასაცველად. სოლონმა ამის შემდეგაც არ დაანება თავი მოვალეობის შესრულებას. როცა გაიგო, რომ პიზისტრატემ ხალხისაგან მიცემულ მცველების საშუალებით აკროპოლისი ჩაიგდო ხელში, გამოვიდა სახლიდან და ათინელებს აგონებდა, ძალა შეეკრიბათ და თავი განეთავისუფლებინათ ტირანის უღლისაგან. მაგრამ მისი სიტყვა უდაბნოში ქადაგება იყო—არავის ხელი არ გაუნძრევია და სოლონი ისევ სახლში დაბრუნდა. პიზისტრატე იმდენად გონიერი იყო, რომ სოლონს დევნა არ დაუწყო, თუმცა მისი მტერი იყო. იგი მოკვდა მშვიდობიანად ათინაში 559 წელს.

პიზისტრატე ერთბაშად მინც ვერ გაბატონდა ატიკაში. ბარისა და ზღვის ნაპირის მცხოვრებთ (პედიები და პარალიები) განდევნეს ტირანი ათინიდან, მაგრამ მან მოახერხა მტრების ერთ ნაწილთან შერიგება: ცოლად შეირთო ალკმეონიდ მეგაკლესის ქალი და ამით გავლენიანი მომხრე შეიძინა. მეორედ ეშმაკობით ჩაიგდო ხელში ათინა. ჰეროდოტე ამბობს, რომ ათინელებისათვის, რომელნიც ბერძენთა შორის უგონიერესებად ითვლებოდნენ, დიდისირცხვილია ასეთი ბავშვური მოტყუილებაო. პატარა ქალაქ პენიაში სცხოვრობდა ერთი მეტად ლამაზი და მასთან დიადი შეხედულების ქალი. პიზისტრატემ და მისმა მომხრეებმა გამოაწყვეს იგი ქალ-ღმერთ ათინას ტანისამოსში, ხელში ყველა საჭიროიარადები მისცეს, ასწავლეს თუ როგორ უნდა დაეჭირა თავი, ჩასვეს ეტლში და დიდის ამბით ქ. ათინისაკენ გასწიეს. წინ მახარობელნი მიუძღვოდნენ და ხალხს მალლა უყვიროდნენ: „ათინელებო, კარგად მიიღეთ პიზისტრატე, რომელიც თვით ღმერთს მოჰყავს თავის ქალაქში და რომელსაც სიკვდილის შვილებ შორის ყველაზედ მეტ პატივსა სცემსო“. გაფოცებული ხალხი მუხლმომდრიკელი დახვდა ვითომდა ათინას და პიზისტრატემ აკროპოლისი დაიკავა. მაგრამ ესეთი ხრიკით ნაშოვნნი ბატონობა დიდხანს არ შერჩენია ტირანს—ერთხელ კიდევ გააძვეს იგი, და მან ერეტრიას შეაფარა თავი. აქ ისევ შემოიკრიბა მომხრეები და გასწია ათინის დასაპყრობად. როცა პალენამდე, ათინის

ტაძართან, მიაღწია, აქ მას ათინელების ჯარი დახვდა და შეიძლება, ვერც კი გაეხედნა მისი შებმა, რომ მისან ამფილიტეს შემდეგი წინასწარმეტყველება არ წარმოეთქვა: „საქმე დაწყებულია, ბადე ნასროლია და თევზებიც შიგ მოხვდებიან მთარიან ლამეში“. პიზისტრატე თავის დროის შვილი იყო და, რასაკვირველია, მისნის ამ სიტყვებმა იგი მეტად გაამხნევეს. ლამე იგი მოულოდნელად თავს დაესხა ათინელებს, როცა ესენი დამშვიდებულად ვახშამს შეექცეოდნენ. ათინელები შეშინდნენ და გაიქცნენ. პიზისტრატემ, იმის მაგიერ, რომ დადევნებოდა მათ და ამოეყოლითა თავის მოწინააღმდეგნი, კაცები დაადევნა უკან და გამოუცხადა, რომ ის მათ არას უხამს.

9. პიზისტრატეს მანთვა — გაქცეობა. ამ დროდან კი (541) პიზისტრატე სიკვდილამდე ათინის ჰატონი, ტირანი, დარჩა. ეს მდგომარეობა მას ცუდად არ მოუხმარია.

პიზისტრატე მიმხვდარი იყო, თუ რა დიდი სარგებლობა შეეძლო მოეტანა ზღვას ათინისათვის და ამიტომ პირველად თავისი მოქმედება აქეთკენ მიჰმართა. მან განაახლა ძველი კავშირი და დამოკიდებულება დელოსთან, იონიელების წმინდა ადგილთან, კარგად დაამუშავა ლაურიონისა (ატიკა) და სტრიმონის (თრაკია) ვერცხლის მადნები და მოახერხა თესალიისა და მაკედონიის მეფეებთან, რომ ათინელ სავაჭრო გემებს უპირატესობა ჰქონოდათ სხვა ბერძენთა გემებთან შედარებით.

შინაგანი მისი პოლიტიკა ფრთხილი და თავდაჭერილი იყო: იგი სრულებით არ შეხებია სოლონის კონსტიტუციას, ერთხელ თითონაც გამოცხადდა არეოპაგის წინაშე როგორც ბრალდებული. ის კი საკითხია, თუ როგორ მოიქცეოდა; მოსამართლეებს რომ გაემტყუნებინათ. უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მთელი თავისი ყურადღება ათინელების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას მიაქცია; მეტად გააძლიერა და განავითარა თავის მზრუნველობით ზეთის ხილის მოყვანა და ზეთის ხილი ხომ ათინელ გლეხისათვის ყველაფერი იყო; გაამშვენა ქალაქი; გაიყვანა გზები და შემოუერთა

ათინას ახლო მდებარე სოფლები; გამოიყვანა წყლის მილები და სხვა. ათინა სრულებით განახლდა. არც გონებრივი მხარე იყო დავიწყებული. ჯერ კიდევ სოლონმა მოიწვია რაფსოდები (მოლექსე), რომელთაც სხვა და სხვა დღესასწაულის დროს უნდა ემღერნათ ჰომეროსის ლექსები. პიზისტრატემ კიდევ მეტი ქნა: მან მოიწვია მკოდნე პირები, ჩააწერინა ჰომეროსის პოემები, ნაწყვეტ-ნაწყვეტებისაგან შექმნა ერთი მთელი და ათინელების გონებისა და გემოვნების განვითარებას დაუფასებელი სამსახური გაუწია. პირველად პიზისტრატეს დროს შეიძლო ბერძენმა გაცნობოდა თავიდან ბოლომდე ჰომეროსის შესანიშნავ პოემებს.

10. ჭიპასის ტირანია. ჭარმოდაოსის და არისტოკრატონის შეთქმულება. პიზისტრატემ ბოლომდე შეირჩინა ხალხის სიყვარული და პატივისცემა და იგი მშვიდობიანად მოკვდა 527 წელს. მისი შვილი ჰიპიასიც გონიერი კაცი იყო, მაგრამ ნაკლებ მოქნილი და მოხერხებული და ამიტომ ხალხში ისევ გაიღვიძა ტირანიის მძულვარება. ერთმა უბედურმა შემთხვევამ კრიზისი დააჩქარა. ორმა ახალგაზდა ათინელმა, ჰარმოდოსმა და არისტოკრატონმა, პირად შურისძიებისათვის მოახდინეს შეთქმულობა, რომლის მიზანი ჰიპიასის და მის ძმის ჰიპარხოსის სიკვდილი იყო. განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის აირჩიეს პანათინელი დღესასწაული. რადგანაც ამ დღეს ათინაში დიდი ხალხი მოდიოდა, შეთქმულებს იმედი ჰქონდათ, რომ ისინი მიზანსაც მიაღწევდნენ და გაქცევასაც მოასწრებდნენ. დადგა ეს დღეც; შეთქმულებს ყველას ხანჯალი ჰქონდა ტანისამოსში დამალული. ჰიპიასი, რომელსაც თან ახლდა მცველების რაზმი, ქალაქის გარედ პროცესიას აწყობდა; ჰარმოდოსი და არისტოკრატონი თან და თან უახლოვდებოდნენ მას. ამ დროს დაინახეს, რომ ერთი შეთქმულთაგანი მეგობრულად ელაპარაკებოდა ტირანს; შეთქმულებს ღალატი ეგონათ და მაშინვე ქალაქში დაბრუნდნენ. აქ ჰიპარხოსს შეხვდნენ და იქვე აკაფეს; ხალხი უცბად შეგროვდა, ჰარმოდოსი იქვე მოკლულ იქმნა, არისტოკრატონი კი შეიპყრეს და აწამეს.

ჰიპიასმა გაჩხრიკა ხალხი და ვისაც კი ხანჯალი უბოვა, ყველა აწამა და მოჰკლა (514). ჰიპიასის განდევნის შემდეგ ხალხს დაავიწყდა, თუ რამ გამოიწვია ეს შეთქმულობა და ჰარმოდოსი და არისტოგიტონი ხალხის თვალში შეიქნენ წმინდა და მამულიშვილურ საქმისათვის წამებულ გმირებად; ჩვენამდე მოაღწია ერთმა სიმღერამ, სადაც ისინი ამ გვარ გმირებად არიან დასახული.

შეთქმულობის შემდეგ ჰიპიასმა სასტიკ ზომებს მიჰმართა; მას შიში შეეპარა გულში და ყველას ეჭვის თვალთ უყურებდა; ბევრი ათინელი ვახდა ამ ეჭვიანობის მსხვერპლი. შეთქმულობა გახშირდა. ერთი შეთქმულობა, რომელიც ცუდათ გათავდა შეთქმულთათვის ლეიფსიდრიონზე (პარნესზე), დიდხანს დარჩა ხალხის ხსოვნაში. „წყევლო ლეიფსიდრიონ, მღეროდნენ ათინელები, მეგობრების მოღალატევე, რა ადამიანები დალუბებენ! მამაცები და კარგის ჩამომავლობისანი, რომელთაც მაშინ გვიჩვენეს თუ რა მამის შვილები იყვნენ.“ ბოლოს სპარტანელების დახმარებით ჰიპიასი გააძევეს (510).

11. კლასთენესის რეფორმა. პოლიტიკური და რელიგიური რეგოლიუცია. ძველმა დას-დასობამ ისევ იჩინა თავი, მაგრამ გაიმარჯვა დემოკრატიულმა პარტიამ კლისთენესის, აღკმეონიდ მეგაკლესის შვილის, დახმარებით. კლისთენესმა დაასრულა სოლონისაგან დაწყებული რევოლიუცია, სოლონმა მიანიჭა ყველა თავისუფალ ათინელს პოლიტიკური უფლებანი, ამით მან წაართვა ევპატრიდებს პოლიტიკური უპირატესობანი; მაგრამ, ტრადიციის პატივისცემით, თუ იმიტომ, რომ რადიკალური რეფორმებისათვის მომზადებული არ ეგონა ათინელები, მან დაუჭოვა კეთილშობილებს ძველებური განაწილება ოთხ ფილად. ეს ოთხი ფილა იყო მემკვიდრეობითი არისტოკრატია, რომელიც ჯერ კიდევ განკერძოებული კლასი იყო და რომელსაც შურის თვალთ უყურებდნენ. ეს კიდევ არაფერი: ფილას პოლიტიკური ხასიათი აღარ ჰქონდა, მაგრამ მთელი თავისი რელიგიური მნიშვნელობა შერჩა. ამ მხრივ „თვითეულ ფილაში ორი კლასი იყო: ერთის მხრივ ევპა-

ტრიდები, რომელთა ხელში იყო მემკვიდრეობით ღვთის-მსახურება და გავლენა; მეორეს მხრივ, დაბალ წოდების ხალხი, რომელიც ეხლა აღარც მსახურები და აღარც კლიენტები იყვნენ, მაგრამ მაინც ევპატრიდების ზედ-გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ რელიგიის საშუალებით. როცა არა ევპატრიდს „თავისუფალ ათინელს“ ეძახდნენ, ეს ცალიერი სიტყვები იყო. ძველი რელიგია ხელს ჩავლებდა ამისთანა „თავისუფალ ათინელს“, როგორც კი იგი სახალხო კრებიდან გამოვიდოდა და ეუბნებოდა: „შენ კულტით დამოკიდებული ხარ ევპატრიდისაგან, შენ მოვალე ხარ, პატივისცემით და მორჩილებით იყო მასთან, როგორც კულტის წარმომადგენელთან. როგორც თემის წევრი, შენ განგათავისუფლა სოლონმა, მაგრამ როგორც ფილას და ფრატრიას წევრი, შენ ემორჩილები ევპატრიდს (ფიუსტელ დე კულანჯი)“.

12. ძველ ფაღების მოსპობა და ახალ განაწილების შემოღება. კლისთენესის რეფორმამ მოსპო ეს განსხვავება ევპატრიდსა და უბრალო ათინელ შორის იმით, რომ გასწყვიტა ის რელიგიური დამოკიდებულება, რომელიც ერთს მეორის მორჩილად ხდიდა. კლისთენესმა მოსპო ათინელების 4 ფილად დანაწილება და შემოიღო 10 ფილად გაყოფა. ეს ახალი ფილა შესდგებოდა 10 „დემიდან“. გარეგანად თითქოს არაფერი გამოცვლილიყოს: თითველ ახალ ფილას, როგორც ძველსაც, ჰქონდა საკუთარი კულტი, ჰყავდა ქურუმი, მოსამართლე, ჰქონდა რელიგიური კრებები და კრებები ფილის საერთო ინტერესებზე მოსალაპარაკებლად. ნამდვილად კი ეს იყო რადიკალური რევოლიუცია: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ყველა თავისუფალი ათინელი მიუხედავად იმისა, იყო იგი ძველ ფილას წევრი თუ არა, ხდებოდა ახალ ფილას წევრი და მეორეც იმიტომ. რომ ათინელი ხდებოდა რემელიმე ფილას წევრი არა ჩამომავლობით არამედ სადგომის მიხედვით; ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ თითველი ფილა უთუოდ ერთ მთლიან ტერიტორიაზე იყო მოთავსებული, პირ-იქით, რომ უფრო ძირიანად მოესპო ძველი დამოკიდებულებანი, კლისთენესმა

მოუყარა თავი თითველ ფილაში ატიკის სულ სხვა-და-სხვა ნაწილებს, როგორც მაგალითად ფალეროსი და მარათონი, პირეა და დეკელია. ფილას ყოველი კრება ქალაქში უნდა მომხდარიყო; თვითონ ქალაქის ტერიტორია გაყოფილი იყო რამდენიმე დიმიებად, რომელნიც სულ სხვა-და სხვა ფილას ეკუთვნოდნენ. ფილაში ყველა თანასწორი იყო; ახალ ფილას კულტი აღარ იყო რომელიმე ძველ ოჯახის სამკვიდრო; მან თავისი სათაყვანებელი გმირი გაიჩინა; ყველა დემების კულტი იყო ძველისა და აპოლონის კულტი. ქურუმობაც აღარ გადღიოდა მემკვიდრეობით; ქურუმებს ყოველ წლობით ირჩევდნენ და ყოველ ათინელს შეეძლო მიეღო ეს თანამდებობა. ერთბაშად გაჰქრა რელიგიური კასტა; ათინელი საზოგადოება, როგორც პოლიტიკურად, ისე რელიგიურადაც ნამდვილი დემოკრატიული იყო. მოქალაქედ მიღება დემის საქმე იყო; დემი ნამდვილი ადმინისტრაციული ერთეული ან კომუნა (ფრანგულად) იყო: მას ჰყავდა თავისი უფროსი დემარხი, ქურუმები, ჰქონდა ქონება, საერთო კასსა, კრებები და ხარჯის გაწერის უფლება.

კლისთენესმა გარდა ამ უმთავრეს რეფორმისა, ბევრი რამ კიდევ სხვა შემოიღო. სენატის ან ბულებს წევრთა რიცხვი 500-მდე აიყვანა—თვითველი ფილა ირჩევდა 50; მანვე დააწესა ახალი თანამდებობა სტრატეგისა; რიცხვით სტრატეგები იყვნენ 10, ყოველ ფილას თავისი სტრატეგი ჰყავდა; ეს 10 მოხელე ასრულებდა იმას, რასაც კლისთენესამდე პოლემარხი ასრულებდა. რამდენად ათინა იზრდებოდა და ძლიერდებოდა გარედ, იმდენად სტრატეგების მნიშვნელობაც დიდდებოდა.

13. **ოსტრაკისში ათინაში.** კლისთენესისავე შემოღებულია ოსტრაკისმი: ხალხის ყრილობა ფარულ კენჭის ყრით აძევებდა ქალაქიდან ვინმეს 10 წლით, შემდეგ 5 წლით. აძევებდნენ იმისთანა პირს, რომელიც თავის გავლენითა და ძლიერებით საშიში იყო, ხალხის თვალში, ათინისათვის მით, რომ მას ტირანად გახდომა შეეძლო. დემოკრატია უთუოდ ექვიანი არ უნდა იყოს, მაგრამ საჭიროა, რომ იგი მუდამ ფრთხილობდეს. ოსტრაკისმიც ამ გვარი სიფრთხილის ღონისძიებაა.

თავი XII

სწავსკელებისაგან მცირე აზიის დაშეწობა. ბერძენთა ახალშენების დამოწმება.

საჩივრი. 1. რას უწოდებენ ბერძენ-სპარსელთა ომიანობას? 2. ბერძენთა ახალშენები და ლიდის მეფეები. 3. კრეზის ისტორია. 4. მცირე აზიის ბერძენთა თემები და სპარსეთის სამეფო. 5. მცირე აზიის დასავლეთ ნაპირების დაპყრობა კიროსის მიერ. 6. დარიოსის (ჰისტასპოსის შვილი) ტახტზე ასვლა; სპარსეთის სამეფოს რეორგანიზაცია 7. ბერძნებსა და სპარსელებ შუა განხეთქილების ჩამოვარდნის მიზეზი. 8. ჰისტიისა და არისტაგორას ინტრიგები. 9. მილეტისა და მცირე აზიის აჯანყება. 10. ათინელების დახმარება; დარიოსის ჯავრობა. იონიელთ უმოქმედობა და მხნეობის დაკარგვა. მილეტის აღება.

1. რას უწოდებენ ბერძენ-სპარსელთა ომიანობას? ბერძენ-სპარსელთა ომიანობა ჰქვია იმ ომებს, რომელიც იყო საბერძენთა და მიდის მემკვიდრის-სპარსეთის შუა. ეს ომიანობა დაიწყო მე-V-ე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე და გათავდა აღექსანდრე მაკედონელის დროს. ამ ომიანობამ შემთხვევა მისცა ბერძნებს განეფითაჩებინათ და განემტკიცებინათ თავიანთი ეროვნული ერთობა, რომელიც აქამდე გამოიხატებოდა მხოლოდ რელიგიურ კავშირით—ამფიკტიონიით; გარდა ამისა ამ ომიანობას შედეგად მოჰყვა ბერძნულ ენისა და ცივილიზაციის გავრცელება მთელ დასავლეთ აზიაში.

2. ბერძენთა ახალშენები და ლიდის მეფეები. საბერძენთი და სპარსეთი შეხვდნენ ერთმანეთს ახალშენების საშუალებით. ეს ახალშენები დიდხნის განმავლობაში ხელ-შეუშლელად ვითარდებოდნენ. მცირე აზიის მცხოვრებლებთან, გა-

ნსაკუთრებით ლიდიელებთან, კარგი განწყობილება ჰქონდათ ბერძნებს, ასე რომ მათ განვითარებას ხელს არაეინ უშლიდა, სანამ ლიდიაში არ მოხდა სასახლის რევოლიუცია, რომელმაც სამეფოს ტახტი ხელში ჩაუგდო უზურპატორ გიგესს. ქ. სარდის (პაკტოლოსის ნაპირზე) მაღალი კედლები ბერძენთათვის საშიში შეიქნენ. მოხერხებულს და ცბიერ გიგესს კარგად ესმოდა ბერძნულ ცივილიზაციის ფასი; იგი თავის თავს ბერძენს ეძახდა. სასახლეში მას ჰყავდა რაფსოდები, რომელთაც მისი საგმირო საქმენი უნდა ემღერნათ; დელფის მისანს მან შესწირა შესანიშნავ ხელობის ათი ოქროს ფიალა. მაგრამ ამ „ბერძნობამ“ მას ვერ დაუშალა ბრძოლა დაეწყო მცირე აზიელ ბერძნებთან, რომელთაც ერთობაც აკლდათ და ძალაც განცხრომაში და ფუფუნებაში ცხოვრების გამო. ლიდიელებმა აიღეს კოლოფონი და პრიენე; სამაგიეროდ, მილეტმა დიდი წინაღმდეგობა გაუწია მათ. თერთმეტი წლის განმავლობაში აოხრებდნენ ლიდიელები მილეტის ტერიტორიას, მაგრამ ქალაქი მაინც არ ნებდებოდა მათ. მეთორმეტე წელს ლიდიელებმა უცაბედად დაწვეს ათინას ტაძარი; ღმერთმა მაგიერი უზლო მათ: მეფე ალიატესი (გიგესის შვილის შვილი) გახდა ავად, მოინანია ჩადენილი ცოდვა და ააშენა ისევ ტაძარი; მორჩენის შემდეგ მან შესწირა დელფის ტაძარს ვერცხლის დიდი ფიალა და რკინის დაკავშირებული ხონჩა, ნაკეთები ქიოსელ გლავკოსის მიერ; ეს გლავკოსი იყო რკინის დაკავშირების ხელობის გამომგონი.

3. **კრეზის ისტორია.** ალიატესის მემკვიდრე იყო მისი შვილი კრეზი, რომლის სახელი იწვევს ჩვენ გონებაში უსაზღვრო სიმდიდრისა და განცხროპის წარმოდგენას. კრეზი დაუვიწყარი ტიპია აღმოსავლეთის მბრძანებლებისა, რომელნიც წარმოადგენენ ცოცხალ სკივრს პირამდე სავსეს ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასის ქვებით. მამისაგან მას დარჩა ძლიერი სამეფო, რომელიც აღმოსავლეთის მხრივ მიდიოდა მდინარე ჰალისამდე; ამას მან მოუმატა ეფესი, სმირნა და თითქმის ყველა ნაპირის ქალაქები; მაგრამ თვით კრეზმაც მალე იგემა დამარცხების მწარე

ფიალა: ახემენიდ კიროსმა ძირს დასცა მიდიელების სამეფო; მთელ აზიას მოედო ახალ გვირის მოქმედების ამბები. კიროსი, მეფე ახალგაზდა და ღარიბ ერისა, რომელიც ჯერ კიდევ ტყავით იმოსებოდა და რომელმაც არც ღვინო და არც ხილი იცოდა, შიშის ძრწოლას გვრიდა აზიის ყველა გვირგვინოსანთ. კრეზიც შეშინდა და ბედის გასაგებად გაუგზავნა კაცი დელფის მისანს, რომელსაც რამდენიმე წლის წინეთ შესანიშნავი შეწირავი გაუგზავნა: ოქროს ლომი, ორი ოქროსა და ვერცხლის ფიალა, ორმოცი ვერცხლის კოდი, გამოქანდაკებული ქალი ოქროსი და სხვა. ამისთანა მეფურ შესაწირავისათვის ცუდ პასუხს არ ემართლებოდა დელფის მისანი და მართლაც, პირველში მეფეს ეგონა, რომ მეტად საიმედო პასუხი მოუვიდა: „თუ როდისმე მიდიის მეფედ ჯორი გახდება, ნაზ-ფეხებიანო ლიდიელო, გაიქეც, ნუ შეგრცხვება, რადგან სხვათრივ თავს ვერ უშველი“. კრეზი ვერ მიხვდა წინასწარმეტყველების ნამდიელ აზრს, თუმცა იგი მაინცა და მაინც ძნელი მისახვედრი არ იყო. შემდეგ კი შეიტყო, რომ ჯორი აქ ნიშნავდა კიროსს, რომელიც სპარსელისა და მიდიელ ქალის შვილი იყო, მაგრამ გვიანდა იყო. ომი აუცილებელი იყო და კრეზმა დამხმარეს დაუწყო ძებნა. მან გაუგზავნა ელჩები ლაკედემონელებს, — „კრეზმა, ლიდიელებისა და სხვა ხალხების მეფემ, გამოგვგზავნა თქვენთან, ამბობდნენ მეფის გამოგზავნილები; აი რას ამბობს იგი: ლაკედემონელო, აპოლონმა შირჩია შევეკრა კავშირით ბერძნებს. მე ვიცი, რომ თქვენ საბერძნეთში პირველი ადგილი გიჭირავთ. მე თქვენ გიწვევთ გახდეთ ჩემი მოკავშირენი და დამხმარენი გულწრფელად და მოუტყვილებლად“.

სანამ დაპირებული დახმარება მოვიდოდა ლაკედემონიდან, კრეზი დამარცხდა, მისი სატახტო ქალაქი სარდი აიკლეს და თვითონ ტყვედ ჩაუვარდა ხელში კიროსს. მცირე აზიელ ბერძნებისათვის ეს ფაქტი მეტად დიდ-მნიშვნელოვანი იყო. ხალხი, რომელიც ეხლა გაბატონდა მცირე აზიაში, იყო სრულყოფილი უცხო, ბერძნულ ზნე-ჩვეულებისა და ენის მტერი.

ფილა: ახემენიდ კიროსმა ძირს დასცა მიდიელების სამეფო; მთელ აზიას მოედო ახალ გმირის მოქმედების ამბები. კიროსი, მეფე ახალგაზდა და ღარიბ ერისა, რომელიც ჯერ კიდევ ტყავით იმოსებოდა და რომელმაც არც ღვინო და არც ხილი იცოდა, შიშის ძრწოლას გვრიდა აზიის ყველა გვირგვინოსანთ. კრეზიც შეშინდა და ბედის გასაგებად გაუგზავნა კაცი დელფის მისანს, რომელსაც რამდენიმე წლის წინეთ შესანიშნავი შეწირავი გაუგზავნა: ოქროს ღომი, ორი ოქროსა და ვერცხლის ფილა, ორმოცი ვერცხლის კოდი, გამოქანდაკებული ქალი ოქროსი და სხვა. ამისთანა მეფურ შესაწირავისათვის ცუდ პასუხს არ ემართლებოდა დელფის მისანი და მართლაც, პირველში მეფეს ეგონა, რომ მეტად საიმედო პასუხი მოუვიდა: „თუ როდისმე მიდიის მეფედ ჯორი გახდება, ნაზ-ფეხებიანო ლიდიელო, გაიქეც, ნუ შეგრცხვება, რადგან სხვაფრივ თავს ვერ უშველი“. კრეზი ვერ მიხვდა წინასწარმეტყველების ნამდვილ აზრს, თუმცა იგი მაინცა და მაინც ძნელი მისახვედრი არ იყო. შემდეგ კი შეიტყო, რომ ჯორი აქ ნიშნავდა კიროსს, რომელიც სპარსელისა და მიდიელ ქალის შვილი იყო, მაგრამ გვიანლა იყო. ომი აუცილებელი იყო და კრეზმა დამხმარეს დაუწყო ძებნა. მან გაუგზავნა ელჩები ლაკედემონელებს, — „კრეზმა, ლიდიელებისა და სხვა ხალხების მეფემ, გამოგვეგზავნა თქვენთან, ამბობდნენ მეფის გამოგზავნილები; აი რას ამბობს იგი: ლაკედემონელნო, აპოლონმა მირჩია შევეკრა კავშირით ბერძნებს. მე ვიცი, რომ თქვენ საბერძნეთში პირველი ადგილი გიჭირავთ. მე თქვენ გიწვევთ გახდეთ ჩემი მოკავშირენი და დამხმარენი გულწრფელად და მოუტყვილებლად“.

სანამ დაპირებული დამხარება მოვიდოდა ლაკედემონიდან, კრეზი დამარცხდა, მისი სატახტო ქალაქი სარდი აიკლეს და თვითონ ტყვედ ჩაუვარდა ხელში კიროსს; მცირე აზიელ ბერძნებისათვის ეს ფაქტი მეტად დიდ-მნიშვნელოვანი იყო. ხალხი, რომელიც ეხლა გაბატონდა მცირე აზიაში, იყო სრულ-
 კლებით უცხო, ბერძნულ ზნე-ჩვეულებისა და ენის მტერი;

მ ლ ა მ ბ ე

წელიწადი მეცხრე

გამოდის ყოველ თვე

ფასი ყურნალ „მოამბისა“ გაგზავნით:

ოქსეთის და კავკასიის ქალაქებში:		საზღვარგარედ:	
ერთის წლით	10 მან.	ერთის წლით	13 მან.
ექვსი თვით	6 მან.	ექვსის თვიო	7 მან.
სამი თვით	4 მან.	სამი თვით	5 მან.

ვინც „მოამბის“ მთელის წლით გამოიწვას, „სნობის ფურცელი“ ღ სუკათეზიანი დამატება უფასოდ დაეთმოვას
 ფასის განაწილება შეიძლება ასე: ზირეუდად 5 მან. 1-ლ აზრილამ-
 დე—3 მან, და 1-ლ ოქტომბრამდე—2 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალი „მოამბის“ რედაქციაში, რონელიც იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერმა აღრესის გამოცვლისათვის ქრთი მანქათი უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: **Тифлисъ, Редакция „Моамბе“.**

ჟურნალში დასაბეჭდად მიღებულ წერელებს, თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეასწორებს და შეამოკლებს. ხელნაწერები, რომლებიც არა დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში,—მერმე ველარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდავ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უეჭველად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ, ჟურნალმა თავისი აზრი წარმოხსთქვას, ორ-ორი ეგზემპლიარი უნდა გამოუგზავნოს რედაქციას.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღიდან ნაშუადღევის ორ საათამდინ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის-მომწერთ, რომელთაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადაკი**